რენე კალანდია

# მთავრობები და პოეტი

## (უსახელო მარათონელი)

თბილისი, 2008
„ეროვნული მწერლობა“

დედ-მამის ნათელ ხსოვნას, ანუ უწარწერო ბორცვებს — თხოვნით მიტევებისა, მადლიერების გრძნობით, ობლის ცრემლის სინათლითა და უძლები შვილის მოკრძალებით...

ავტორი


საგამომცემლო საბჭო
ვაჟა ოთარაშვილი
ზურაბ თორია
ტარიელ ხარხელაური
მანანა ჩიტიშვილი
გულო კობიაშვილი
ზაზა ქინქლაძე

რედაქტორი
ივანე ამირხანაშვილი

მხატვრები
პაპუნა და თომა პაპასკირები

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამარ ქიტუაშვილი

ISBN 978-9941-0-0414-8

## რედაქტორის წინასიტყვაობა

რენე კალანდია მომავლის პოეტია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ძნელი გასაგებია. პირიქით, „ადვილი" პოეტია, მისი ლექსი სავსებით შეესაბამება თანამედროვე გემოვნებასა და განწყობილებას, ზუსტად ასახავს დროს... და ამიტომაც ეკუთვნის მომავალს როგორც თანადროულობის პოეტური დოკუმენტი.

ამ ლექსებში ცხოვრება აისახება ისეთად, როგორიც არის, ოღონდ ყოფიერების ობიექტურ სურათს მთავარ ფონად დაჰყვება სუბიექტური ყოფიერების მოტივი, რომელშიც იცნობა ნამდვილი პოეტისა და მოქალაქის ხმა.

ეს არის ღია შეგრძნებათა სამყარო, რომლის ინტერიერში გამოირჩევა მძაფრი თემები: სამოქალაქო ომი, განუკითხაობა, დიქტატურა, ტერორი, სოხუმი, ზუგდიდი, აყრილი ღირსება, შიში, შიმშილი, ზნეობის კრიზისი და მისთანანი. მაგრამ რაც უფრო უხეში და ქაოტურია სინამდვილე, მით უფრო მეტ მდგრადობასა და სამართლიანობას ამჟღავნებს პოეტი, რომლის უკიდურეს სუბიექტივიზმში იგრძნობა ობიექტური, მიმტევებელი სული.

ყოფითი ეპიზოდებისგან, სინამდვილის ნაგლეჯებისგან, ერთფეროვნების მტვრისგან იქმნება პოეზია, ლექსიკურ ერთეულებსა და გამოთქმებში იკვეთება თანამედროვე ისტორია, ყველა ლექსს აქვს სრულიად ზუსტი სოციალური მისამართი, ყველა სიტყვა ცოცხალია, კალმახივით ფართხალებს, აქეთ-იქით აწყდება, სემანტიკურ მრავალფეროვნებათა არეალში მიმოქცევა, კონოტაციების საზღვარზე თამაშობს, თუმცა თამაში არის არა მიზანი, არამედ საშუალება, რათა გამოხატვის ველში შევიდეს ისიც, რაც გამოხატავს ძნელად ექვემდებარება.

იშვიათია ასეთი მთლიანი, თანმიმდევრული, კონცეპტუალურად დაუნაწევრებელი პოეტი, რომელიც იოლად, ძალდაუტანებლად ახერხებს ნებისმიერი პარადოქსული თემის აქტუალიზებას, რუტინული ყოფის ესთეტიზებას და მსგავსი არტეფაქტების შექმნას.

რენე კალანდიას პოეტური სამყარო ხმაურისა და პროტესტის ესთეტიკაზეა დაფუძნებული. თავისი მეამბოხე სულისკვეთებით იგი უახლოვდება ნეოავანგარდიზმის იმ ფრთას, რომელიც განსაკუთრებული სოციალური აქტივობით გამოირჩევა და იბრძვის კონფორმიზმისა და მერკანტილიზმის წინააღმდეგ.

ფორმით ავანგარდისტულ ლექსებში განწყობილება აშკარად ტრადიციულია, რასაც მიგვანიშნებს ხშირი ციტირებები და რემი-

ნისცენციები კლასიკური ქართული პოეზიიდან, კერძოდ, გურამიშვილის, ვაჟას, ილიას, ციციანის და სხვათა შემოქმედებიდან.

თავისებურ, რაღაც უჩვეულო ექსპრესიას ქმნის რიტმული მოტივი, რომელშიც კარგად ეწყობა ვერსიფიკაციული სახეცვლილებები, ანჟანბემანი — სტრიქონიდან სტრიქონზე გადასვლის უწყვეტი ნერვი, პოეტურ სახეთა დიალექტიკური კავშირი, შავი იუმორისა და ინტელექტუალური აქცენტების ზომიერი შეხამება.

ცალკე საუბრის თემაა რითმა — ძალზე ბუნებრივი, მსუბუქი, ჰარმონიული ბგერათწყობა.

რენე კალანდიას ლექსი უჩვეულოა იმ მხრივაც, რომ მას ერთი საზომით ვერ გაზომავ, ერთი წაკითხვით ვერ ამოხსნი, ერთი კრიტერიუმით ვერ შეაფასებ. მას კიდევ სჭირდება რაღაც სხვა გასაღები, სხვა სიბრტყე, სხვა კონტექსტი, რაც ალბათ დრომ უნდა შექმნას, დრომ უნდა ჩამოაყალიბოს.

ამ წიგნზე იმდენია სათქმელი, რამდენსაც თვითონ ამბობს, რაც მეტს ვისაუბრებთ, იმდენად მეტი დაგვრჩება სასაუბრო, ამიტომ ჯობს პოეტს მოვუსმინოთ, ყური მივუგდოთ ხმას, რომელიც მომავალს ესმის როგორც გამოსარჩლება და წუთისოფლის თანამედროვე სამდურავი.



[illegible] III

## ᲡᲙᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲣᲠᲐ

**ო, ნავი, ნავი, ნავი მწყურია...**
**გალაკტიონ ტაბიძე**

XXI-ს არ სჭირდება ხმა გრიგალების,
ორასწლოვანი სტანსები თუ მადრიგალები...
თვლემენ სკამებიც: იცვლებიან უკანალები,
ანუ გავები...

მრისხანებს პრესა: შეჭმულია მილიარდები,
ბიუჯეტში გვაქვს გარღვევა და შარვლებს "კადრები"
ხშირად იცვლიან... წინ: მორევი — ეკალბარდებით,
იძირებიან ნავები...

თუნდ „SOS"* იძახე ინგლისურად, გინდაც ქართულად:
— უფალო, მიხსენ!.. ყველა ძებნა-შოვნით გართულა
და არვინ გისმენს... დგას მამონა — წელგამართული:
მოდიან ახალი ხამები...

ანაქრონიზმად ჩაგეთვლება პატიოსნება,
საღმრთო წერილის კითხვით ჭონის გასხივოსნება...
რა ჰქნან ჩიტებმა, ფრინველებმა, ანუ მგოსნებმა,
როცა "გალობენ" ყვავები?!.

*** იხსენით ჩვენი სულები (ინგ.).**

## ᲮᲔ ᲤᲐᲜᲯᲐᲠᲐᲡᲗᲐᲜ:

**ცალყურა და ცალთვალა დეპრესია**

შიგნით მოიწევს ხურმა,
იგი ჩემი ხნის არის:
— რა ქნას საბრალო ყურმა? —
ესმის შხუილი ქარის...

— რა ქნას საწყალმა თვალმა? —
ხედავს ბეჩავი თვალი,
რომ შთანთქა სანთლის ალმა
იმედი — ნატვრისთვალი...

— რა ქნას ბედშავმა გულმა? —
გრძნობს საცოდავი გული:
ნაძირალამ და თულმა
წარსტაცეს სიხარული...

ხურმა, ქარი და თვალი,
ალი, იმედი, გული...
აქ — სამყაროს წინ — ლოდინით მთვრალი —
პოეტი — დაზაფრული...

## ᲡᲝᲤ. ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲨᲘ: ᲗᲣᲮᲘᲡ* ᲒᲐᲡᲘᲜᲯᲕᲐ

**როდიონი ბოხუაქ**
**დუდი დომიხორხუა...****
**(სოფლელი ბავშვების სიმღერა-გამოჯავრება)**

სიცარიელის ფსკერზე ვიძირები,
როგორც ჯიკი-ჯიკის*** ტომის ბელადი:
— თქვენ ხომ არა გაქვთ ფეხსაცმლის ძირები? —
საკუთარ კანისგან მე შევიკერავდი
ხამლებს და ჟანგიან ვედროთი გიჟივით
ვივლიდი: შევთქვლეფდი მისიმას**** ხურმას,

ბავშვები „როდიონ ბოხუას...“ ყიჟინით
დამედევნებოდნენ „მტერს“ — ხურმის გურმანს...
.....................................
.....................................
რადგან დავილალე: დაგროვდა ნაცარიც
სულში და, თანაც როგორი!..
დამთავრდა კაიფი... დროზე გავასწარი:
მზის თავი — მოჭრილი მოგორავს...

## ლოკალიზებული ლექსი

არეალში რომ სახლია,
ეკუთვნის მავან დახლიდარს:
რატომღაც მიმზერს „მაღლიდან!“ —
უფხო და სულელ პოეტს...
მისი ქისით თუ დახლითა,
სუფრით, ზურნით და დაფითა,
თუნდაც ნემსით და ძაფითა
არ ვცხოვრობ, თუმცა დაფლითა
სულმა სხეული ჯაფით და
ვსვამ ჩემს წილ სიმარტოვეს...

## 1837 წელი: იმპერატორის მოგზაურობა კავკასიაში

მოდიოდა ნიკოლოზი,
თითქმის მთავარანგელოზი:
სომხებისთვის — მწყალობელი,
ჩვენთვის — მორი აბანოზის...
მოჰყვებოდა რუსთა ხიშტი,
ხელთ ეჭირა თუშთა ქიშტი:

*მოსაწევი ბალახი (ჟარგ.).
**როდიონ ბოხუამ თავი დამიხერხა (მეგრ.).
***აფრიკის ერთ-ერთი ტომის ენაზე ნიშნავს ჟიმაობას.
****იუკიო მისიმა — იაპონელი მწერალი (1925-1970).

ჭავჭავაძეს დო აჭამა,
დადიანს კი მწიფე ხვიშტი,
აქსელბანდებს აგლეჯდა და
ქირქილებდა: „კნიაზ? — იშ-ტი!“*
................................................
................................................
შემდეგ იყო ბალ-ბანკეტი,
დეკოლტე და ლალ-ზურმუხტი,
პოლონეზიც იცეკვა და
მოეწონა ფერი მუფთის...
თავადებმაც ჩაუწვინეს
მაიკო და გურანდუხტი...

## იმედგაცრუების შემდეგ

სიმარტოვეში, როცა საუბრობ
საკუთარ თავთან და მოსახედი
უკანლა დაგრჩა, თურმე საწუთრო —
ყველაფრისმხედი, თანაც თავხედი
ყოფილა: არრას გიტოვებს წინ და
გინდ წერე, გინდა ილაპარაკე!..
სიცოცხლეს — ქუსლზე გახეულ წინდას
კემსავ ეზოპეს იგავ-არაკით...

## დაგვიანებული ბარათი

**(ციკლიდან: იქ და აქ)**
**უშანგი გაბიტაშვილის ხსოვნას**

იქ რას აკეთებ, ბიჭო უშანგი,
ხომ არ უკითხავ "პედრო პარამოს"*
საძმოს?.. როცა ჩვენ აქ აეშაგი
დაგვდევს შიმშილი და უვარამოდ

***თავადი? ამას უყურე ერთი! (რუს.).**

დღე არ გველირსა... ზუგდიდში ვზივარ
და კუჭს ვატყუებ მეზობლის მსხლებით,
თუმცა, რა უჭირს? — ბერიკაცი ვარ!..
საერთო ჯამში ყველანი ვკვდებით...

ვერ მოგეფერე... ვერც დაგიტირე...
და მაინც, მაინც, ვით ღვიძლი ძმები
ვრჩებით: ტურებმა დედა გვიტირეს
და გადადიან მალაყებს მგლები...

## შტრიხები პოეტისა და ფინანსთა მინისტრის პორტრეტისთვის

„მარმარილოს გოეთე"
პორტფელს, ანუ ჩანთას
აზის, მიეთმოეთებს
ამბობს ეკერმანთან...

მნამს: მამონას წინარე
პოეტის ინტერესებს
ვერც დაიცავს, თან წინ არის
და არც მაინტერესებს...

## ფერისცვალება, მაგრამ არა დამასკოს გზაზე

სავლე იქცა პავლედ
და მოსავალს იმკიდა:
ცხვირით წყალს არ დავლევ
მისი გადამკიდე,
თუმც ვიქნები ღარიბი,
როგორც უფლის გლახა —
პოეზიის ტარიგი
და დაკვლის წინ ახალ

*ხუან რულფოს რომანი.

სიტყვას ვიტყვი... თვალებს
შეიფარებს დაისი...
ბლავის ექო: მალე!..
არვის შესაბრალისი
არ ვარ, დაფნის რტოებით
ვერ მიყიდის ცისკარი!
ნავალ, რადგან პოეტი
ყველა — ნაღდი — იქ არი!..

## უსათაურო

ატმებმა მძაფრად შემოუტიეს
ჩემს სარკმელს: ვწუხვარ, ბერნარ უტიეს*
კითხვას ვერ ვასწრებ და ისე ვკვდები:
— მე თუ დავმარცხდი?.. შენ გაუტიე
და წერე, წერე!.. შემეშვი ბებერს და, ჩემი წეკო გამაფუტიე!..
კარგა ხანია, არ მაღელვებს ქება თუ ტაში,
ძაგება ჩემი, სხვათა — "დიდება"...
კიბეზე ვზივარ, ვაბოლებ წეკოს და კვამლს ვუმზერ:
მიცურავს ცაში...
დასაბამიდან ასე ყოფილა:
რაც (ვინც) იწვის, ცად დამკვიდრდება...

* ფრანგი ქართველოლოგი.

## „კვირის პალიტრა“-ზე მინაწერი, ანუ ჯო ესტრადას ნამეტნავად არაესტრადული ნომრის მკაცრად დატუქსვა

ესტრადა ფრიად პოპულარული და მასობრივი ხელოვნებაა („ლიტ. და ხელოვნება“), ქეგლ, ტ III.

ფილიპინელთ ექსპრეზიდენტს
უჭამია ბლომად პესო: *
მთელი ოთხი მილიარდი,
ნაასლიკეს თავი დღესო, —
აღშფოთებით „ქუხს“ გაზეთი;
გავასქელმა თუნდ იკვნესოს,
ექსპრეზიდენტს ხალხის რისხვა
არ შეარჩენს არაფერსო!..

## მარათონული ჩრდილ-ნათელი

სიბერეს სევდა ახლავს და,
როგორ ვიცხოვრო, მასწავლეთ!..
ვირთხამ ხომ ჭერიც გახრა და,
ვფიქრობ: მეც ვნახავ ვარსკვლავებს...

ახალი რაა თქვენთან?.. ჰა,
კვლავ ბიუჯეტზე კამათი?..
არ დააფეთა უფლის ხმამ
ჭაკნი იმათი, ამათი?!.

მოკლედ: არაა საშველი!..
მგონი — მარილზე მივდივარ...
არა ჩანს რგოლი — მაშველი:
დღეს პურიც ვერ მიყიდია...

* პესო (ესპან. პესო) — ფულის ერთეული.

## რუსული რიგრიგობა

(ინგმარ ბერგმანის წიგნზე მინაწერი)

პიანისტებს აწუხებთ,
თურმე ზურგის ტკივილი:
სისასტიკის მარწუხებს
არად უჩანს ყვირილი...

ბალღს — ანგელოსს — ელოდა და,
უკრავდა ბახს, შუბერტს...
საწუთროში ბნელოდა და,
ოთხზე დააყუდეს...

ოფლის სუნი: „კალსონების"
უსასრულო ჩახდა...
პიანისტი* — ფასონებით —
გზის მეძავი გახდა...

კენისგბერგში რუსის ჯარი
ურტყამს ბილწად, ჯავრით:
ქალს აგრილებს ოცდაოთხი
აწყვეტილი ხარი...

## ვარიაციები თემაზე: „კაპიტალის" ავტორის "ცხოვრება და შე...მოქმედება"

იუმორისტულ დუშეშით
ლაღად მაცინა დოჩანამ:*
შმაგ — ეროტიკულ — ბუჩქებში
კარლ მარქსის წვერი მოჩანდა...

*ანდრეა ფოგლერ-კორელლი — XX საუკუნის იტალიელი პიანისტი.

ინვა ბოზბანდის მუსუსი:
ზეობდა — ივიც — ორალიც...
ნაზად კვნესოდა ბუ რუსი —
„კაპიტალს“ ნაამბორალი...

* * *

„დიონისე — ჯვარცმული“
ანუ ნიცშე — დიდი
ამბობდა, რომ „წინაკაცი
არის მხოლოდ ხიდი
მისთვის, ვინც რომ მიდის უკან“,
თან ზეკაცის რწმენაც
შერჩა: სხივით ფატრავს უკუნს —
ბებერ ბედისწერას...

## ნახანძრალი ხე ფანჯარასთან

თეიმურაზ ლანჩავას

ფრთებმოჭრილია ხურმა,
რადგან ჩემი ხნის არის...
კოლხეთი დახრა შურმა
(ისმის ქვითინი ქარის),
თუმც იბერიის ხნისაა
ჯილდო-სასჯელი, ვფიცავ:
— ჩემი და ჩემი ძმისაა
ტანჯული დედამიწა!..

*იგულისხმება გურამ დოჩანაშვილის ახალი რომანის “ლოდი, ნასაყდრალი“ ერთ-ერთი ეპიზოდი (ავტ. შენიშვნა).

## ᲑᲐᲢᲘᲡᲤᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲒᲝᲡᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲚᲘᲢ. ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ, № 2

**(ციკლიდან: იქ და აქ)**

თუშეთში წუხან ხმელი კართენი,*
აქ — მოტოციკლით დაქრის პართენი,
ნაყინს ყიდის და, აგროვებს ხურდას —
ბელადის კეპში... უფლის მართვენი —
დასდევენ... ვერ ვწერ: ვინ ამიბურდა
საწუთრო?.. ვწუხვარ: ვერ მივაგენი...
მოჭრილ ფრთებიდან ხელში შემრჩა ისტორიულ-ისტერიულად
მოყაყანე ბატის ბუნდლა და,
სკეპტიკურად დუმან ბაგენი...

## ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐ: ᲭᲘᲐᲙᲝᲙᲝᲜᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲮᲢᲝᲛᲐ

**ზაურს**

სიკვდილი — წამის მომხელთებელი —
ჩამოვარდნილი (ვითომ?..) აგურით —
მშენებლობიდან... „წუხს“ ბელზებელი:
წარსადგენია ოქმი მტკიცედ მოამაგური...

ეგ ყველაფერი სიზმარში ხდება,
საბედნიეროდ — ცხადში: ცოცხლები
ვართ... თმაში სანთლებს გვაწებებს დედა,
გავრბივართ გარეთ... ვხედავთ: ცოცხებზე
სხედან ალქაჯნი, მიაჭენებენ
შავრებს — შეშლილთა მიქრის მარულა,
ხოლო ბალღები — კოცონისკენ,
მათ ფეხებს ლოკავს ცეცხლის ენები:
— არული კუდიანებს, არული!..

***კართი (თუშ.) — ფესვი.**

## ტელესერიალი: პარლამენტის სხდომა

(ციკლიდან: იქ და აქ)

„...თუმცა ჩვენი ცრუ სამსონები ჰ ა ლ ა ს —
ბ ი ჰ ლ ა ს ფიცავენ და უნდათ ყველა დააჯერონ,
რომ ჩვენს მეტი არავინ არისო".
ი ლ ი ა

იქნება, არ იქნება? —
ხომ მმართებს დაფიქრება:
საფლავშიც არ მომაკითხონ
აქ — სულძაღლთა ფიქრებმა,
არ მომთხოვონ იქ — ჰადესში
"კლასიკ... ოსმა"(?) ციგნებმა,
რომ სიმართლეს უღალატონ
სისხლჩაღვრილმა წიგნებმა:
აქ, რომ ვწერდი მშიერი და,
იქაც არ ვარ მაძღარი...
კვლავ ვწერ — გუდამშიერი ვარ —
ჰომეროსულ ხარხარით...

## ნოსტალგია: სოხუმური ზაფხული

კუთხე: ფარდული — რედაქციასთან —
წყლის გამყიდველით: კონხიოლოგი?..*
ხმელთაშუა ზღვის დიდ ნიჟარაზე უთვალავი სხივი ალმასთა...
ხურდა... შიშინი: გაზი — პროლოგი
ოქროსფერი წყლის... სიგრილე — ვერცხლი —
ყელში: მადლობა!.. თეთრი სვეტები
სანაპიროდან, პოეტურ ცეცხლის
ჩემში ჩაქრობა და გამეტება...

*კონხიოლოგია — მეცნიერება ნიჟარების შესახებ (ავტ. შენიშვნა).

## შემოქმედებითი კრიზისი: შუადღის მიღმა

(ციკლიდან: იქ და აქ)

ვსვამ — გენიალურ ყავას,
ვკითხულობ — გენი... ოსებს(?)...
ვერ ვწერ: როცა იქ წავალ,
აქ — შემშურდებათ ქოსებს,
იტყვიან: ბედნიერია,
წვერ-წვერა ასეც, ისეც...
ეჰ, კარგი სიტყვა ბევრია,
მაინც დასცდებათ მქისე...

## ზემოთ, ქვემოთ და ირგვლივ

გოგი წერეთელს

ზემოთ: ფხაჭუნი თაგვის...
ქვემოთ — ტომები ფუნის...
ფანჯრიდან მოდის ნაგვის
უსაძაგლესი სუნი:
— იქნება, ფოთლებს წვავენ,
ანდა ახადეს ჩეჩმას
თავი? — ამდენს რას ჭამენ,
ეცოდინება ეშმას...
უფალმა არა უწყის რა,
ბელზებელს გააქვს ლელო:
კანონს ხატავენ "უწყის"-ად, —
დაამხეს საქართველო...
.................................
გაყიდეს წყალი, მდელო,
ტყეც და, ზეზეულ ვკვდებით:
"მამულო, საყვარელო,
შენ როსლა აყვავდები?"*

* ილია ჭავჭავაძე

## ზუგდიდური ცივილიზაციის „ყვავილები“

**(რეპორტაჟი ქუთაისის ქუჩიდან)**

დილა: ჩემს ჭიშკართან ერთურთს ხვდები ორი ლესბოსელი:
კოკოტ კოკროჭინას აყლარწულთან მოაქვს “„პრეზენტ“* —
მაისის ვარდი...
გაშმაგებით კოცნა... მაღალს ჩანთიდან უჩანს “ჯეოსელი“:
“მუშაობს თუ არა?“ — აი, ჩემი მთავარი დარდი!..

ცივილიზაციის ბიძაშვილია პრივატიზაცია,
დემოკრატიის დეიდაშვილია კანალიზაცია,
პროსტიტუციის ლეგალიზაციის მამიდაშვილი გახლავთ აქცია,
რომელსაც თვალწინ ურცხვად ატარებს ორი
ზუგდიდელი მაქცია...

ლენჩივით ვდგავარ და, ვეწევი “ასტრა“** — ლურ ცხოვრებას,
ვერ მოვიკიდე ქონი და, ლექსები მრჩება ქონებად...
მკითხველო, ბელატი პოეტი თუ აგენტი-შპიონი-შპიკი-გამცემი
და სხვ. გეგონებათ?
აიღეთ ტ.ტ. და “დამადეთ გულზე ცამეტი ტყვია
იმ თქვენი მამის სულის ცხონებას!“***

***საჩუქარი (ფრანგ.).**
****იგულისხმება იაფფასიანი სიგარეტი „ასტრა“-ც და ასტრალური ცხოვრებაც.**
*****ტიციან ტაბიძე**

## ანდერძი

**გიორგის და ნინოს**

დაღლილ ფრთებიდან — სტრიქონებიდან —
მარგალიტები — წვიმის წვეთები —
ქაღალდზე ცვივა... მაცდურ მთებიდან
წიაღს ჩასული, შევეფეთები
ნებისმიერ მსჯავრს: იქ — ვიწრიალებ —
საუკუნიდან დევნილ-ზედმეტი,
რადგანაც ვიყავ — ლომის ღრიალით
და მსრესდა პირქუშ ტომების ხე-ტყე —
მტვერწაყრილი თუ კვლავ წაკითხული:
ხან ქება, ხშირად — ბილწი გინება...
მიწაშიც ვხედავ: ლექსი — ბინულის
წკრიალით თქვენსკენ მიედინება!..

## ციკუტამდე და ციკუტის შემდეგ

არა მაქვს საქმე არავითარი
ლიტერატულ რეპტილიასთან:
წერენ? — უკუდო მგელზე ვინც ზის, წყვილ-წყვილად გასდის
ჰავა თუ ქარი? —
ბოზებს თუ ბოძებს ძაღლმა მიაფსა...

ყოფნა-არყოფნა: ძეხვის ფაბრიკის დირექტორებს ჰგვანან
ნუვორიშ-ვაჟბატონები, *
ქონისძიების ქალბატონები მაგონებენ ანჩხლ, მსუნაგ კატებს...
ბებერ უპოვარს კუშტი სიმართლე ნეტავ რატომ მაქვს დასამალი?..

ციკუტამდე: „მე ის ვიცი, რომ არაფერი ვიცი“ — ბრძანა
ბრძენმა სოკრატემ,
ციკუტის შემდეგ: — „კრიტონ, შესწირეთ, არ დაგავიწყდეთ,
ასკლეპიოსის გვმართებს მამალი!..“

*ნუვორიში — „ახალი მდიდარი“ (ფრანგ.).

## მშობლიურ წყვდიადში: ადამიანები და ძაღლები, ანუ მეზობლის ოთხფეხასადმი მიძღვნილი სტრიქონები

ეხ, ბათურა, ბათურა,
არც გჭირდება ნათურა:
წერა-კითხვა შენ არ იცი,
რუსულად თუ ქართულად,
რამერუმეც, რამაც სრულად
ცხოვრება გაართულა...
ძვლებს პატრონი მოგიტანს და,
ტკვერავ ძაღლურ-დათვურად...

ყეფ, როცა გრძნობ: განვიმდება,
წვები ბუდრუგანაში...
მე სტრიქონს ვწერ: ვის სჭირდება?..
ხვიშტს მომცემენ ამაშიც!..

ორი სახლის ბედი გვაწევს
ქედზე... ლექსს წერს სამიწე
ხელი... ალბათ, აწ შენ დაწერ,
ყეფას კი — მე დავიწყებ!..

* * *

როდესაც იცი: ეს დღეც მოკვდება,
ბინდში გადავა, როგორც სურნელის
სასოწარკვეთა... კვლავ მეორდება
შენში ტკივილი, შავი კუნელის
ეკლის სიმძაფრით: რას ელოდები,
საბრალო ხორცო — ტანჯვის ჭურჭელო?..
დაბადებიდან რისხვის ლოდებით
ნაგვემო, ძილშიც უსმელ-უჭმელო!..

## ᲡᲞᲔᲚᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲫᲘᲔᲑᲐᲜᲘ

**გივი ორაგველიძის ხსოვნას**

მან თან წაიღო უებრო
ფრანგული ენის ცოდნა:
— მარტოკა უნდა ვუბერო,
განა არა ვარ ცოდვა?!

არ მეტყვის დილის ყავაზე:
— სტარიკ, სდელაემ ტიტი!*
გამქრალა, როგორც ლამაზი
სტალაგმიტ-სტალაქტიტი...

მიწაზე როგორ ვეძებო,
თუმცა ცის თაღზეც არ ჩანს...
თუ ხმა ჩამესმა: ვერ ვძლებ!-ო...
გამოქვაბული დამრჩა...

## ᲢᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲢᲘᲠᲐᲜᲘᲐ

ამ კოშმარული სიზმრების რკალში
რომ არ თავსდება დანიშ პირველიც:**
ეგ გახლავთ განხეთქილების ვაშლი —
გრანდიოზულად გასაკვირველი!..

ძილშიც მახრჩობენ “დიადთა“ სენით —
დაფნით — პოეტი, ბრძენი, ტირანი,
რიტორი — ხუთივ დიონისენი —
ნაბახურევზე ძვალი ტარანის...

***პოეტისა და მთარგმნელის კოდი: მოხუცო, შევაკეთოთ არაყი ლოკი თითის სისქეზე და გადავკრათ (ავტ. შენიშვნა).**
****პორტუგალიის მეფე (1261-1325).**

## ციბია-ტიბია პოეტის მიერ დამწვარ-განადგურებული ტექსტების აღდგენის მცდელობა და დათარსული დილა

ნაბახურევზე — ლუდზე
ვფიქრობდი, არა შენზე
ან ჯოხზე: მე რომ მდრუზეს —
თავში... არაფრის შემძლე
ვიყავი: ხურდას ვითვლიდი
ჯიბეში, რადგან ყარდა
საწუთრო — მცირე თუ დიდი —
დანტეს ჯოჯოხეთს ჰგავდა...
შენ კი „ბრძნულ" ჰაზრებს მანდობდი,
თან ხარჩოს სუნიც გახლდა...
ლუდი მენადა, ვდარდობდი:
ნეტავ შორს დამასახლა!..



[illegible] (1990-95)

# ამათი ფოსტის ღდინიც ვატირე...

**თენგიზ პატარაიას ხსოვნას**

ორშაბათია. 30 წუთში უნდა ვიყო სამარშრუტო №1 ავტობუსში, რათა მივუსწრო თვითმფრინავს და გადავფრინდე ჩებოქსარში, სადაც უკვე მელოდებიან ჩუვაშური ლიტერატურის ფუძემდებლის კონსტანტინე ივანოვის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ იუბილეზე. მეგობრები მელოდებიან.

უნდა ავიღო „ჩვენს ფოსტაში" მოსული „ჩემი ფოსტა".

უნდა, უნდა გადავიხადო 30 მან. მეზობელ წიგნის მაღაზიაში — მანდელშტამის 5 წიგნის საფასური. რამეთუ ისევ იგვიანებენ ჩემი ტომები, მეგობრებს ვჩუქნი მანდელშტამის ძვირფას ლურჯ ტომებს, მწამს, მეგობრებს არ ეწყინებათ...

უკვე ავიღე ფოსტა. ულდისის წერილს ვკითხულობ: ეტყობა, შვედურ ლუდს სვამს სვიანს — შვედური სოციალიზმის მომხრე...

უნდა დავლიო „მთის ნიავში" ჩემი „მორიგი 100 გრამი..."

ჰა, როგორც იქნა, ჩავუშვი!..

რისი ნიავი? — 100 გრამი კონიაკი ძონად ჩაბრძანდა ხახაში და მიგრიალებს — დასავლეთის მიმართულებით — პატივცემული უ. შექსპირის ქარიშხალივით...

რახან არ შემრჩა ტაქსის ფული, ავტობუსის გაჩერებასთან ბოძივით ვდგავარ — მგოსანი — სარგადაყლაპული...

გადავშალე „ლიტ. საქართველო": ბოლო გვერდი და ელდა მეცა კონიაკმაც დამარტყა, როგორც საბჭოთა ურომ... რაც მთავარია, შენგან ამას არ მოველოდი, რა დაგიშავე, ბიჭო?!

ამათი ფოსტის ღდინიც ვატირე!
ამათი ფოსტის ღდინიც ვატირე!
ამათი ფოსტის ღდინიც ვატირე!

ბიჭო, თენგო, რა დაგიშავე! რომ შენს ნეკროლოგს ვკითხულობ?!.

ნისლიანია ზაფხულის სივრცე, სევდისფერია შენი სურათი, ბინდისფერია გზა...

თენგო, ბიჭო, ამ ახვრებმა განა იმისთვის აიღეს ფოსტა, ტელეგრაფი თუ ხელისუფლება, რომ გაზეთი, სადაც ციმციმებს შენი სევდა — ნეკროლოგი — 4 დღის შემდეგ გადაეცათ ხელმომწერთათვის?..

~~ამათი ფოსტის დედაც ვატირე!~~
~~ამათი ფოსტის დედაც ვატირე!~~
~~ამათი ფოსტის დედაც ვატირე!~~

25.06.90.

მინაწერი: ნუ გეწყინება, რომ ბარათი — აღსარება დავაგვიანე. ვიცი, მენდობი, რომ აქამომდე მაწვალებდა იმ დღის ტკივილი და ვერ გავბედე, მეთქვა. დღეს ამოხეთქა სათქმელმა, რადგან დღეს დღეა ჩემი — შენი ძმაკაცის დაბადებისა: ხომ ხედავ როგორ ინყება, ძმაო, აქ დაწყევლილთა, იქ ბედნიერთა დაბადების დღის დილა...

## შეთქმულება — გადატრიალება, რომელიც მოხდა ქარლანდიის დამოკიდებულ სახელმწიფოში: 1921 წელს და ა.შ.

(ქვეშეთ მბერავთა პარტიის მანიფესტი)

ქარაფშუტულად ლაყბობენ
თავქარიანი, ცეტი,
ჩიტირეკია, — ამყნობენ
„დემოკრატიას“ — კეტით
ქარიფანტია, ცანცარა,
ფუქსავატი და კრეჭია —
იმდენი ქექეს ნაცარი,
დასაბან-გასაკრეჭია
შუშტრუკანა, ქარაფინდა,
ტუტრუცანა და ცერცეტა,
შატაბუტა გაგვებუტა,
დაუსტვინე არც ეტევა
ჩვენგან ჩამოთვლილ სიაში,
თუმც ძამას — ფშვიტინს უხმობს,
რომ ჰავა ქარლანდიაში
მოწამლონ, მხოლოდ უხმოდ...

## ასოს ამრჩევი არტისტი

ისე გალაღდა, „ლ“ დაგვიწუნა,
თითქოს ეგ იყოს მთავარი,
როცა ზლაპარშიც ამბობს წრუწუნა
ასო „ყ“ მაქვსო მაგარი!..

კოტე, უფრთხილდი ზუგდიდს და სენაკს,
თან შეუკვეთე აბჯარი,
რომ არ დაგჭირდეს ენაზე კბენა
და არ დაკარგო ხვანჯარიც...

## რეალური რეზიუმე:

არტისტიც ხარ, კრიტიკოსიც,
კვაჭიც ხარ და ცინიკოსიც...
გაინაღდე მომავალში
შაშაკოლა ტიტიკოსი...

## სევდიანი საღამო და ტრივიალური რითმები

დაე, მე მოვკვდე ღია თვალებით...
მიგელ დე უნამუნო

თუკი ოზი პაუელი*
კვდება ამერიკაში...
უკვდავებას აქ ნუ ელი,
გნამდეს: ფეხებს გაფშიკავ...

— შემდეგ? — სინონიმი — მერე
ნაღდი მკვდარი გახდები,
როგორც "დაჯექი და წერე" —
მკვდრეთით ველარ აღსდგები...

*ამერიკელი პოეტის ლენგსტონ ჰიუზის (1902-1967) ერთ-ერთი ლექსის გმირი.

## არ ახალია, ძველია

(ლექსიკონური)

ძაღლს ლატვიურად ჰქვია „სუნს“,
ქურდს კი, რატომღაც „ძაგლის“...
ფეხს რომ დაადგამ — იგრძნობ სუნს —
ნეხვის — ძველის თუ ახლის...

ძველია, როცა პარტიას ქარტია გაერითმება,
ახალი? — ნორჩი მწვირეთი ხალხს ფანტავს „ოპოზიცია“...
„პ“ — მალე ამოვარდება: ეჰ, ცუდად წაიკითხება
„ბ“ — ასო, მაგრამ ეტყობა, რომ ესეც აღარ იციან...



[illegible]

## I. ჟამიანობა

ყელზე მეხლება მყრალი ალყის მარყუჟი — ტალღა,
ბინძურად მახრჩობს,
უკვე ვხრიალებ და მასხამს ჭირის ოფლი...
მათ საფლავებზეც — მომავალში —
„ძეგლი" დადგას მეგობრის ძაღლმა, —
მათ საფლავებზე რომელთაც ახლა
მხოლოდ ბოღმის ჰაშიშიც ყოფნით...

სიყრმის ქალაქის ასაკლებად მოდიან ყინჩად —
ავტომატებით: ღმერთო, მომკალი! —
რას მოვესწარი? — ჩათლახს ხელში უჭირავს სირჩა —
ჭაჭით და მეძავს „შამპო" — ბოკალით...
თურმე ზუგდიდშიც ჩათესლილა ცრუ და იუდა,
მე კი მახსოვდა მხოლოდ გმირები...
ბედაურები დახოცილან...
მიწას — ქალამნად და ზეცას — ქუდად
ინაწილებენ ჟამის ვირები...

## II. გუშინწინდელ ლაურეატებს, გუშინდელ „ოპოზიციას" და ძმათა მათთა

თქვენ „ნაზად" ბრძანებთ: ფრიად გიყვართ დემოკრატია,
მაგრამ ავგურებს ედრებით...
— ნეხვს მიირთმევდით? — აწ გერგებათ ბატიც, კვატიც, აჰ, —
ყიყინის "შედევრით"...

თქვენ ყინჩად ბრძანებთ: რომ ელოდით ცათა მეუფეს,
და შეგხვდათ სატანა...
ვერ მოერიეთ, ვერ შეჭამეთ, ვერ დაეუფლეთ, —
გიჭირდათ ატანა —
„გლახაკების და უპოვართა"... მწამს: ზეცამ იცის,
ვინც იყო მართალი...
უფალიც იცნობს თქვენს ცრუ ფიცში ავგურთა სიცილს:
„ესემც გეცვითოთ ფართალი!.."

## III. რადგან აიმღვრა წყალი და გამოსავალი არ ჩანს

მე მეტირება ყოფა,
შენ გეტირება ყოფა,
მას ეტირება ყოფა!..
ქოხში ვალალებს? — ჟამის ბრალია —
გლეხს ცარიელი შერჩა ნალია...
მივუსამძიმროთ? — ჩვენი ვალია! —
ქვეყნად იმდენი სატირალია,
ვფიქრობ, რომ ცრემლი არც კი გვეყოფა...

მაგრამ მთავარი არის,
დარეკეს მწუხრის ზარი,
უკვე ჩარაზეს კარი:
აი, რა არის მთავარი! —
მოავარაყეს ჩვენი გალია
ოქროსფრად, ვფიქრობ: სატირალია,
რომ შთამომავალთ რჩებათ — ძალიან
ანატირები ეგ ყოფა...

## IV. დამარცხებული კოლხის დილა

მეტად მწარედ გული მტკივა,
მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს...
დავით გურამიშვილი

ჰა, მაჟრჟოლებს, ტანში მზარავს,
ბოლმა მიფორიაქებს
სულს, სამყაროც გაიბზარა,
თითქოს ვიყო თრიაქით
მთვრალი... სტრიქონებად ცვივა
შავი ცის ნაფლეთები.
ჩანიხლული სული მტკივა,
წყვდიადს შევეფეთები;
გოლგოთისკენ წავალ, მაგრამ
აქ — ბილიკიც გამქრალა,

ველარ ვნახავ უკვე ნაგრამს,
გულის ცეცხლიც ჩამქრალა...
— სამეგრელოვ, მე რა გითხრა,
როცა ღრეობს სატირი? —
ვინც შენს შვილებს საფლავს უთხრის,
მისი დედაც ვატირე!..

## V. ღამეული სვლა

იქნებ, თქვენ უწყით: რა მემართება,
უფალო ჩემო და განმკითხველო?..
მწუხარე ღამე რას მემართლება —
ალმა ცხოვრების დალმა მკითხველი...

მწყინს: ვერ გავიგე ყრუმ ვერაფერი
ამ საწუთროსი — ბრმად მივალ, მტკივა
ჩონჩხიც... ბატონი ბალახი მღერის,
ჩანს: არ იცის, რომ იქცევა თივად...

## VI. მტერმა აიღო ქალაქი ჩემი და თებერვალმა ჩამოიარა

„კონგრესს" ვეწევი, რადგან არა ვარ
წინაალმდეგი კონგრესებისა...
ჰა, ჩემმა ქუჩამ კვლავ ჩაატარა
ცხედრის ნაფლეთი, როგორც შერისხვა...

„კონგრესს" აბოლებს ბანდიტი სადღაც
და ქალაქს უშვერს ქვემეხის ლულას...
დავმუნჯებულვარ... დამეტყო დაღლაც:
— რა სისხლიანი თოვლი მოსულა...

## VII. ვედრება

გემუდარებით, თქვენ ოდენ
არ ჩააბაროთ ქალაქი...
„ხელისუფლება" რომც თოვდეს
იასპს, ზურმუხტს და მალაქიტს...

თვით უფალს შევევედრები,
რომ ცამ აშოროს სირცხვილი
შვილებს — ჩვენს გამო... ფერდები
მტრებს რომ არ დასწყდეს სიცილით...

მე დაგიჩოქეთ... აწი თქვენ
და გულის ცეცხლმაც იცოდეს:
— თუკი ქალაქი გაწირეთ,
უფალიც არ შეგიცოდებთ...

## VIII. ზუგდიდი: 1992 წლის 28 იანვარი

დამარცხებული და თავდახრილი,
რომ არ მენახე, სჯობდა
შხამიც, ბრმა ტყვიაც — სჯობდა ნამდვილად,
ზიზღი წვიმდა და თოვდა —

უძლურობისგან?.. ისროდნენ ტყვიას
ავაზაკები ცაში:
გავიფანტენით... ახლაც ატყვია
გაფითრებული ბავშვის
სახეს — სირცხვილის ტალღის დინება,
როცა ბანდიტმა ბრანწი
დედებს უჩვენა, ვით შეგინება
ყოვლადწმინდისა... აწი

რა გვეშველება? — მფატრავდა ფიქრი:
— როდემდის, ღმერთო ჩემო?
უნდა მტანჯავდეს კაენთა ტვირთი
და დამარცხების გემო?!

## IX. „ოპოზიცია“ — ოჳ, პოზიცია, ხოხ, — ბტრ-ი მოთხვრილა მტვრით

ფიზიკური უკვე იყო,
ან იქნება — ზნეობრივი
ბრანწი,* რათა არ გაიყოს
საქართველო, თუმცა ძვირი
ჯდება, ძმანო, ეგ “ერთობა“
და ნარწყევში გდია გული:
— მადლობა ღმერთს, რომ ერთობით
„დიქტატორის“ დაჩაგრულნი...

## X. ნაგავთა ომი, ანუ თანამედროვე „დისკუსია“...

ნაგავმა ნაგავს ავი უთხრა რა,
რასაც ნაგავმა ძირი უთხარა,
ნაგავმა ნაგავს გამოუთხარა,
თან ნამეტნავად ნაგვური...
ჰოდა, ებრძვიან ერთიმეორეს,
ისვრიან ტლინკებს, დროდადრო — ტორებს,
ავრცელებს პრესა ნაგავთა ჭორებს:
წითლდება თეთრი აგურიც...

პოეტმა რა ქნას? — იცინის...
მკითხველმა რა ქნას? — იცინის...
მელიამ რა ქნას? — იცინის,
რადგან მწყერჩიტა ართობდა —
სეირით, სანამ ნათობდა
ლეშით მაძღარი მელას მზე,
თუმც თავში ჰქონდა მნიფე ბზე —
მელიას — კუდაგრძელიას...
ალარ იცინის მხოლოდ ავგური.

*„ფიზიკური და ზნეობრივი ბრანწი“ — თ. დოსტოევსკის ფრაზა.

## XI. 25 დღით ჩაკეტილი პოეტის მონოლოგი

**ჩემი სახლი — ჩემი უბედური ციხე...**
**მიგელ დე უნამუნო**

თუ სიცრუის სიმინდს ფქვავს
ჯოხის ხელისუფლება:
ესე იგი ნაღდად მაქვს
თვით სიკვდილის უფლებაც...

თუ ქალაქში შემოდის
სისხლიანი მაყარი
და ბღავის: „საღამომდის
იარაღი დაყარეთ!"
თუ გზა — წიგნის „სარჩევი" —
ცოლ-შვილისკენ ჩარაზეს:
აქ — ზუგდიდში დავრჩები
და კუდს გავდებ ყავარზე...

მე კონდახის ყმა არ ვარ
და ცხელ ტყვიას "მიძღვნიან"...
— ასე მწამს და აქ ვდგავარ,
სხვაფერ არ შემიძლია!..

**ზუგდიდი — სოხუმი,**
**იანვარი — თებერვალი, 1992**



[illegible]

## 1. ღორის ნელინადის „ყვავილები"

ავაზაკთა დიქტატურას —
ბილწთა მმართველობას...
ესალმება თავკანტურა —
„ნაღდი" ქართველობა...

რა თქმა უნდა, იმ „ნაღებში"
ვერ ვიქნები სარგო:
სუნამონაპკურებ ნეხვში
არც მსურს ჩავიკარგო...
თავი რისთვის მოვილორო? —
არ ვარ ფუნის ხოჭო!..
შენს სალაფავს არ ვჭამ, ღორო,
და არც შენსას, გოჭო!..

თვით სიკვდილიც ვერ დამზაფრავს,
არც ქვითინი მინდა...
ზღვაზე მიქრის ჩემი აფრა —
დაკემსილი ნინდა...
მინას რჩება დანარჩენი:
უწმინდურიც, წმინდაც,
და ხმა — უფლის განაჩენი
ჩამოსული ციდან...

8.6.1995

* * *

2. ჰაი, სიმრუდის დედასა! —
სანუთრო რამდენს ბედავსა:
ბრიყვნი ღრეობენ, ბოზობენ
და თითქოს არცა ხედავს, რა
არსთაგამრიგე მარიგებს
ჭკუას და სევდის სევდასა
მახლის: ეხ, დრო, ჩავიდე,
შევჩივლო ბეჩავ დედასა...

## 3. 90-იანი წლების ქართველი სატელევიზიო პოეტებისა და მწიგნობართა სახეცვლილება — „გარდაქმნა“

**სახეს სიყვითლე მორევია, სხეულს — სიმჭლევე,**
**პირდაპირ როდი იცქირება, ჟანგი ხრავს კბილებს,**
**გამწვანებია მკერდი ღვარძლით, შხამი სდის ენას.**
**პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი,**
**„მეტამორფოზები“**

რუსთა ქვემეხოსანი,
ხან — ჰაუბიცოსანი:
— პლი! — ღრიალებს რუსთაველზე —
უწინ „ხალხის მგოსანი“...

ახლა? — ვირი ნიღბოსანი,
ჯოხოსან-კეტოსანი...
„სუნიანებს“ დაერევა —
წინათ “ხალხის მგოსანი“...

მარტის 7: ჰა, „მარჩენალს“
ხვდება „ხალხის მგოსანი“,
რომ შებღავლოს ანტიქრისტეს —
სკამის მონამ: ოსანა!...

ქუხს: „დავამხეთ!“ — დანარჩენი
ნერტილთშუა წერია.............
..........................................
..........................................
— შე საწყალო, საქართველოვ,
ბედი არ გიწერია!..

ბუშ-ბეიკეროსანი,
ხან — კოლ-გენშეროსანი
„ბრბოს“ ნაგაზებს მიუქსევს და
ფანტავს „ხალხის მგოსანი“...

ტყვიამ შეფიც გაშიფრა და
მელის ორდენოსანიც:
— თურმე მეფე შიშველია! —
ყვირის ბალღი — სოსანი...

ხალხს კი, როცა ლექსს უსმენდა,
ეგონა, რომ ფრთოსანი
ჩიტი ჰყავდა, მაგრამ შერჩა
კრუხი — ბუმბულოსანი:
ამხანაგი კალმოსანი,
ანუ ქლესა "მგოსანი"
დათვის მედალოსანი.
მელის ორდენოსანი, —
კვერცხის ნაცვლად ტყვიაზე ზის —
კ ა ლ ა შ ნ ი კ ო ვ ო ს ა ნ ი.

1995, ივნისი

## 4. აქა ამბავი ჩინ-მედლების, საპ. სიგელისა და დაფნის გვირგვინის გათათხვისა

(ჭაჭის არყის ფონზე)

არ გაგიცივდეთ ჩინ-მედლები
და „საპატიო" სიგელები...
დამსახურებულ საჭურისებს
უბრალოდ ჰქვია „დამს. დედლები"...

„პოეტი" სამსახურიდან შეშას ეზიდება,
ნადირექტორალი მზის გვირგვინს იზომებს:
— ჩათლახი ვიყო, თუ არ მეზიზღება
ამგვარ საქართველოში სიცოცხლეც!..

მადლობა ღმერთს, რომ არსებობს არაყი
და ნაგვის სუნი ნიავს მიაქვს:

— სკოლაში ვსწავლობდი „გაყრას“,*
ბუნაგში — “მეამბოხე ადამიანს“...**

## 5. მინაწერი ბილბორდზე: „გახსოვდეს აფხაზეთი!“ და ფოტოგრაფია

ბიჭვინთის პირსთან ვნახე კატერი
ჩანგალისტ*** — დიდოსტატის
მოგვარისა და, ჩაქრა კრატერი
აღშფოთებისა... ხატი —
იქ დაბრუნების — გაუჩინარდა...
გულს წიწკნის წიწვთა სევდა:
მე — მხოლოდ ჩემთვის ჩამოვუშვი ხავერდის ფარდა...
— ნეტარ ხართ, რაკი თქვენ, მკითხველო, იმედს — სხივს ხედავთ!..

## 6. სირთა და ჩიტთა სირისტიანი დემოკრატია, ანუ სოციალისტურ-კაპიტალისტური ორიენტაცია და პანთეონი

**თენგიზ კიკალიშვილს**

ხელოვანთათვის — მხოლოდ ბილიკი,
მატრაბაზთათვის — გზატკეცილები:
აჰა, მოქრიან ხარხარ-ქილიკით
მაძღრები, სახეგატკეცილები...

პიროვნებისთვის — ზღუდე და ჩიხი,
პარტიებისთვის — ავტოსტრადები
და გასვენება — „უმაღლეს ნიხრით“:
გრანელისკენ მიმავალ გზაზე — სარეველები: „ვარდები“ და ეკალბარდები...

*გიორგი ერისთავის პიესა.
**ალბერ კამიუს ნაწარმოები.
***მეჩანგლე (დამპატიჟე) სოხუმური ვარიანტი (ჟარგ.).

## 7. ზმანება: რომანტიკოსთა შარავანდედი

(ციკლიდან: იქ და აქ)

ველარ გავიგე: რისთვის მჭირდება
აქ — ლუციფერის მისვლა-მოსვლანი
და ჯღანვა, როცა ჩემშიც მძიმდება
ჰაეროვანი სიტყვა "მგოსანი"...

ჰა, გასარბენი განგაშის ველიც
მთავრდება: კუშტი მოჩანს ფრიალო —
ჩემი სამარე: ანგელოზს ველი —
ფრთით შუბლი მაინც გამიპრიალოს...

## 8. მდუმარე ვულკანი: ჰეფესტო

დავით წერედიანს

უკვე არც ვიცი: იქ — უნდა ვქროდე,
თუ აქ — ვცდილობდე — ურთიერთობა
„დავაბალანსო?" თუ რამ შევცოდე,
დიდი ფრანგივით — ვითხოვ შენდობას...

ვიხსენებ სოხუმს: მომენატრება
ამბოხებული ხალდეს ხმა — ლექსი,
მაგრამ შენ დუმხარ... რაღაცა ხდება —
მამულში: ვირთა ყროყინი მესმის...

## 9. სამარადისო გამოთხოვება

აქ — ყოფნის თასი — სავსე სამსალით
იყო და ხედავ? — თითქმის დავცალე!
ხან ღვთაებრივი, ხშირად — საწყალი
ვიყავ მამულო, შენ გენაცვალე!..

რამოდენიმე წვეთიღა ჩამრჩა
თასის ფსკერზე და ამაყად დავცლი...
მშვიდობით იყავ! — სხვისთვის რომ არ ჩანს,
ისე მოცურავს ქარონის ვარცლი...







## მელანქოლიის გამოქვაბული (სკეპტიციზმის თეორიიდან)

**გეშინოდეთ სიმარტოვისა,**
**გეშინოდეთ მცონარობისა!**
**რობერტ ბერტონი,**
**მელანქოლიის ანატომია.**

ჩამოწერილი კელაპტრებია:
ბჟუტავენ, წყვდიადს ვერ ანათებენ...
მონყენილობა — გადამდებია
სურდოსებრ... ბეჭზე — ბასრი თათები
გაწევს სატანის: „ყოფნა-არყოფნის“
საკითხი — მარად გადაუჭრელი
გიძიძგნის გულკაჟს: რა ცოტა ყოფნის
მოკვდავს, როდესაც გატყვრა მუცელი?!

## ქუთაისსა და სოხუმში გამართული სამთავრობო ბანკეტებიდან გაქცევებული არასერიოზული პოეტის მიერ მოგვიანებით გაშიფრული ტექსტის რეზიუმე

**80-იანი წლების ხსოვნას**

ეგ ცხოვრება შაყირია:
გაუკრავს და გამიკრია!..
მათ აწუხებთ მიმიკრია,
ჩემს სიგლახეს დასტირიან,
თან სიყვარულს გაჰყვირიან:
ეს თუნუქის დოლია და ის — სპილენძის საყვირია,
მესამეც — გენიოსს თარგმნის:
ცაში — თითქოს მიმინოა,
მწ. კავშირში — სამთავრობო მათრახი და ალვირია,
მოკლედ რომ ვთქვა, დასკვნა ძალზე მარტივია:

თავფეხიან გაიყიდნენ
ყირმიზ-სირინოზები:
(ჩემგან სხვა რას მოიმკიდნენ?)
ბანკეტებზე — ჩიტები და
სანუთროში — ბოზები...

## დიდი იმედგაცრუების ტრიადა: კომედია, ტრაგედია, ფარსი (ციკლიდან: ძაღლები და ძაღლთაპირის ორდენოსნები)

აფერუმ ღმერთს, თავის ძეს მსხვერპლად რომ
სწირავს ამ ძაღლთაპირ ადამიანებს!
კერპთაყვანისმცემელი ხომ არ არის ღმერთი?
პოლ ვალერი

I

ძაღლი კუკზე ზის, ძვირფასო,
ანუ წითელ უკანალზე...
იცის: ყოფნა კიტრად ფასობს,
ამიტომაც ფიქრობს — ძვალზე,
ეტენება პატრონს — ყასაბს,
ციგნობს — "წიგნით" ბზარავს ზეცას:
აქ — ძაღლობა დაუფასდა,
იქ — ინაღდებს სამოთხესაც...

II

ის იტანჯება, მაშასადამე, ცოცხლობს!
სემუელ ბეკეტი

„სიტყვა ტრაგედია წარმოშობილია ორი
ბერძნული სიტყვისგან: ტრაგოს — "ვაცი"
და ოდე — "სიმღერა", ე. ი. "ვაცების სიმღერა".
(საზღვარგარეთის თეატრის ისტორია)

კაცი — ვაციც უკანალზე
იჯდა, სვამდა, წერდა ვალზე —
ხიშტზე, ტახტზე და ტყემალზე
და ცეცხლისფერ მომავალზე:
უმატებდა აგურს აგურს —
ტომებს... წუხდა ჟღალ მენდალზე...
„ოცნებობდა — " ამხანაგურა-
ად" კვლავ დატყვევებულ ქალზე...

III

**ვარწყევ**
**მაშასადამე, ვარსებობ!"**
**ჟან-პოლ სარტრი**

ადამიანო, ხან ძაღლო,
ხან — ძაღლის გაგდებულო!..
გულკაჟო, მკერდში რომ სახლობ,
ვარამით გამოჭმულო!..
რამდენ ბილწს უნდა გაუძლო,
რომ არ აფეთქდე უცებ —
ნაღმივით... სივრცეს აუწყო
ამბოხება და წუთებს
არწყიო — დამპალ სამყაროს
ვულკანის ცხელი ლავა;
ფრთის ფერფლი გადააყარო
სიცრუის ჰიმნს თუ ჰავას...
ადამიანო, ხან ძაღლო,
ხან — ძაღლის გაგდებულო!..
სულო, უფსკრულში რომ სახლობ,
დაფლეთილ-ნამებულო!..

## არჩევან-არადანი: ან-ან

(ციკლიდან "სიფხიზლის წელინადი")

სიმთვრალე მამაძაღლია:
მოსმურნი ხშრიად ახლიან
ცხვირებს ასფალტს და სახლიდან
ცოლ-შვილიც დევნის, მაღლიდან
დამბადებელი იცინის,
ქვემოდან: ეშმას ხიცინით —
ქვევრიც და კასრიც სკდება...

სიფხიზლე — სევდის სახლია,
კუკზე დამჯდარი ძაღლია,
სხვა რომ სვამს, თვით თვალმარღია,
როცა დილიდან მთვრალს განახავს:
„როდის მოასწრო, ჩათლახმა?"
ფიქრობს და ფხიზლად კვდება...

## ინგირის სასაფლაო: მამის აჩრდილი

დედის ხსოვნას

კოშმარიდან ამოხეთქავს ბლავილი და უცებ ქრება
"შიშისა და სინანულის ფრთების"
მოლანდება: შეურიგდი სატანის თუ უფლის ნება —
შვება — სურვილს —
— შენს კოლხეთში კვდები —
უპოვარი: სინმინდესთან წილნაყარი
ვერ დაიწყებ სიბილწესთან კამათს:
უწარწერო ბორცვაკებით შეძრწუნებულ წყვილ სამარეს
უმზერს შენი ნაღვლიანი მამა...
სევდიანი დედა — ხატი სათნოების, სიკვდილის წინ
ჩალურჯებულ მარჯვენა ხელს გამოგიწვდის,
გეტყვის ჩუმი ხმით:
— გიგა, სქუა, მუ მონკა რე ღურა...

ასე მეტის მოცოდუ თი
საწყალი მუასქანი...* შემზარავი მდუმარების ცრემლით იწვი,
ემსგავსები სამეგრელოს სიმღერებს და წვიმებს...

## ნისქვილში ნისიად სიარულის შედეგი: გადატყაული ცა

როცა მჭადით ცა გადამიტყავეს,
მაშინღა მივხვდი, რომ ბედისწერად
მექცა სიცოცხლე — ძვლები და ტყავი,
ნაბახუსევზე — ლექსების წერა —
გიჟის ბღავილი — ჯვარცმული გულით
და არა დაფნა — დიადთა ხვედრი:
არასამჭადედ არის დაფქული
სიმინდი: მეწვის ცაც, სულიც, მკერდიც...

## ამურულ-გამურულ-ღამურული გზატკეცილი თინეიჯეროზიდან სიბერემდე (რკალიდან „გრანტები და ემიგრანტები")

> **ესეც თქვენი ნაქები ცხოვრების ამერიკული წესი.**
> **ჰენრიკ იბსენი, საზოგადოების ბურჯნი.**

უფესვო-უბუდობანა:
მცირე „ჰოლივუდობანა" —
მწირი ტვინის მრუდობანა
და დოლარის კუდობანა, —
დასვენება სეიშელის
თუ ჰავაის კუნძულებზე
დასრულდება, — სიბერე რომ მოგაკითხავს
და ჭერს გახრავს გამოლასტებული ვირთხა,

***გიგა, შვილო, რა მძიმე არის სიკვდილი...**
**ახლა მეტად მეცოდება ის საწყალი მამაშენი... (მეგ.).**

როცა შვილებს არც ანუხებთ: სად ხარ? —
რით ხარ? —
ყოფნა — ფარსი მოკვდავისთვის არ გრძელდება
ისე დიდხანს,
როგორც ყორნის ყრანტალი,
თუნდაც ნაბახუსევზე მებრუს ხელის კანკალი
და დიაკვნის ნაჩქარევი „შვილო, ჩემო..."

სიმარტოვე გაგაწვალებს,
რადგან, თურმე, უცხოეთშიც ვერ გასწავლეს,
როგორც ლომის ბოკვერს —
აბობღება-ძრომიალი ხეზე,
თან პირს გინვავს სხვისი პურის გემოც...

## დამჟავებულ-დამჟანგავი „საიუბილეო" მელანქოლიის კვირეული და პირში მწკლარტე ივნისის გემო

ქარი ფურცლავს ჟურნალს და
მზერას გილიზიანებს:
დროს — თითქოსდა მკურნალს და,
ახალ სირისტიანებს
ვერსად ვერ გაექცევი,
თუნდაც კედელს ახალო
თავი:
რა გელექსება
60 წლის ბახალას?!

## ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲚᲚᲘᲚᲝᲑᲐ: LES POETES MAUDITS*
## („ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲔᲚᲘ ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲓᲚᲘᲣᲠᲘᲓᲐᲜ)

**წყევლა-კრულვა ამხნევებს,**
**ლოცვა-კურთხევა აძინებს...**
**უილიამ ბლეიკი**

რვეულს ვფურცლავ: „ვაპობ შეშას
და ვკითხულობ დოსტოევსკის...“
შიმშილისგან შაშუ-ბეშად
მექცა მზერა, სივრცეც კვნესის:
— ეხ, ემძიმა შენს ქედს ღალა —
პოეზიის, რადგან ხვნეშის
სიმძიმისგან... შტერს და ალალს
ვინ მიგიღებს სამოთხეში?!

## ᲐᲰᲐ-ᲓᲐᲜ ᲰᲝᲓᲐ-ᲛᲓᲔ ᲒᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲐᲜᲢᲘᲐᲒᲘᲢᲑᲠᲘᲒᲐᲓᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ: ᲭᲘᲐᲤᲐᲜᲓᲣᲠᲐ ᲗᲐᲝᲑᲐ

აჰა, ლექსიც დამთავრდა:
არც ჰონორარს, არც სარჩოს
ველი, რადგან ამყრალდა
სამშობლო და კვლავ მახრჩობს
ოცნებათა ყადაღა,
რეალიზმის ვალები:
შემიწირა ქაღალდმა,
ანბანს ვერ ვემალები...

ახლა იმან გაქაჩოს,
ვინც ნეხვს არქმევს კარგ ხარჩოს:
— დოლარს ღუნავს? — ჰა, რა სჯობს!..
ჰოდა, ლარიც დახარჯოს!..

*დაწყევლილი პოეტები (ფრანგ.).

## პოეტური მრავალფეროვნება-მრავალსახეობა და ა.შ.

ნარცისები და სიზიფეები:
სხვადასხვა სახე — ლაღად, ნებისად —
ქვებით და დაფნის "მეე-ბეე"-თი —
საზღვარზე — ელდა განცვიფრებისა...

აღარ ვკითხულობ: ვინ დარგო ხე და
ვინ გაიწვდინა ხილისკენ ხელი:
ცაზეა, ვინც ყველაფერს ხედავს,
მიწაზე — მარად მთიბავის ცელი...

## სიკვდილ-სიცოცხლის გზაჯვარედინი

(უმაღლესი პილოტაჟის მოლოდინში)

წვიმიან დღეთა უსასრულობის
სიზმარ-ცხადს, უცებ აკრთობს სტრიქონის
ელვა და გიპყრობს, არათუ ფლობა-
გაცემის ჟამი, არამედ გონის
დაკარგვის ჟინი: შენ უკვე სხვა ხარ,
აღარ ეკუთვნი სამყაროს სულაც:
უფალი უსმენს შეშლილის ხარხარს, —
შენში დემონი აღზევებულა...

## მინაწერი მეგობრის წიგნზე:
## LEONS BRIEDIS, BEZDIBENA ENGELIS*

ოცდამეერთე საუკუნის უფსკრულში ჩავალთ
ძმაო, ყველანი!..
იქ — დაგვხვდებიან ეგილსი** და აკუტაგავა,
სოცრეალიზმის სარეველანიც...
რაკი ახალი ასწლეული სხვაგვარად "კერავს",

გამეფდა ბისტი
თვალებზე, ნისლში — ცერბერი წევს და
თუ არ ვცდები, ჩვენს ლექსებს ტკვერავს,
მყოფადი — ხისტი
არის ტოტივით, აქ რომ გვერგო წვის — უძილობის
და ცრემლის წილად:
თოვლი. საბრალო 100 გრამი — სტრიქონი და მოთენთილობა,
ანგელოსებით იწყება დილა...

## უსახელო ჩიხი: გზა გულგატეხილობიდან გაორებამდე

**ცისფერყანწელების ხსოვნას**

ნამეგობრალის ჭუჭყიან სარეცხსს
ვმალავდი: ბნელში მივაგორებდი —
კასრით და უცებ ეგ მთა-გორები
ამოტრიალდა, რადგანაც დამცხეს
კეფაში ძველი თანამესუფრის სტრიქონი — ქვა...

აჰა, სამშობლოვ, სალოცავო, — მტვრიან ჩიხში
ნეხვივით ვგდივარ:
ცა — "მეოცნებე ნიამორების"
დაცხრილულია რუსულ ხიშტებით —
ბოლშევიკური "ჯიბის ხვიშტებით"...
ვაგდივარ, ვფიქრობ: ვარსებობ? — კი ვარ,
თუმცა სრულიად სხვა!..

*ლეონს ბრიედისი, უფსკრულის ანგელოსი (ლატვ.).
**ეგილს პლაუდისი, ლატვიელი პოეტი (1931-1990).

## სოფლის ასაშენებლად დაუპატიჟებელი პოეტის ლექსი

**ვინა სთქვა თითქოს პატარა იყოს,**
**ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი?..**
**სიმონ ჩიქოვანი**

ლექსისთვის ღამე რომ არ მეთია...
გზიდან თუნდ მორი გადამეთრია,
ქვა მეკოდა და წყალი მეთრია,
შავზეც არ მეთქვა: მგონი, თეთრია! —
აგაშენებდი, მამულო ჩემო?!.

თუმც მზე ამოდის: უკუნეთია...
ჩადის: რატომღაც — ვარსკვლავეთია...
ირგვლივ: სამშობლო — საგიჟეთია,
თან ისე ვრცელი: ვუი, ჩემს თიას! —*
ვაშლსაც სდის შხამის გემო...

## წვიმიანი სეზონის გახსენება

თუმცა ივნისის დასაწყისია,
არც კი აპირებს გამოდარებას:
— მსგავსი სიცოცხლე რის მაქნისია,
არც დაწყებულა, უკვე მთავრდება?!.

ოთახი. წიგნი. წვიმის ხმაური —
ერთფეროვნების ფრინველის ლანდი...
ქუჩაში: ყოფის აურზაური,
ოთახში — უსათაურო დარდი...

***თია — დიდი ჯირკვალი (თ. სახოკია).**

## ძერწვის გაკვეთილები

**(ვერლენისეული „მუსიკა უპირველეს ყოვლისას“ ფონზე)**
**თენგიზ კიკალიშვილს**

სიცარიელის შესამოსავად
ისევ არ მყოფნის სიტყვა — ქსოვილი,
რადგანაც ძილშიც პატიოსანი
პოეტი, ლოთი, თანაც ლტოლვილი —
ამა ქვეყნისა სიამეთაგან,
თუნდაც თვით „ქვეყნის ძლიერთა“ მიღმაც
შეძრწუნებული ვუმზერდი საგანს,
ნივთს, ადამიანს, საქმეს თუ თიხას,
რაც დიდხანს ძერწა, ვერ გამოძერწა
აქ: „ხატად თვისად“ უზენაესმა
დატოვა: რა ქნას სტრიქონმა — ბერწმა,
თუ ჩემი ძვლების არც ესმის კენესა?!.

## რენესებური: გაუყიდველობის თეორია

**შვილს გიორგის**

აქ — ხომ ჰადესი,
იქაც — ჰადესი!..
მამას ერჩია ბაბუს „ადესა“:
წმინდანობაში ვერ აჯერებდნენ,
თუნდაც ერთხელ რომ ჩაიხადესა!..

ედინებოდა რენეს საწუთრო —
მარადმშფოთვარე და პირქუშ ლექსად, —
„ბოსიაკობას“ კი აკერებდნენ
იარლიყად... ბრმა ღამეებს კვნესა
ბზარავდა მისი: ახლა სწამს უფრო,
თვით მომავალიც ვერ უცვლის ფერსა!..

## სიჭაბუკის რვეულიდან: ყირიმის გახსენება

ქიმერიული მინანქარებით —
მთრთოლვარ ჰაერით, ნიავ-ქარებით,
ხან — ქარიშხალთა გამძვინვარებით
და ტყვიისფერი ნიაღვარებით
შეშლილი ყურე... რეკენ ზარები:
ტორტმანებს, მაგრამ მაინც ჯიუტად შემოდის ესკადრა...

ცა — დაცხრილული მუქი ანძებით
და მატროსული ნასკვებ-კვანძებით,
ხომალდი — ახალბედა ბანძებით
და „მგლებით" სავსე, სადაც გაძლების
ნიჭიც გჭირდება: მწუხრის ხანძრებით
განცვიფრებულ ბალღს თუკი ლექსიც გამოგეცხადა...

## ბედისწერის ასი წლის აჩრდილთან შეხვედრის ანაზდეული მონატრება

> ...მოკლედ, მან მომისროლა ლიტერატურაში...
> ბაბუა აფასებდა ვერლენს, მისი რჩეული ლექსების
> კრებულიც კი შეიძინა. მაგრამ ამტკიცებდა, რომ
> პოეტი „ღორივით მთვრალი" ნახა 1894 წელს...
> ჟან-პოლ სარტრი, სიტყვები.

— ეს, შენ მისროლე მღვრიე მორევში,
რომელსაც ჰქვია ლიტერატურა...
უკვე სატანიც ვერ მომერევა! —
ვიცნობ ვოლტერებს და მულტატულებს,*
რომლებიც წმენდნენ ავგიას თავლას,
თან დასტიროდნენ უმწეო მართვეს...
ვერ ვწერ... ტვინს ბურღავს — ბაზარში გავლა,
რომ ვერლენივით ღორულად დავთვრე!..

*ჰოლანდიელი მწერლის ედუარდ დეკერის ფსევდონიმი — მულტატული —ლათინურად ნიშნავს „მრავალტანჯულს" (ავტ. შენიშვნა).

## ტაშტში მოზანავე პოეტისა და მეზღვაურის ნამეტნავად უტაშო აღსასრული

**(„პროვინციელი ფაშისტის“ დღიურიდან)**

> **სადღაც ხარობენ ალბათ**
> **ჩემი პატარა მტრები.**
> **ტერენტი გრანელი**

მორჩა! — არავის აღარ ეკუთვნი!..
აღსრულდა! — ცხოვრობ სამივე დროში!..
თუმცაღა ითქვა: გმართებს მედუქნის
ოცი ლარი და თხუთმეტი გროში...

მიხვალ: მიგყვება გადაუხდელი
მამულისა და, მეზობლის ვალი...
წევხარ პირქუში და, ჩაუხდელი
შარვალი ბზინავს, ფეხსაცმლებს ნალი —
წყვილი ანათებს, თუმც გაცვეთილან...
აწ „დაისს“ უსმენს თვით ქუთაისის
ქუჩაც... უშენოდ იწყება დილა!..
მორჩა! — უშენოდ კვდება დაისიც!..

**მოქელეხე ლიტერატურული ქილერების მისამღერი:**

რენე, სამარეშიო
ჩაგიყარეთ ხრეშიო,
ერთი მუჭა მიწის ნაცვლად:
— გემძიმა და ხვნეში-ო?..
შენი „ლექსით“ ვინ მიგიღებს
ჩვენს წილ სამოთხეშიო?!.

## ნოსტალგია: სოხუმის ბინა-ბიბლიოთეკის გარდაცვალების მეათე წლისთავისადმი მიძღვნილი რეკვიემი

ვხედავ: სასახლე ფუმფულა —
მარმარილოთი ნაგები...
ჩანს: „ბოსმა" ჩააბულბულა
„ირლანდიური საგები"...
მე კი — დევნილი — იმ საგებს
კვლავ ვერ ვკითხულობ: არა მაქვს
ზუგდიდში... სიზმრის ნახნაგებს
ვუმზერ და სხივი გადამაქვს
ამ საწუთროდან — იქამდე —
ორთომელიდან ჭიქამდე:
— უფალო, ვინ დაიქადნის,
რომ გაძლებს ახალ მირქმამდე!..

## ვითომ "ძლიერნი ამა ქვეყნისანი", ანუ თავკომბალა ნუვორიშები ბროლის საფერფლის ჩარტყმის მოლოდინში

...დააბრედინეს ჩაუშესკუ ანტილატაკი...
გურამ დოჩანაშვილი, „ლოდი, ნასაყდრალი".

პარლამენტი დაიხურეს,
როგორც მუზარადი:
არ უშვერენ ხახვებს ყურებს,
ურჩევნიათ ვარდი...
ჭედენ კანონ — აპეურებს,
ესმით ფულის ყადრიც...
დაათრევენ კასტეტ-დურებს —*
ანტილატაკ — "კადრნი"...

*კასტეტ-ი (ფრანგ.Casse _ გატეხა და tete — თავი) — ერთ იარაღი — თითებზე წამოსაცმელი ლითონის ფირფიტა; რომელიც უკვე გამოიყენეს პარლამენტის შენობაში, ხოლ რევოლვერი (ჟარგ.) მდუმარე ლულითაც აკეთებს საქმეს, ფ (ავტორი).

## 2003 წლის 2 მაისი: გელათის სივრცეში მოფარფატე სევდა — „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“

**ირაკლი ბაზაძის ხსოვნას**

### I. მამული (სოფ. შამგონა)

მამულო, შვილთა „ზრუნვაში“
გაგიალისფრდა ულვაშიც...
უსმენდი, ვინც კი გტენიდა
ცხვრის, ანდა რუსის დუმაში....

### II. დედული (სოფ. კახათი)

დედულო, დავითფერულის
აწევას, ვფიქრობ: ყვერულის
ჭამა გერჩივნა — აღდგომას,
პარადზე: ურა! — შტერული...

### III. მამულ-დედული (საქართველო)

მამულ-დედულო, ერთიან
სამშობლოს ცაზე ღმერთია!..
ხედავს: წინაპართ აჩრდილებს
ჩვენებიც რარიგ ერთვიან...

### პირქში რეალობა: გაბმით სმა

ცრუ დაფნით თავშებურვილთა —
„წარმატებების სურვილით“ —
მიავტოგრაფეს წიგნის მთა:
ვერ მოერევა ბურვილი
და ფერნანდელი,* რადგანაც
მოკვდნენ და, აღარ სცალიათ
წიგნისთვის... მე ვსვამ: ვბანცალობ...
— სამწუხაროა, ძალიან!..

## ნაბახუსევზე მინაწერი:

გვიანღა მივხვდი: ფრანგებმა
ქართული რომ არ იციან —
საიქიოშიც... ამაოდ
დაშვრნენ პაოლო, ტიციან,
სხვა მთარგმნელებიც და ა.შ.
— სავალალო გახლავთ შედეგი...

## კუნძულ ბარატარიას გუბერნატორის ბრძანება, №

„როგორც ვხედავ, ამ კუნძულზე დ ო ნ ე ბ ი
რიყის ქვაზე უმრავლესნი არიან. მაგრამ კმარა.
ღმერთია ჩემი გულთამხილავი და, თუ ჩემი
გუბერნატორობა ოთხიოდე დღეს გაგრძელდა,
მაგ, დონების გამარგვლას მოვახერხებ".
სერვანტესი, „დონ კიხოტი".

დონ სირისტიან პედროსა —
ექიმს მივენდე ერთ დროსა:
ვუთმობდი წვრილ-წვრილ ბისკვიტებს,
ყვერულებს, კაკბებს, ხენდროსა...
რახან მიმუხთლა, ვუგზავნი
ვაზელინს — ათას ვედროსა
და გავა გაახაზიროს,
ფუმფულა დამახვერდოსა...
მაგრამ ვაფრთხილებ: ბრძანების
შესახებ არ იყბედოსა,
დონ კიხოტმა არ გაიგოს,
ტახტი არ დამაყვედროსა...
თავად ეშმაკთან მიჩივლოს,
თუნდ უფალს შეევედროსა:
პანღურს ამოვკრავ, — კუნძულზე
ხალხი რომ ამიმხედროსა!..

*ფრანგული კინოს კომიკოსები (ავტ. შენიშვნა).

## გამოთოხნილი აწმყო

**ნინოს**

შენი ჟირაფი მოწყენილია,
როგორც სამშობლო მოწყენილია,
წინ: უფსკრულია, უკან კი — ღია,
აწმყო — კავშირი — გაწყვეტილია,
ჩონგურს სიმები დაწყვეტილია,
დევნილთა პური მარად მწარეა, მდევართათვის კი —
ნეხვიც ტკბილია,
როგორც ბრძანებდა პრინცი ჰამლეტი:
„თეატრის აზრი უწინაც ეს ყოფილა და დღესაც ის არის..."

შენი ჟირაფი სევდიანია,
როგორც სამშობლო სევდიანია,
წინ: წყვდიადია, გზა — უღრანია,
უკან — დაბმული ამირანია:
ძერა უკორტნის ღვიძლს რა ხანია...
მის მძლე ტკივილთან მამის და შვილის წუხილი,
აქ რა მოსატანია?..
როგორც ბრძანებდა პრინცი ჰამლეტი:
„დიალ, წესი ეგეთი არის..."

შენი ჟირაფი დარდიანია,
როგორც სამშობლო დარდიანია,
წინ: უდაბნოა, უკან — ადიან
კვაზიმწვერვალზე — ბოროტს სჩადიან
და უზნეობის დღესასწაულზე რევერანსების სკოლას გადიან,
უკვე რამდენი წელიწადია, —
პოეტის, მხატვრის და მუსიკოსის გულზე
ბინძური ფეხით დადიან...
როგორც ბრძანებდა პრინცი ჰამლეტი:
„ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის..."

შენი ჟირაფი ნაღვლიანია,
როგორც სამშობლო ნაღვლიანია,
წინ: კლდეა, უკან — ჭრილობა ღია,

შუაში — ნუში: მოჟონავს ია —
ცრემლი — თვალთაგან, რომელთაც ჰქვიათ:
წინ: უფსკრული და, აწმყო კი არ ჩანს, უკან — ათასი თული,
წინ: წყვდიადი და, აწმყო კი არ ჩანს, უკან — წყალი და ხმიადი,
წინ: ვითომ მწვერვალები და ნული, უკან —
სინდისთან მწყრალები,
წინ: კლდე და სასოწარკვეთილება, უკან —
მდევართა: ჰე-ჰე-ე-ეი!..
როგორც ბრძანებდა პრინცი ჰამლეტი:
"შეშლილი მხოლოდ მაშინა ვარ,
როცა ჩრდილო-დასავლეთით უბერავს ქარი..."

## ბახუსის ორდენოსნის აღსარება

(ციკლიდან: იქ და აქ)

გაჭიანურდა სიცოცხლე ისევ:
„რვეულის" ფურცლებს აქ — ულამდებათ,
იქ — უთენდებათ: ღვთაებრივ ნისლებს
გავედევნები და დამთავრდება
სრბოლა — მარადი... დაბადების დღეს
გავახსენდები ცოლ-შვილს და ალბათ,
სამიოდ პოეტს; მთვრალი მარტოხე
და არა — ცისკენ მზირალი ალვა...

## ქრონოსის ლანდი:
## კუიბიშევის ქუჩა და ხსოვნის გულისა
## (ბზობა)

**ზაურს**

მეზობლის სახლი: ხის აივანი (ჩუქურთმებით) —
მამაჩვენის მოქარგულია...
(ხოლო “მგზნებარე“ — ბოლშევიკი —
კრემლის კედელში ჩაკარგულია!)
სახლის პატრონი მოკვდა. შვილი (ჩემი კბილა) — დაკარგულია...
მამის საფლავზეც ლოდის ნაცვლად ბზა ანათებს:
ცხოვრება — რთულია!..

## მითოლოგიური „გოდების მდინარის“ პირას

ეგ ღმერთმა უწყის, გაფრთხილებაა
თუ ნაქეზება — მეგობრის რჩევა...*
იწყებ წერას და მხოლოდ ვნებაა,
შემდეგ კი — ტანჯვა და ბოლოს რჩება
აბრიალებულ ცეცხლისგან წიდა,
ფერფლი და ხატი — შემკრთალ ტალახის
სევდა: პოეტო, ცოდვილს თუ წმინდას,
კოკიტოსი გაქვს გადასალახი...

## „ხეები ზეზეულად კვდებიან“

**(ციკლიდან “სიფხიზლის წელიწადი“)**
**დავით მჭედლურის ხსოვნას**

ნიაღში: ძვლებიც შფოთავენ!
რტოებზე — ქართველებია —
„ახლები“ — ელიტ-ლოთობენ,
ლაყბობენ და არ თვრებიან...

***თომას მანის პერიფრაზი (“დოქტორი ფაუსტუსი“).**

არა გაქვს! — არცა სვამ! სტრიქონს წერ — ენამები:
ნიადაგ ფხიზელი ყოფილხარ ავ ჟამსაც...
სიკვდილშიც პოეტს, გაცილებს საძმოს ცრემლი და
გინათებს სამება —
ილია — აკაკი — ვაჟა...

* * *

აჰა, აყვავდა ისევ,
დალის ოცნების ბაღი!..
ვკვნესი: უფალო, მიხსენ,
როცა წერისგან დაღლილს,
სიკვდილი მომენატრება,
თავის მოკვლაზე ვფიქრობ...
უეცრად აშრიალდება,
სატანის სანთელს მიქრობს —
ტვინში... ილვიძებს ბუნება —
ჩემში... მეც ვიგრძენ, ბაღმაც:
აჰანდე, შემობრუნება
დალმა მავალის ალმა...

## სევდიანი პარალელი, №2

(ციკლიდან: "ენერგიული კოლეგები")

მე — ჩემს სუსტ სტრიქონს დავცინი,
მავანი გესლავს — სხვისას...
ორთავეს გვიყვარს საცივი,
რაც არ მაქვს, ხოლო — მისას
მე არც დავდივარ, რადგანაც
ძაგება — მეგობრისა
უყვარს: მესობა — გულს დანად,
თვალებზე წვება ნისლად...

## ბიბლიოთეკა და ბუხარი კოლხური დროშით

გენოს და ზაურს

სადაა გალილეველთა ღმერთი?
სადაა ხუროს ძე, სადაა ჯვარცმული
იუდეველი? თუ ღმერთია, გამოგვეცხადოს!..
არა, ვერ გაბედავს!

ჰენრიკ იბსენი,
კეისარი და გალილეველი.

თანდათან სურო გეხვევა,
მამისეულო სახლო! —
გაფითრება და შეხება —
საყრუანტელო სახლობს
ჩემს გონებაში, მაგრამ
წელთა უწყალო წყება
ბებერ სახეზეც ქარგავს
ნაოჭთა ანბანთქებას...
ითაკას — პენელოპეა,
ტროასთან — ოდისევსი,
იასონს მიჰყავს მედეა,
აქ — აიეტი კვნესის...
თანდათან სურო გეხვევა,
მამისეულო სახლო! —
ბედისწერა თუ შემთხვევა —
მარადიული სახლობს
გულში — ჩარჩენილ ხიწვით,
სულში — ჩამსხვრეულ ზეცით,
გულზე — დასაყრელ მიწით,
თვალში — დირე და ბეწვით...

## სამშობლო: ზოოლოგიური მუზეუმი

(ციკლიდან „ქართული ანდაზები“)

მას ჰქონდა ოქროს დინგი,
მე — პურიც არა მქონდა...
მამულში, ჰაი გიდი,
ბინძური ქარი ქროდა:
თეთრ ყვავს არარა ებადა,
ბუს გაჰქონდ-გამოჰქონდა...
და მაინც, ღარიბ-ღატაკთა ვარსკვლავს
ღვთისმშობლის სახე ჰქონდა!..

## მარადიული მეამბოხე

ალარასოდეს ვყოფილვარ
პოეტი — ნინაუკმო:
მიტომაც მწიხლავს საწუთრო,
მალადავებს და წუნკლობს —
ლორივით... ლანდთან ვსაუბრობ,
ვერ ვიტან „მეფურ სუფრის“
ყაყანს... ბებერი თოფი ვარ,
დარდი მაწვება — ქუფრი...

ხმა მქონდა — ელვა ხავერდის —
ბუხუნი: ეშმას კუპრო,
ქვესკნელშიც ავხარხარდები,
პირიც რომ მომიკუპრონ!..

## კ ო ნ ტ რ ა ს ტ ი

**ზვიად გამსახურდიას ხსოვნას**

სამწუხაროა: ბრბოს არ სჭირდება,
გმირის სიწმინდე და სიდიადე!..
ვფიქრობ: უფალიც გადაფითრდება,
რომ ნახავს: ნათელს ჩაგრავს წყვდიადი,
ბილწავს და ახრჩობს... თუმც ჭირის ოფლი
ასხამს, კვლავ იბრძვის ლაოკოონი...
რა პატარაა შიში არყოფნის,
როცა გიცდიან სხვა სამყარონი...

## ლექსის მოლოდინი

**(ციკლიდან: იქ და აქ)**

აქ — მარადიულ განგაშის ველზე
ხარ: იქ — იქცევი განგაშის ველად!
გარდასვლის წამი: სიცოცხლეს შესძლებ? —
ფარფატებს კითხვის ჭრელი პეპელა
მშფოთვარე ტვინში, აგაწრიალა,
ბოლო წყვდიადი გიმძიმებს თვალებს,
ვით წყევლა-კრულვა: ზარი წკრიალებს —
წუხხარ,
ველარ წერ
და გაწრიალებს...

## წითელი პარასკევი

**პარასკევი იყო და ზუგდიდის ბაზარი**
**ხალხით გაჭედილი დახვდათ...**
**აკაკი ბელიაშვილი (ქეგლ).**

მეზობელს საბლით მოჰყავს ციკანი,
ცელოფნით მომაქვს არსობის პური...
როგორც ჩანს: მარტო დავრჩი ციგანი —
ქალაქში, სადაც ჯიბრით და შურით
ცხოვრობენ: უყვართ, ქურდობენ, ჭამენ —
ხორცს, ხან კი — მოყვასს, თან საამური
ფერ-ცხიმიც აქვთ და "წინსვლისას" სვამენ
სკამებზე მდგარნი... სიასამურის
ტყავებს იძენენ — "უკეთესები",
რაკი დალეწეს კრემლის კედელიც —
გავით: ფეხებზე ჩემი ლექსები
ჰკიდიათ, როგორც ციკნის პეტელი...

## დანტეს რა უჭირს? — ქუდში აქვს თავი

**(ციკლიდან „თვითგვემის გაკვეთილები")**

„ჩვენი სიმშვიდე მისი ნებაა"
ანუ უფლისა — ამბობს დიდი ალიგიერი
(ჩემთვის სიმშვიდე — ფეხებით წინ — გასვენებაა!),
რომელიც ჩემზე უბედური და ბედნიერიც
იყო და არის: აწ სიმშვიდეში —
მარადიულში — დაიდო ბინა —
უკვდავმა!.. მე კი — უნიჭოს, საწყალს და ჩაწიხლულს —
იგი ჩემს დღეში
არ მქონია, არც დამსიზმრებია
და ულონობით შეძრწუნებულს —
ღამით ეჭვის ეკლებზე მძინავს...

## ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ: ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲒᲐᲡᲔᲘᲠᲜᲔᲑᲐ ᲡᲘᲧᲠᲛᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ

(„სამხატვრო სალონის“ ძელსკამზე)

ზუგდიდი — ჩემი ნავსაყუდელი —
მდინარეთა და ზღვათა გარეშე
ცხოვრობს: ჰა, ქუჩას ქალი — პუდელით
მოარღვევს — მზერამ გადითარეშა
ვნებიან მკერდზე... უცებ სიბერეც
თავს შეგახსენებს, ბრწყინავს გონება:
უკვე სიმშვიდე აზავებს ფერებს
და მრავალწერტილს სვამს შთაგონება...

## ᲑᲘᲭᲕᲘᲜᲗᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ: ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ

თამაზ ჩხენკელს

საწუთრო — ცრუ — მეფხორება:
უკვე მედუქნეც მატყუებს, —
ვალს ბერავს, თან მოღორება
უხარია ჩარჩ-აბუეტს...

— სად ხარ, მთავარო სატანავ,
მოიტა, რენეს ბოკალი!..
არ ძალმიძს მეტის ატანა, —
მოდი, ბარემლა მომკალი...

* * *

ნუ მემუქრები, ცხოვრებავ,
არ მომიხარშო ბალბა!..
მე — ჩემი განმარტოება
მაბედნიერებს, ალბათ

მაუბედურებს კიდეც და
სულ-ხორცის გაყრაც ვნახე —
ნინასწარ: იმ ფეხთდამკიდეს
ხელში ეჭირა სახრე...

მხატვრებთან ცელი — პრიალა,
მუსიკოსებთან — ნოტი,
პოეტებთან კი — წკრიალი
გადატეხილი ტოტის...

## ბუნების ჟირვეულობანი: 2005 წლის აპრილის წყალდიდობა და მეწყერი

მაშინ აპრილი იდგა, წყალდიდობა იყო.
იაკობ გოგებაშვილი

წყალდიდობაა თუ წყევლა-კრულვა,
ჩამოიხედე, აქეთ, უფალო!..
რა დაგიშავა, გენმა ქართულმა,
წყალწაღებული — თავისუფალი
ვისლა სმენია? — რა ქნას სანყალმა
მაშვრალმა გლეხმა, ავ ბედისწერას,
როგორ გაუძლოს? დე, შენმა თვალმა
მიხედოს, სანამ გიცდის და სჯერა!..

## „ჩამონერილი" თაობის ლექსი

სისხლი გახდა იაფი,
ხოლო პური გაძვირდა...
მამულს აქიაქებენ —
ვისკოსნები... ყანწით, ან
ირჯებიან ნაცარში,
არც რას გვეკითხებიან...

ავი ამინდებია,
ბილწი ამინდებია,
ცუდი ამინდებია,
როცა უფლის დიდ ტაძარში,
მარტოოდენ „რევიზორი“ თხებია...

* * *

არც სიძულვილით, არც სიყვარულით,
არც შეძრწუნებით: უბრალოდ, გელი —
მშვიდად, არც ვფიქრობ, რომ მომჩვარული
შეგხვდე — ღარიბი და უქონელი
დაგხვდები: შეშლილთ ჟამიც ხომ დგება
იქ — ცათა შინა, რადგან აქ — ძნელი
დრო მეფობს: სული ნაგვიანდება:
— სადღაა შენი მსახვრალი ხელი?!

## მრწამსის ერთგულება

**მანანა ამირეჯიბს**

**მამაკაცი უკომპრომისოდ**
**უნდა ჩავიდეს სამარეში.**
**აკაკი გაწერელია**

ჰო, რა თქმა უნდა, ქარის მთესველი
ვიყავი... ახლა ქარიშხალს ვიმკი —
ბებერი, მაგრამ ურჩი ფესვებით
ამაყად ვუმზერ: ღირსეულ სიკვდილს...

წინაპართ ხატი და საესავი
სამშობლო ჩემი — ჭენებით მიქრის
უფსკრულისკენ და გული — მკვნესარი,
რომ არ გამსკდარა, დიახაც მიკვრის!..

აქამდე სული როგორ შემომრჩა,
რწმენაც: ვფიქრობდე, მამულო, ვწერო
სტრიქონი?.. როცა შენს მკერდზე მოჩანს
ჩემი ბორცვაკის ბალახის ღერო...

* * *

ახლახან მივხვდი: ჩემი წარსული
დამარცხებათა ნუსხაა მხოლოდ —
ამბოხებულის და დაღდასმულის
გამათხოვრება — ბოლოს და ბოლოს
ფალიაშვილის ბგერა — გოდების
წამი: სულისა და ხორცის გაყრა...
შემდეგ — საფლავის მტვრიან ლოდიდან
ახსლეტილ სხივის ზეცისკენ აყრა...

## მოლოდინის გზაჯვარედინთან

**ზაზა ბოკერიას**

ვერტიკალურად მიდის უფლისკენ
ლექსი — ლოცვაა თუ სამდურავი...
ჰორიზონტისკენ — ისევ და ისევ
ჯვარი, ბეგარა და საურავი...

აქ რა ჩამოვა? — ცოდვილ მიწაზე,
რას შევუშვირო შემკრთალი ხელი?..
ფერ-ბგერა-სიტყვით თასი ვარ სავსე
და დამცლელს — მკითხველს ნიადაგ ველი...

## ანდერძის გაგრძელება

(მელანქოლიური ტექსტი)
დალი ყალიჩავას

ძვირფასო, ფერფლის გემო აქვს ანდერძს,
უჟამო ჟამი, როგორც არ ქროდეს —
ამ სიბილწეში, თუ რამდენს გავძლებ,
არც მიფიქრია, აღარასოდეს...
რა აზრი ჰქონდა? — გვიან თუ ადრე
წავალ, რას ვტოვებ? — სევდას რაოდენს,
მხოლოდ მე ვიცი: ქვეყნად რაც მკადრეს,
შენ არ გისურვებ, იმედი გქონდეს!..

## შემოდგომური: სამადლობელი ლოცვა

დედ-მამის ნათელ ხსოვნას

დიდება ატმებს! — მათი ნაყოფით,
გადავიტანეთ ცხელი აგვისტო,
მე და მეუღლემ: რა ცოტა გვყოფნის —
აწ ვერცხლისფერებს, თუ ამეთვისტო —
პოეზია და სიყვარულია:
სიყვარულისთვის, მადლობა შენდა, უფალო!..

დიდება ლელვებს! — მათი ნაყოფით,
გაგვაქვს სექტემბრის თბილი დღეები,
მე და მეუღლეს: ცრემლით და ოფლით —
აწ ვერცხლისფერებს, ორქიდეები —
ბალში — სურნელის სასწაულია:
სილამაზისთვის, მადლობა შენდა, უფალო!..

დიდება, ვაზის ჯიშსა და ჯილაგს! —
მწიფს იზაბელა ანუ ადესა,
მე და მეუღლე, ყოველი დილა
ვსინჯავთ კუმპალებს: უნეტარესი

დგას წამი, თუმცა ჟამი რთულია:
განსაცდელისთვის, მადლობა შენდა, უფალო!..

დიდება ბადაგს! — ღვინობისთვეში,
უხვად გვექნება ღვინო-არაყი,
მე და მეუღლეს: ლექსების თქეში
ციდან ჩამოვა, — მოვავარაყებ —
კალმით... მთავარი, მაინც გულია:
წმინდა გულისთვის, მადლობა შენდა, უფალო!..

## ფერადი კენჭები: საიუბილეო* მოზაიკა დროსა და სივრცეში (ავტოკალმის გარეშე დარჩენილი პოეტის ავტოპორტრეტი)

**მჭედელს დანა არა ჰქონდა და**
**ფეიქარს — ხელსახოციო.**
**ქართული ანდაზა**

აღარ სჭირდებათ ამ სტრიქონებს უკვე საშლელი,
რადგან კარგად ვგრძნობ: ბადიშიც ვერ მოიმკის სამკალს...
ვსვამ: არ დაადგა შეშლილობას ჩემსას საშველი,
ვნუხ, მუხლმოყრილი გევედრები: მოდი და დამკალ!..
მეუფევ, ჩემო მბრძანებელო, დამფეთებელო,
შუალამისას რომ შემახლი კოშმარებს შუბლში,
რა დაგიშავე? — მე ხომ ვიცი, ხარ შემკრებელი
ფერად ნამსხვრევთა, რაც ვიყავი გუშინწინ, გუშინ
და დღეს, უწმინდეს იდუმალის, რაც ხვალ ვიქნები,
გაგეცლები და აქ — დაღდასმულს — შემაკონწინებს,
როგორც ერთიანს იქ — უცნობი მსგავსის ფიქრები
გაშლის სივრცეში — სიყვარულით და მონწიწებით...

*საიუბილეო (ძვ. ებრ.-იდან) — მოსავლის აღებასთან დაკავშირებული სიტყვაა (ავტორი).

## ვარიაცები თემაზე: არ ვიპარავთ!..

(ურაპატრიოტული და კვაზიპატიოსანი ტელერეკლამა)

„ჩვენ ფილმებს არ ვიპარავთ!“
ჩვენ ვიპარავთ ოქროს:
აშკარად არ მივქარავთ,
მივსდევთ ოკრობოკრო
გზას... ფილმებს არ ვიპარავთ,
ჩვენ ვიპარავთ ვერცხლს:
ღიმილით — შემპარავით
ვეფიცხებით ცეცხლს...
ჩვენ ფილმებს არ ვიპარავთ,
არც რაზლივის ცნობილ კარავს:
„მე კი ვჰფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ჰფარავს;
მეტად მწარედ გული მტკივა, მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს!
ვერ მოვითმენ, რომ არ დავგმო, ალმა მხვნელსა, დალმა მბარავს,
ჩემი ცოდვაც მისცემია ჩემს ამომთხრელს, ამომბზარავს!“*
ერი, ბერი ოტებულა,
იყიდება მიწა სრულად:
მთაწმინდა და მცხეთის ჯვარი
“დაფიქსირდა“ ჯიბის ფულად...
არ ვიპარავთ ფილმებს, მაგრამ
არც ვცნობ “კანონიერ“ ქურდად ეროტიკულ ვირთხებს,
თაგვებს, კატებს...
ჩვენ ვიპარავთ ფულს,
(წილში გვიზის სოროსი და რუმინელი დუმიტრაკე)
და ერთნიშნა ციფრს ვუმატებთ
კარგა მაგარ — ღიპოლოგი მინისტრივით მნიშვნელოვან —
რამდენიმე ნულს...

*დავით გურამიშვილი.

## უშედავათო შეჯამების მცდელობა, ანუ ცხელი ტაფის მომლოდინე თევზი-ფლეიტას მონოლოგი

(ზუგდიდური შეფის* ფონზე)

„იქ, სადაც ჩვენი დასრულებული
მოქმედებები კიდია მტვერში...“
ველარ დავტოვე ლექსთა კრებული,
რომ ქატო — ფქვილში, ხორბალი — ქერში
არ ამრეოდა: თუმცალა ახლაც,
როცა ანკესის პირისპირ ვდგავარ,
ბებერი თევზიც არ ვეძებ სახრავს —
ჭიას და ვიცი: ვინა ვარ, რა ვარ...
................................
................................
მნყინს: ოცთეთრიან ჭიქა არაყთან
თუკი ნამასნრებს „ძმა“ — მათხოვარი,
ვერაფერს ვაძლევ და ქერცლს ვარაყთან
ერთად ვიშორებ: ტაფის დრო არი!..

## ლიტერატურული აპათია: გარემოებათა გამოისობით ვეგეტარიანელის ავტობიოგრაფია-ავტორეცენზია (?) და ა.შ.

ნერდნენ: რომ გაქვს ტალანტი
ოცდაათი კალათი:
არ გქონია ბოლშევიკთა ზუთხი, თართი, ხალათიც...
დღეს: მშიერი “დემოკრატი“, რაღას იზამ, შე სანყალო, ნეტავ?!

ვერ ნერ: ძალისძალათი —
ხორცს არჩიე სალათი:
სვამ და გალიზიანებს ღვარჭნილი მასლაათი...

*შეფა(მეგრ.) — სეფა: დახლების მნკრივი ზუგდიდის ბაზარში (თევზ ლის მახლობლად), სადაც იყიდება ჩამოსასხმელი ღვინო, არაყი, კვაზი ნიაკი და ა.შ, ანუ ზუგდიდელი ლოთების თავშესაყარი (ავტორი).

შინ მოგელის ცოლ-შვილის მოწყენილი თვალები და
სიტყვის — ლაგმის კვნეტა...

## პოეტისა და პოეზიის მკითხველის მარადიული პრობლემები: ქვეცნობიერის სამყარო, განგაში და მოუსვენრობა ზამთრის ბუნაგიდან გამოსვლის ჟამს

ჯერ შედევრებთან ურთიერთობა
ვერ გავარკვიე: ისინი — ჩემში
შემოდიან და ერთადერთობით
თავს მაწონებენ: სხეულიც ხვნეშის
ტვირთის სიმძიმით — მათ რომ ამკიდეს,
მივათრევ, სანამ მწყალობს უფალი:
აქ — კოშმარული სიზმრის აკიდო,
იქ — ცხადის ღვინო — თავისუფალი...

## უანგარო მოლოდინი აღსასრულისა

**საწყალთ საწყლობა რო მესმის,**
**იმათ მაგივრად ვწუწუნებ...**
**ვაჟა-ფშაველა**

რა ხდება? — ენა დამება...
თაგვებმა ქერიც ამხადეს...
ხელისუფლების ნაგვებმა
ბრძანეს: მოკლეს და გახადეს
ხალხს, თუ ემოსა რაიმე,
აქციეს სარად — სახარდნედ...
მშიერ ლტოლვილთა "ვაიმე"
ვერ აღწევს განთიადამდე...*
ბილწნი ვერ მოესწრებიან,
რომ თქვან: რენესაც ჩავხადეთ!..
„შენ გაგიმარჯოს, სიკვდილო!" —
მოხვალ და უდრეკს მნახავდე!..

***სოფ. განთიადი (საქართველოს საზღვარი რუსეთთან).**

## მარადიული აჩრდილები

სიზმრად მოდიან კლასიკოსები:
ბრაქიკეფალნი, თავკომბალები —
გაპარსულები თუ წვეროსნები,
დაფარული აქვთ წვერქვეშ წინაპრებს ხალები-ქალები-ვალები...

ვერ გავაღწიე ამ კოშმარიდან,
ვერ მივაღწიე იმ უფსკრულამდე,
რადგან ყველაფერს ვიწყებ თავიდან —
პოეტი, ვისაც უზენაესის პიანისიმო,
ხან — ბელზებელის ფორტესიმო — ლოგოსი დასდევს...

## მოხალისე მთარგმნელები,
## ელამი გრაფომანები და სხვ.

(ციკლიდან: იქ და აქ)

იქთიოზავრების
ანუ ტრიტონების
იქ — სამ ტონად თარგმნის
მჭახე მოგონება,
აქ — ანაზდად გამაცინებს,
ბედისწერით შეშლილს:
შუბლს ამიწვავს ალმაცერი
მზერა — შაშუ-ბეშის...*

*აცაბაცად განლაგებული თვალების პატრონზე
იტყვიან სამეგრელოში (ავტორი).

# უსახელო მარათონელი

გენოს და ნანას

— ჰეი, სად გარბიხარ, მეგობრების მიერ
ორგზის გაყიდულო,
სამგზის დასმენილო,
ოთხგზის გაქორილო,
ხუთგზის ჩაშვებულო,
ან ლატაკს რად მოგდევს ცა „მრავალჟამიერის"
ბანით — მოგუდულით,
გულსგაყრილ ურდულით,
ჰამლეტ გონაშვილის ღვთაებრივ „ურმულით",
მშობლიურ ხავსსაც კი ჩაბღაუჭებული,
ტაძრის გუმბათიდან ჟრჟოლად ჩამოღვრილი
საგალობლებით შეშლილ-გათანგული,
მტევნად დაკიდული
ბგერით — ღვთით სმენილით,
ცხრათვალა მზისგან ცხრაგზის დაქორფლილი,
„ჩაკრულო"-თი მიწას გაკრული,
„ნინნყარო"-თი ცაში აშვებული,
მაინც ინერება სვეგამნარებული
პოეტის საბრალო ლექსების კრებული...

# ჩინეთში მეგრელთა „საგანგებო მივლინების" არაჩვეულებრივი ისტორია

(უცნობი ეთნოგრაფის დღიურიდან)

I

როცა მეგრელი ჩინეთში ჩადის
და ხიდქვეშ ორი აგურით დგება,
არც ახსოვს ჭაჭა, ყველი და მჭადი, —
„დავალება" აქვს: საღამოვდება...

პროლეტარული შრომის უფლებით —
ბედნიერები! — ეგ ჩინელები
შინ ბრუნდებიან, თან ჟღურტულობენ* —
არამეგრულად — საძაგელები!..
..................................................
..................................................
ბახ! — ბახ! — დაყვერილ ჩინელისათვის
აზრს კარგავს ყველა ლამაზი ქალი,
ბუდა, კონფუცი... არ ჩანს მიზანიც:
— მუშენ ებჭყვიდი, ჯიმა მარგალი?!**
ბღავის და გულში მაოს*** აგინებს,
ვინაც მოუხმო მეგრელ „აქიმებს" —
მარგალთმარშალი ლაუს**** შენევნით:
აზიურების ჭრაჭუნით ჭიჭიმ მიატოვა ზედაეწერი,
პოლიკარპემ კი სოფ. ჭოლა და ცოლი — ბებერი...
აჰა, ჩინეთის დიად კედელში
გამოძრობილი ოთხი აგურით
(დამკვრელურ ტემპში: ათიოდ დღეში!)
ხიდქვეშ გამართეს სოცშეჯიბრი: სტახანოვური კასტრაცია და
ქვე გამოთოხნეს ეგ ნაცია, თან
კრემლში აცინეს ნამეტნავად ეროვნული —
(განსაკუთრებით — ულვაშებში და „ხვანჭკარა"-ში)
ბელად-ავგური...

II

ჭიჭის ჰკითხეს: მტკივნეული იყო ოპერაცია?..
— არა, ჩავატარე, როგორც კოლექტივიზაცია!..
ერთი-ორჯერ თითიც მომყვა... ისე, დიდი ნაცია
კი ყოფილა, შობელძაღლებს, ნიფხავიც არ აცვიათ...

პოლიკარპემ თქვა: ჩეკას ბრძანება ხომ შევასრულეთ,
მაგრამ გზადაგზა საქმეც ვაკეთეთ პატრიოტული,
შენ გენაცვალე:
არ აგვიღია ქრთამის სახით ეგ საძაგელი ბრინჯი,
ქოლგა, ჩინური ფული...
უბრალოდ ხოშზე, მაგ გრძელწვერა საბას ჯინაზე

„მილიონ ჩემ ტო“***** წვრილთვალა ჩინელს
დაყვერვის შიშით კი შევასწავლით
„კაჭკაჭთა და ჩხიკვთა ავენა“ —
აბსოლუტურად სუფთა მეგრული...

————————

## პოეტური არჩევანი, №2

აჰა, ინტოქსიკაცია****** —
მეშვიდე! — ნაღდად ვკვდები:
ალკოჰოლიკის აქციით
ანუ პოეტურ ხვედრით...

— რა მრჯიდა, რატომ დავლიე,
რად ვერ გავუძელ მურდალ
საწუთროს? — მედღეხვალიედ
თარეში აღარ მსურდა!..

----------

*სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ.I, გვ.636.

**რატომ დამღუპე (დამაქციე) ძმაო, მეგრელო?! (მეგრ.).

***მაო ძედუნი.

****ლავრენტი ბერია; რაიხსმარშალის, ჰოფმარშალისა და სსრკ მარშალის ვარიაცია.

*****ლექსის პერსონაჟები — „მგზნებარე ბოლშევიკები“ განიცდიან რუსიზმის დიდ გავლენას, მაგრამ ცნობილია, რომ მათ მიერ წამოწყებული — „პატრიოტული საქმე“ მოგვიანებით გააგრძელა თამაზ ნოდიამ, რომელიც ნენებს სკოლაში ფრანგული ენის ნაცვლად „აბსოლუტურად სუფთა მეგრულს“ ასწავლიდა (ავტ. შენიშვნა).

******ორგანიზმის მონამვლა, მოშხამვა (ფსიქიატრიის განმ. ლექსიკონი).



## სამშობლო: ზოოლოგიური მუზეუმი, №2

**(მამაძაღლი ნუვორიშებისა და მაწანწალა ძაღლების დიდი ბაირამის ზაფხულში დაზარალებული პოეტის ტექსტი)**

**ოფიციალური სტატისტიკით, ბოლო სამ თვეში თბილისში მაწანწალა ძაღლებმა 2318 ადამიანი დაკბინეს. ეს მხოლოდ იმ პიროვნებათა მონაცემებია, ვინც ცოფზე ასაცრელად საავადმყოფოს მიაკითხა. შესაბამისად, დაკბენილთა რიცხვი გაცილებით მეტია (პრესა — 2004).**

გოსპარა* ძაღლმა მიკბინა,
კანჭზე გამომდო კიჭები...
სიცხემ თუ შეურიკინა
ვფიქრობ და, თან ვიკრიჭები —
შტერივით... მაღლა — მზე ინევს,
დაბლა — მარწმუნებს ექიმი:
"ორმოცი ნემსი მოგიწევს...
(ფლეგმაა და გაქექილიც).

## პროფესიონალიზმი: ბებერი პოეტი და ბეღურები

**(ციკლიდან „ქართული ანდაზები")**

**ოთარ მიქაძის ხსოვნას**

ისევ ჩამენგრა საწოლი! —
ეტყობა: მიხმობს ჰადესი...
ცხოვრებას, როგორც "ჩაწოლილ
საქონელს" — უდიდესი
სევდა ახლავს... მწირ ნამცეცებს
პურისას — ვუყრი ბეღურებს:

--------------

***პატარა ძაღლი, გოშია (კახ.).**

ხომ შეიძლება დამეცეს
ქვა — მათი ლხინის შემყურეს?!

პოეტი მინყივ ზეცაა,
როგორც თონეში — მეპურე!..

## 1993 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲝᲮᲣᲛᲣᲠᲘ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ: ᲩᲔᲛᲔᲣᲚᲘ ᲐᲚᲨᲤᲝᲗᲔᲑᲐ-ᲐᲛᲑᲝᲮᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲦᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲪᲘᲜᲘᲙᲝᲡᲡ — „ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲝᲡᲘᲡ" ᲡᲘᲤᲐᲗᲘ 200 ᲗᲣ 300 ᲒᲠᲐᲛᲘ ᲙᲝᲜᲘᲐᲙᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ (ᲨᲢᲠᲘᲮᲔᲑᲘ ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲐᲓ ᲓᲐᲡᲐᲙᲠᲐᲕᲘ ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ)

თუ თქვენ გაიმარჯვებთ, შენს ორ ძმას
დახვრეტენ, ხოლო თუ ჩვენ გავიმარჯვეთ, მარტო
შენ იქნები დასახვრეტი... ორის დახვრეტას,
ხომ ერთის სიკვდილი სჯობია... ჰა, აბა
რას იტყვი, ძმაო?..

(ყოფილი მოპოეტო ელემენტისა და
პარლამენტის მარადიული დეპუტატის მომარ-
თვა
ჩემდამი)
რ.კ.

სახე: ნაცნობ მატრაბაზის,
კვაზიმწერლურ აქანდაზის,
ხან — გერმანულ უნიტაზის
სითეთრით და სიგლუვით,
ალაგ მწვანე, ვით ბოსტანში ხული,*
ეკრანიდან ურცხვად მიტევს:
მიქებს საქოს ძმებს — მიკიტნებს,

გასუკდა და მიკირკიტებს —
ეროვნულ მრწამს "მიკრიტიკებს"
და ახალ წრეს აფირფიტებს —
პარლამენტში — კოკობ ვარდი
(ვინაც იცის ფულის ყადრი),
ხან გრიგალა, ხან — ქიშვარდი,
შინ — ზარალი, გარეთ — დარდი
(მოკლედ: სოროსული "კადრი"),
მწერლობაში — არქეტიპი ნულის...

18 აგვისტო, 2005

------------

## ჰამბურგული ანგარიში, №2

(ციკლიდან: იქ და აქ)

დილა: გალობს დომინგო,
მე — ლექსებს ვუბრუნდები...
— რა მაღალი არის დო**, —
ლუჩანოს შეშურდება!..

— მადლი უფალს, აქ — არ მშურს,
ცოცხალი პოეტების...
უკვდავებით დაშაშრულთ,
უცილობლად შევხვდები
იქ — ხომ გვეცოდინება
ვინ რა ცეცხლით იწვოდა,
რადგან ღმერთმა ინება და,
სიტყვა გამოგვიწოდა...

# 2003 წლის არჩევნები: უმწიფარი ამომრჩევლები და გადამწიფებული საქართველო

(ტელებიძგები ბოლნისიდან)

ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ
გამოდით, თქვენი ჭირიმე!..
ა კ ა კ ი

I

ჩალურჯებული თვალებით
გვიჩვენეს მომიტინგენი:
ნასმი, თუმც არამთვრალები
ჩანდნენ "ეგენიც-იგენიც"...
უფალო, შენი სახელის —
სამართლიანის ჭირიმე,
უბოძე ამ ბრბოს სახრავი
და არ დამაკლო ჭირი მე...
თუნდ მთიდან ჩამოვარდნილი
ლოდის მთრეველი ვირიც მე
ვიქნები, ოღონდ ნამდვილი
მამული შემრჩეს, ჭირიმე!..

II

ვბერდები და, ლექსის წერას
ვლამობ აკაკისებურად:
ესეც ჩემი ბედისწერა, —
არც მონურად, არც მეფურად
სტრიქონიც არ გამომდის და

*ხული (მეგრ.) — კოლრაბი, ხვიტი, კანაფხალი (ბოტანიკური ლექსიკონი).

----------------

**ერთ-ერთ ინტერვიუში ლუჩანო პავაროტი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მას ყველაზე მაღალი „დო" (მუსიკალური გამის პირველი ბგერა) აქვს თანამედროვე ტენორებს შორის (ავტ. შენიშვნა).

ქარაფინდას დარად ვწვალობ,
ცრემლის ნაცვლად ჟღვინტი მდის და,
რაცხას ვჯღაბნი — საშუალოდ...
.......................................
.......................................
დამცინიან: ჰაი გიდი,
ოყრაყი და კრუხის პალო...

## „ჩაშვების ინსტიტუტის" იდეოლოგიური საფუძვლები

**(„ზარმაცების ხაშის" ფონზე)**

„ვაზო, შვილივით ნაზარდო",
კაცო, ღორივით ნასუქო,
საწუთრო, ისეც ჭრელია,
გნადია, რომ გაასუკო:
ადამის შვილო, აქ — გველო,
იქ — ორგანულო სასუქო,
უფლისთვის — ვაიქართველო,
მაჩვო, რუსთათვის — "ბარსუკ-ო"!..

## ცხოვრება, როგორც დიდი ყომარი

**ლოთია კალანდიას სხოვნას**

შაშიკვნეტია პოეტესებს და
ბეშირეკია პოეტებს, —
გვირგვინები რომ დაიკოსეს და
სახრავს ეძებდნენ, ჰპოვებდნენ, —
სიტყვების ნაცვლად... ვეტყვი საბრალო
პოეტი — არარისმქონე:
მხოლოდ საკუთარ თავს დააბრალონ, —
ფშუტე, ბოზბანდურ სტრიქონებს...

## ჟამი სინანულისა

**ჰო, ასე მოხდა:**
**მათრახებით დასერილ და**
**ვირის ტვირთით გაღვერილ ზურგზე**
**სინაულის მძიმე ლოდი ნამოვიკიდე!**
**ჯარჯი ფხოველი**

რადგან არაფერს ნიშნავდა მოსვლა —
აქ, იქით ნასვლაც — არაფერია:
უფალს ხომ ესმის, რომ ბოლო ლოცვაც
ეკუთვნის კოლხეთს და იბერიას!..
ნარსულში ჩარჩა შენი ბალღების:
— მამიკო, გვშია, გვცივა, გვნყურია!
ანმყოში: სოროსული "ახლები",
კვლავ უჟამოა და უჟმურია —
მერმისი: სულზე ტკბილი მამულის
მკერდზე — ტალღათა მიმოქცევანი —
ბოროტი... მიხვალ: ზღვა სინანულით
მიგყვება ლექსთან ღამისთევანი...

## რეტროსპექტული ლექსი-ტექსტი, გერმანული კექსი და ა. შ.

**(ლექსიკონური)**

ნეხვს გაურბოდნენ ბოლშევიკები,
„რუსულ-ქართულში" არაა ნეხვი
ანუ "დერმო" და ფანდებ-ხრიკებით
შეარქვეს ერთურთს: არნივი, ვეფხვი...

კომუნისტური ზოოპარკია,
თუმცა შიდგაშიგ უბერავს ქარიც
და ყარს ნარსული: კოპროფაგია* —
სამასზე მეტი სახეობის გერმანულ ძეხვთან "მედგარი ბრძოლით —
მუხლჩაუხრელად ნაამაგარი..."

# ᲓᲘᲓᲘ ᲑᲐᲖᲠᲝᲑᲐ: ᲞᲠᲘ(Ხ) ᲕᲐᲢᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲣᲠᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲣᲠᲐ

**(გეოპოლიტიკურ-გასტრონომიული არეალი და ა.შ.)**

ტრადიციული „ო(ბ) ოზიციის“
აჩრდილი დაძრწის საქართველოში:
— გვშია, გვწყურია! — მუშტ-პოზიციას
ჯერაც არ თმობენ ჩიზბურგერი, “ჰოდ-დოგი“ და
მწვადი თუ ბორშჩი...

რადგანაც, როგორც ლუმპენპოეტს
მძლე სალიპოსნო ოთხეულთან
კარგა ხანია, საქმე არა მაქვს:
ვესათუთები ხან მჭადს, ხან — ყავას...
“დემოკრატიას“ არათუ მაქსი,
არამედ მინიც (თუ გაუჭირდა!), იკადრებს და, გაუქნევს გავას...

ვკითხულობ გოგოლს... განცვიფრებული ვფიქრობ:
ასე, რამ შეაყვარა,
მას მაკარონი — იტალიური?..
........................................
........................................
მამული? — დევნილ ჟუჟუნების ჟულიკურად**
მოჟიკჟიკე ურიკების
ფორსმაჟორულ მელოდიად იქცა ჩემი ხატი — ქვეყანა
და ჯიგარს მიწვავს დიდი ბაზრობის
ყაფაზ-ყაფანი თუ ყაყანი — ყოველდღიური...

## ამბოხებული ზოდიაქო: კიბო-მწირის აღსარება

(ბიოგრაფიული კაზუსი)

კ ა რ კ ი ნ ო პალურსა ეწოდების,
ესე იგი არს კ ი რ ჩ ხ ი ბ ი, რომელსა
სომეხი ხ ი ჩ ა ფ ა რ უწოდენ, დიდი
ცხრაფეხა (თევზ.) კიბორჩხალი.
სულხან-საბა ორბელიანი

ალარ უნდოდა და, აიძულეს
(სნამს: მიუტევებ ერო და ბერო) —
ქლესათა ქირქილს, ლაფს და სიძულვილს
გადაუხადა სამაგიერო —
მეფურ პალურით... რადგან აქ — სიტყვა
უძლური იყო: რა უნდა ეთქვა —
ქვემძრომებისთვის? — უსიტყვოდ ითქვა:
საჯდომი, ფეხი და გულის ხეთქა...

## VA BANQUE*
## (ვარიაციები ტელეგადაცემა „ფორტუნას" თემაზე: მარადიული „მაღალი" და „დაბალი")

ბორის წიფურიას ხსოვნას

არაფერს ვამბობ, იმათ შესახებ,
რომ მიბოზეს (დღეს: ლუდს სვამენ — სვიანს),
ეგ ადრე მოხდა: ეჭირათ სახრე —
კალამი, ახლა გავით ისვრიან —

----------------

*კოპროფაგია — კვების ინსტინქტის წახდენა, მიდრეკილება საკუთარი ექსკრემენტების ჭამისადმი. გვხვდება შიზოფრენიის შორსწასულ შემთხვევაში და ეპილეფსიური ჭკუასუსტობისას (ბ. სვანი, ლ. ნაკაშიძე, ფსიქიატრიის განმარტებითი ლექსიკონი).

---------------

**ჟულიკი (რუს.) — ეშმაკი, ცუღლუტი და ა.შ. (ქალაქურ მეგრულში შემოსული ბარბარიზმი).

მყრალ ჰაერს... მიწყივ — რწმენით მაღალის
გვერდით ჩალიჩობს დაბალი თულიც:
არაფერია ცის ქვეშ ახალი,
არც სიძულვილი, არც სიყვარული...

***ვა-ბანკ! (ფრანგ.) — მთელი ბანკის მოთხოვნა (ავტ. შენიშვნა).**

## ბოტანიკის გაკვეთილი: კაქტუსები

**(ციკლიდან: იქ და აქ)**

**გიორგის და ნინოს**

ხელებაპყრობით იდგა კაქტუსი
და ლოცულობდა:
შაური ღირდა სიმართლე თუ სინდის-ნამუსი...
ბოზი — თულობდა...

გზა: სიბერისკენ მივდიოდი — უდასასრულოდ —
ღარიბ-ღატაკი...
თავს ვიმხნევებდი: ცოტაც კიდევ გაუძელ, სულო!..
გულში მატაკეს —
ბენვის სიბილწე — მაწყევარმა ჰორიზონტებმა,
დვირე — თვალებში —
მამალი ბრაწნი...
ვწუხ-ვწრიალებ — ვქუხ: პოეზია კვლავ იტოტება —
სტრიქონთა ელვით, ირეკლება ცა მწვერვალების
სისპეტაკით და სიღრმე — წმინდა ანათებს დღესაც
ჩემს ბედისწერას: პოეტურ ზღვას — მდინარეს — გუბეს...
იქ — თქვენზე ლოცვით ხელებაპყრობილს
ჩამესმოდა  დაწყევლილი კაქტუსის კვნესა.
აქ — მლაშე ცრემლით სავსეა უპე...

## გვიანი სტუმრობა: ლოთობა

(ციკლიდან: იქ და აქ)

იქ — ბიბლიური მორია,
აქ — მეამბოხე ბორია,
შუაში — რენე: შორია,
ღვთაებრივ ჰელიკონამდე! —
ნუხს... სვამენ... იქით... ჯვარია,
აქეთ — მაცხოვრის კარი:
ვინაც მამული არია,
იმისი ცოცხალ-მკვდარიც!..
ცრუს, ორპირს შეუკურთხებენ
მამაპაპურად, ლოთურად, —
სიფხიზლეს მიაფურთხებენ,
როგორც საბავშვო ოთურმას...

## ნაბახუსევზე მინაწერი:

ეხ, უფულობის დედასა,
რა ეშველება სევდასა?!
არც გვაცოცხლებს და არცა გვკლავს,
ხან — ღმერთიც არა გვხედავსა!..

## ECCE HOMO*

ჰა, შიმშილისგან დაოსებული
ნევხარ — სათვალედაკოსებული
ცხვირზე: კითხულობ შტეფან ცვაიგის
დიდებულ ესეს — „მკბენარზე" — გრაფზე,
ფიქრობ: ჰა, კაცი იგი!..

ნაღდი ლომია!.. შენ კი ღორებმა
ნეხვად გაქციეს და გეფხორება

ამპარტავნობა — თავმოლორება
ინდაურივით: „კლასიკოსების“ ჯიგრისფერი კოჭის გორება...
გულდაწყვეტილი წევხარ, მნუხრში მოიზმორება
ჟამი მედინი — ჭირის თუ ლხინის —
ცოფის წამლის** ან მომჟავო ღვინის —
უკანასკნელი ურიგო რიგით...

## სკეპტიკური დილა

უდიდესი მწერალი,
უდიდესი ბანანები...
გიუნთერ გრასი

უდიდესი პოეტი,
უდიდესი ძეხვები:
უფლის სიტყვის თუ ხელკეტის
თავთან კუშტი შეხება...

„უდიდესი მწერალი,
უდიდესი ბანანები...“
პოეტი — ნაშტერალი —
ჩიტის ბედზე დანანებით
წაიკითხავს აწ დაწერილ
და დასტამბულ წიგნებს —
გულის სისხლით გადაწერილს...
სწამს: წყვდიადში იგნებს
გზას: შორეთში ბრწყინავს აკმე* —
გულწითელა — პაწია და დიდი:
უფლის სიტყვა მიაცილებს,
ხან — სატანის ხელით უყრის მაცდურ საკენკს
საუკუნის დასაბამი — ბაქია და ფლიდი...

*აი ადამიანი! (ლათ.).
**არაყი (ჟარგ.).
*მწვერვალი (ბერძ.).

## ტრაგიკომედია: კონტრასტები

(ციკლიდან "აღნიშნული დრო": 29.05.2004)

ლენტეხი: ირგვლივ საზარელი წყალდიდობაა,
ტყეს შეეხიზნა მეწყრის შიშით დამფრთხალი ხალხი...
ხოლო კახეთში: უსასრულო ხადილობაა*
და რუს ბუზნესმენს მწვადს აძალებს "ჩვენი" ჩათლახი...

ან, რას მოვასწრებ? — ცრუ საწუთრო ღვინის ნაცვლად თხლეს
და ძმარს მასმევდა, ვით წინაპრებს, ეგ მედარდება:
„ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ,
არ გეკადრება, არ გეკადრება!.."**

## მრწამსის ერთგულება, №2

(„პროვინციელი ფაშისტის" მენიუ)

გურამ პეტრიაშვილს

ჩაი, პური, კვაწარახი
წინ მიდგეს და ცის კარნახით
ვწერ და ვიწვი: ვერას მიზამს
მეფის მონა, ცრუ, ჩათლახი,
ვისაც ჩაჩი ახურია,
თუნდ ქართული ჩაბალახი,
ვიცი: კუჭის მსახურია, —
ნეხვი უდევს თუ კალმახი
წინ და მიმზერს — ბეჩავ ხიზანს —
ყასაბ-ქონდაქარ-სალახი:
მე — ჯამი ვარ უფლის — ქვეყნის,
ის კი — ეშმას მახალაკი***...

## პოლუსები: უფლისწული და მათხოვარი

**თედო სახოკიას ხსოვნას**

ჩემზე იტყვიან: ხელში კატა მოუკვდებაო,
სხვებზე კი — ხელში მოიქონიებს...
არსთაგამრიგე ხომ ხედავს და არც მსურს ვედავო,
სხვათა და სხვათა „შემოლობილს“ თუ „იმპერიებს“
ალბათ აზრიც აქვს... მე მწავს — სტრიქონი
ავრელიუსის: „ნუ შეგაკრთობს კაცთა ყვედრება
და მითქმა-მოთქმა“... ციდან მოქუხს ხმა-სტიქიონი,
მერმისის პოეტს სახადად რომ გადაედება!..

## კონტრასტები: პარადოქსების ქვეყანა

**რაღაა იგი ნაცია,**
**რომლის ბელეტრისტმა უნდა ჭამოს**
**შვიდ კაპიკიანი პორცია?..**
**ეგნატე ნინოშვილი**

...როცა ქურდს "საქმეს ურჩევენ"
პატენტიანი ბოზები:
ბოძებს აფსამენ ქუჩებში
გამტყვრალი გენიოსები...

...როცა წვერ-წვერა პოეტებს,
წვერსაც და ლექსსაც უწუნებენ
წვერთმოძულენი* ანუ ქოსები:
ვგრძნობ: იცინიან საფლავებშიც კი,
მაგრამ ცასავით უსასრულოა
წუხილი და განმარტოება —
აწ გარდაცვლილი კლასიკოსების...

***ჰენრიკ იბსენის ეპითეტი (ავტ. შენიშვნა).**
***წვეულება, ლხინი; შექცევა (ქეგლ).**
****ვაჟა-ფშაველა.**
*****აბგა (სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული.**

## ივლისის ხვატში გავრბივარ სახლში და გზად მაჩერებს, ვფიქრობ: დროებით უმუშევარი სუკის აგენტი

> **რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა,
> იგივე მოხდება; არაფერია მზის ქვეშ ახალი.
> ეკლესიასტე (თავი პირველი, 9).**

მაჩერებს ტიპი: — რაა ახალი?..
— ჯამედ აქცია თურქმა პარხალი! —
პასუხი ჩემი: მისი ხახანი* —
ბატონკაცური... ქვაა — ნახალი —
თვით ბიბლიიდან — გოლიათისთვის,
ვირის ყბა — მშიერ პოეტისათვის
და ხვატში ვდგავარ: უფალო, რისთვის
დამიტევე მე, განა ამ დღისთვის?!
...........................................
...........................................
— არა ვარ შენი ინფორმბიურო! —
მაჩერებ, რადგან "დემოკრატია
სუფევს", გამიშვი სახლში, ტყიურო!..
ახალიც, ძველიც, მხოლოდ ხვატია!..
გავრბივარ. ხე დგას. ბუზები კბენენ.
მიყურებს. იტყვის — ქალაქში: რენე
გიჟია, აფრენს სირთა მგოსანი
და იხარხარებს ბრბო — ლაროსანი...
......................................
.....................................
ივლისის ხვატი და ტიპი — ხე: რას იზამ?
ზუგდიდში აგდიხარ, საწუთრომ გაგსრისა
ბუზივით, როდესაც თურქეთში ნარგიზაც,
ცუცაც და ჟუჟუნაც ჩალიჩობს "ფაიზალს"...
აქ — ქმრები ბოჩია, ლოთი და ჭიჭიკო
ჭაჭას სვამენ და თამადა დაჩინდრიკობს
ჯოხის ცხენზე: მშიერს სიმთვრალემ უწია:
„იმიტომ ხდება რევოლუცია"...**

***ხახანი (ხევსურ.) — ხარხარი (ქეგლ).**
****გ. ტაბიძის სტრიქონი.**

## მარადიული სამშობლოს რწმენა: პოეტური ძილ-ღვიძილი

**(ციკლიდან: იქ და აქ)**

მაშხალასავით უბრწყინავდა მოტველეპილი თავი ოდისევსს* —
ჰადესში, როცა ჩემი — ბუუტავს ფიჭვის კვარივით —
ზუგდიდში, მაგრამ სასთუმალთან ვაჟას ტომი ძევს,
დევნილს, რომ შემრჩა — გულჯავრიან ნაღვერდალივით —
მოძულებულთა...** ბრიყვთა ლხინი: აწუხებს ქონი
ათას მამაძაღლს, ქარაქუცას და ვირის მყვერავს...
აქ — მშიერ-მწყურვალს წამომაგდებს უფლის სტრიქონი:
— მერმისში მაინც გაბრწყინდები, მამულო, მჯერა!..

## სოხუმური ზაფხული: რესტორან „კავკაზის" მოულოდნელი გახსენება

> **ქალი ქალია და იშოვის თავის მალამოს...**
> **ტიციან ტაბიძე**

ჰა, როგორც ზღვაში თევზი-გიტარა,
შენსკენ მოცურავს გიტარა-ქალი —
ოფიციანტი: ტუჩზე კი არა,
ძუძუებს შუა მთრთოლვარე ხალით...

უმზერ და ფიქრობ: ამ მკერდს დააკლა
მეგრელმა მამრმა სომეხი კურო...
თავად ფანჯრიდან გადახტა წაკლა,***
ახლა მზადაა: შენც გემსახუროს...

## პ ო ე ტ ი

**გენოს და ზაურს**

არც მეტი და არც ნაკლები:
ზოგჯერ — გიჟი, ზოგჯერ — მეტრი,

ზოგჯერ — ლომი — ტყის ამკლები,
ზოგჯერ — მწერი — მილიმეტრი:
ეგ პირქუში სიმართლეა,
არა ტკბილი სენტიმენტი:
პოეზიას, ვით ჰალეის
კომეტის დას, კომპლიმენტი
არ სჭირდება! — ღვთის მადლია,
არა ეშმას — ალიმენტი...

პოეტისთვის დგება ხანა,
მწარე არის ეს ქვეყანა,
ყველაფერი ეზიზღება,
ბირდაპირი, "განდაგანაც",
კოშმარებში ესიზმრება,
რომ ეწვია იმ ქვეყანას:
— შე ბებერო, დაგაფასეს,
გიგალობენ სულთათანას?!.

## ჩემი ქალიშვილის პირველ პუბლიკაციაზე მინაწერი, ანუ სევდანარევი ძიებანი — ირონიაშერეული განწყობით

**გაზაფხულის საღამოა მშვიდი,**
**ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.**
**ტერენტი გრანელი**

სოფ. კონჭკათის ფერდობებზე
გველეშაპის კვერცხებს ეძებს
გოგისვანიძე და H3-ს*

***ჰომეროსიდან: „— მე მგონი, ღმერთების ნებით გვეწვია ეს კაცი, — ოდისევზე მიათითა, — მაშხალასავით უბრწყინავს მოტვლეპილი თავი და ცეცხლზე უკეთ ეგ ანათებს დარბაზს! ("ოდისეა", გვ. 245).**
****ოდისევსი — "მოძულებული" — პაპამ, ავტოლიკემ შეარქვა (გვ. 250).**
*****იაფფასიანი მეძავი (ჟარგ.)**

კი შეიძენს ირუი მენცელ...**
— ფასი? — აბა, მე რა ვიცი...
იქ არა ვარ ყოვლისშემძლე!..
მთავარია: მრწამსი — ფიცი,
რომლის ღალატს ველარ შესძლებ!..
ბედისწერა? — გვარზე კვიცი,
როგორც ჩიტი — ხიდან ხეზე...

## მარადიული მარათონელი

**ჭაბუა ამირეჯიბს**
**„რაც უნდა ჭირი მომკერძო,**
**ბილწთ არ შავეკვრი ზავითა..."**
**ვაჟა-ფშაველა**

ჟამი მანქურთთა აღზევებისა,
წმინდა ბორცვაკთა შეგინებისა,
კვნესა წინაპართ დაღლილ ძვლებისა
ჩამესმის, რადგან უზნეობის და უვიცობის ჟამი დამდგარა!..
ვწუხ: სინდისის ხმის მიძინებისას,
მაკრთობს ქირქილი ავსულებისა...
აჰა, მტევანი უფლის წმიდა მრისხანებისა,
ჩემს მელოტ თავზე იჭყლიტება და ულონობით
სიმწრისგან ვტირი:
ჩამოქცეული გუმბათიდან მაცვივა კერი...
ბაზალეთის ტბის სანახებში თოხარიკობს და
უკრაინულ ივს* ქართულად თარგმნის — ბუჩქობრივად
გლობალისტი ბოზბანდა "კმარა"...

გავრბივარ: ბილწთა დღესასწაულს რომ ვაკვირდები,
შეძრწუნებული ვბორგავ ღამით, დღისით — ვფითრდები...
მამულო, ჩემო! სანამ სული მიდგეს, გპირდები,
არ შევეკვრები — თახსირთ, თუნდაც ოქროს კვირტები
ესხას — მაცთური მოლოხის** ხეს, ავუხირდები
უზნეობას სულგაყიდულთა: მსგავსთა კირთებით,
ვერ დავიმძიმებ პოეტურ მხრებს, უმალ თითები

გამექცევიან, ვინემ ქებას მივუძღვნიდე ბინძურთა ამქარს!..
დაბადებიდან არ ვარ მათი სირი თუ ვირი:
პირქუშ სიმართლეს ვყვირი...

## შაბათი: დილა, ტელევიზორი: 8.00 დან 9. 00 მდე

**(ციკლიდან „თვითგვემის გაკვეთილები")**

სიბელიუსთან მიაქროლებს მდინარე ზვირთებს,
ხოლო მოცარტთან — თრთიან ბგერები,
როგორც ფოთლები... გაშეშება დააცხრა თითებს —
ჩემსას, რადგანაც „ბედნიერების"
კრემს, რას გასწვდება უბედური პოეტის ჯიბე?..
იოჰან სებასტიან ბახი — ვიოლონჩელი:
ტბაზე იხვები მიცურავენ, ცისკენ კი — კიბე
იაკობისა: მარადისი ჯილდო-სასჯელი —
შეშლილთა წერა... შემდეგ უცებ შემოდის ბრამსი
იოჰანესი და, დასასრულს — გუსტავ მალერი...
.......................................................
ფერ-ბგერა-სიტყვის შხამით სავსე წინ გვედგა თასი —
დაწყევლილთ: მაინც მიაპობდა სივრცეს გალერა...***

## გამოცხადება: სკეპტიკოსი ანგელოსი

**თითოეული ანგელოსი შემზარავია.**
**რაინერ მარია რილკე**

რადგან გამოცდა ჩემი ენადა,
ბრმა ანგელოსი გამომეცხადა —

*НЗ(რუს.) — აბრევიატურა: I. ხელუხლებელი მარაგი. 2. უზადო, უბიწო, უმანკო (გადატ.)
**სახელგანთქმული რეჟისორი, ჩეხური "ახალი ტალღის" ლეგენდარეული წარმომადგენელი.
***გალერა (იტალ. galera ) — მრავალნიჩბიანი ხის სამხედრო ხომალდი (მე-18 საუკუნის ბოლომდე); მენიჩბეებად უმეტეს წილად იყვნენ კატორღამისჯილი დამნაშავეები, ტყვეები, მონები.

შემზარავი, თუმც საოცრად სადა,
შემდეგ — ჩურჩულით — მითხრა:

ნუ მიენდობი მოყვასს, ნათესავს,
ამხანაგებს, თუნდ პოეტს — საესავს:
პრესაში გაქებს, დანას კი — ლესავს,
თანაც საეჭვოდ — დიდხანს...

ნურც "ძვირფას მკითხველს" ანუ დედაკაცს,
კრიტიკოსებს და მებრუვე ძმაკაცს —
ატროკებულ ვირს — "პატრიოტ" ვაჟკაცს —
ყველას ტვინში ჰყავს ვირთხა...

რადგან გამოცდა ჩემი ენადა,
ბრმა ანგელოსი გამომეცხადა —
შემზარავი, თუმც საოცრად სადა,
შემდეგ — ხმამაღლა — მითხრა:
— თიხა ხარ, რენე, თიხა!..

## მარადიული აბეზარა: კორექტურა

ამეკიდება კორექტურა ბაზრის ლოთივით
და თავს მაბეზრებს — ნვერებიან ანეკდოტივით...
ფუ, მეჩქარება! —მობარბაცებს ბურტყუნ-ზოზინით,
ბრანწივით ბრძენი, თუმცა თავი მარტოდენ თივით
დატენილი აქვს უსასოო ფიტულებივით:
მოხუცი გაიც უკვე მკვდარია*
და არ სჭირდება მოწყალება, თქვენი, სრულებით:

*ივი — „მამაკაცთა და დედაკაცთა ორთავე სასირცხოთა ასოთა ზოგად ი ვ ი ენოდების" (სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული).

**მოლოხი — იტყვიან ისეთი რისიმე შესახებ, რასაც ბევრი ადამიანის მსხვერპლი სჭირდება (ფინიკ.molok მეფე; მზის ცეცხლისა და ომის ფინიკიური ღმერთის სახელის მიხედვით, რომელსაც მსხვერპლად ადამიანებს სწირავდნენ).

ამერიკელი პოეტის ალან გინსბერგის ინტერპრეტაციით — დოლარი (ავტორი).

— დაგაგვიანდათ, წმინდაო მარიამ!..
ამედევნება კორექტურა ქუჩის ქალივით,
მკითხველი მხედავს: გაბახებულ პატარძალივით —
ქორწილამდე... ვწუხ: მწნილს ვჭამ — მუცელგამობერილი...
სიტყვა მკაცრია, როგორც ქმარი, ხოლო წერილი
წასაკითხია მალულად და პასუხიც — დილით —
მამლის მესამე ყივილამდე, უფალო ჩემო, დასაწერია
(უნდა მოვასწრო, სიკვდილამდე, რაც მთავარია!)
ჩემი წერა — დიადი წიგნი — ცის მისტერია!..

## 1957 წლის პოეტური ესტაფეტა

**ანჯეი ბურსას ხსოვნას**

გადავაგორე მძიმე ლოდივით
დღე: სნეულს — გულის მანკით ვთარგმნიდი —
პოლონელ პოეტს — ჩაუტყდა ხიდი —
სიჭაბუკეში, მე კი — გავმდიდრდი
მისი ლექსებით... ის ამთავრებდა —
სიცოცხლეს, ბალღი ვიწყებდი წერას:
ჩემში გრძელდება დათავთავება, —
მისი სიცოცხლეც და ბედისწერაც...

## ქრისტიანობის ანაბანა: თავმდაბლობა

თქვენი აკრომეგალია,*
ოქროს აკმე** თუ გალია,
ციხე, სახლი და ნალია —
ჭირნახულით სავსე,
სამწუხაროდ: აღარაფერს ნიშნავს ახლა ჩემთვის,
როცა მეამბოხე სული ღვინის ოკეანეს ერთვის,
ფშუტე გიგანტური ბუშტი დამითმია თქვენთვის!..

რადგან უფალს ასე ნებავს

და თასს სისხლით ავსებს —
ღვინის ნაცვლად, ხოლო ხორცი
პურად იქცა, ასე
ჩაიარა თვით მეოცემ —
ჩვენი ცოდვით სავსემ:
კვლავაც ივლის მოკრძალება
ჯვრით — გოლგოთის გზაზე...

## ტელედაჭერები: კატათაგვობანა

ფულს სუნი არ უდის...
ვესპასიანე (იმპერატორი)

დაიჭირეს კუპატაძე —
მუცელღმერთა: გვამცნობენ, რომ ჭამდა კუპატს,
ეგ მსუნაგი საწებელას გარეშე და
უპუროდაც თურმე...
"საქმე" — ტომი ველარ იტევს
მის ბოზბაშებს და ყაურმებს:
უძღებს პირი მოუკუპრეს
და ალკვეთეს თარეში
მისი „საკუპატე"-ში
და სარდაფებში სრულიად...
მომავალშიც აუკრძალეს
თქვლეფა — მუცლის ამოჩხორვა:
ციხე — რკინის და „ბალანდის" გალიაა...
დრო იქ — რომში,
აქ — ჩემს ტანჯულ სამშობლოშიც,
კვლავ უსუნო ფულია...

*ტომას სტერნზ ელიოტის „ფუტურო ხალხი" (1925):
„გაიღეთ მოწყალება მოხუცი გაისთვის" (ავტ. შენიშვნა).
**გიგანტთა სენი (მედიც.).
***აკმე (ბერძ.) მწვერვალი: აკმეიზმი — მიმდინარეობა
რუსულ პოეზიაში.

# რუსთაველის — მარადიული ფრინველის ლანდი: უანგარო და უპონორარო პოეტების გზაჯვარედინზე

> რას მომცემს ისეთს მე საქართველო,
> ანდა რას მისცემს მას ჩემი ქნარი?
> გალაკტიონ ტაბიძე

რაღა უნდა მოეცა? —
გიბოძა იმერეთი:
ქართულად — საოცრება
და მეგრულად — მერეთი, —
აკაკის „ფირუზი — ცა
და ზურმუხტი — ხმელეთი"...

რა მოეცა? — უჭირდა! —
მოგცა ნიჭი შეშლილის...
ბოლშევიკთ — თაფლუჭი და
სტომაქზე დაგეშილნი
ჰყავდათ რუსი „მოძმენი",
მზერით — შაშუ ბეშივით
ნეხვს ესროდნენ ხატებს და
გადამსხვრეულ ქეშივით*
ძირს ეყარა და-ძმები,
ვინც მტარვალს არ დანებდა:
თერგიც აღარ ღმუოდა,
ენგური კანკალებდა...
რა მოეცა? — ნეტავ რა,
როცა არც არსებობდა
სამშობლო და ნეტარი
კვლავ შიმშილით კვდებოდა
ყველა დიდი პოეტი —
არწივიც, კაპოეტიც,
თუ უფალთან საუბრობს
ქრისტესისხლას რტოებით...

...როცა ცრემლი აალწევს
მარტოსულთა ცამდე,
გულზე ლოდად რომ მაწევს
რწმენა — მარად მწამდეს:
თვით ანი-დან ჰოე-მდე —
ღვთიურ სიმარტოვემდე —
გზას — მშობლიურ ფესვებამდე
და ცნობადის ხემდე, —
წინაპრებთან შეხვედრამდე
არ მთავრდება... მდე-მდე:
კვლავ შუბლს ვახლით ცრუ საწუთროს —
"ნასულები ხელიდან" —
პოეტები: ახლა უფრო,
გაძლებაა ძნელი და
მაცდურია — ქეშად ქუფრი
საბას სამი სკნელი, თან,
რაც იწყება რუსთველიდან —
მარადიულ ფრინველიდან —
ზეციური ნინველიდან
და გრძელდება — დღემდე...

## რეალური რამერუმეს რეზიუმე:

შეუნდობს რა, ცოდვის შვილებს,
უფალი ნიჭს ანაწილებს:
შენ — ქირქილი შეშლილს,**
მე — ცრემლი ნუგეშინის,
მავანს, რა თქმა უნდა, ალლო
მოყვასზე დაგეშილის...

*ქეში — ძვ. "კონა ისართა" (დ. ჩუბინაშვილი).
**იგულისხმება გ. ტაბიძის სტრიქონი
„ედარებოდა შეშლილ ბეთჰოვენს..."

## ნაცრისფერი დღეების ჩრდილში: ჟამი კათარსისისა
(0, sancta simplicitas.*)

> **ნესტიანი, უფერული დღე იყო... და ისეთი თბილი ჰაერი ქროდა, სპილოსაც კი ძარღვებს აუშლიდა.**
> **ფეოდორ დოსტოევსკი („ყმაწვილი“).**

რა აუშლის ძარღვებს სპილოს
(რამდენიმე ათას კილო
ხორცს) — ნადირს თუ უფლის „შვილო,
ჩემოს“ თურმე
თვით ფედიამ იცოდა...
ლაბირინთში — დაბნეული
ვარ, ვით ბრინჯი — გაბნეული —
უნაყოფო და ეული —
„სიყმაწვილის რვეულით“
სიბერისკენ მივბობღავ და,
მტვერში ფორთხვა არ დამთავრდა —
აქ ვნუხ... იქ — ჭამს, ვინაც ჭამდა —
უნინ, თავშიც აუვარდა
მგონი, მაგრამ მთავარია, მოასხურებს ფრანგთა „პარფუმს“
ვარდებს, რადგან თურმე ყარდნენ,
როს მოყვასი ნელ კოცონზე იწვოდა...
კლდე: მარტოხე ვდგავარ, ვცდილობ
აყვავებას, წინ — პირქუში ხედია:
მარად აკრძალულო ხილო,
პოეზიავ, არსთა არსო,
ხან სიცოცხლევ, ხან — სიკვდილო,
ნერვებაშლილის ყივილო,
ძარღვებმოშლილის ტკივილო,
შხამნასვამო ძილ-ღვიძილო,
მინის ბზარო,
ცის კივილო,
ორიოდე სიტყვა მაინც შეგბედო და,
დანარჩენი — ბედია...

***„ო, წმინდა გულუბრყვილობავ!“ (ლათ.) — წამოძახილი მიეწერება იან ჰუსს (1369-1415), რომელმაც დაინახა, რომ ერთი მოხუცი ქალი გულმოდგინედ უკეთებდა შეშას ცეცხლს, რომელზედაც მას (ჰუსს) წვავდნენ.**

## ლიტერატურის ისტორია — 2003: ქრონიკა

(ციკლიდან: იქ და აქ)

ზაურს

ეგ საწუთრო, რამდენს ბედავს,
გოგოლს ტოვებს „ბეზ ობედა"...*
ჩვენ რას გვაჭმევს, თუ პოეტად
აღიარებს ნაგნიბედას?..**
აქ — შავკუტას*** ეფერება
და კაზაკურ კალამს უქებს,
იქ — კალაძეს**** ებერება
ფაშვი — ჰონორარით უკვე:
ძეხვს და კამოს კონსერვს***** აჭმევს,
ქოსმენივით დაასუქებს,
თან მეუღლის მძლე ქელეხში
ხედავს "მგოსნის" სიჩაუქეს...
...............................................
.......................................
ვწუხვარ? — მწიხლავს, რადგან სანჭავს******
როგორ ვუმზერ ამდენ კუკებს:
ნასმურევზე ბუშმალას ვჭამ
და ბოსტანში ვისვერი კურკებს,
რაც უწყიან — „სადაც ჯერ არს„ —
მეტი რა საქმე აქვთ სუკ-ებს...

*1824 წელს გიმნაზიელი ნ. გოგოლი სიზარმაცის გამო სადილის გარეშე („ბეზ ობედა") დატოვეს (ვ. ვერესაევი, ტომი3).

**მიკოლა ნაგნიბედა — მეოცე საუკუნის უკრაინელი საბჭოთა პოეტი.

***ანატოლი შავკუტა — რუსი მწერლუკა, ანტიქართული მოთხრობა-პასკვილის ავტორი.

****ცნობილი კარლო კალაძე: I. გამომცემლობა „მერანის" დირექტორის სავარძელში ისე გათავხედდა, რომ უტიფრად იკვეხნიდა, თითქოსდა მან და მისმა საძმომ საბჭოთა პოეზიის ტანკით გადაუარეს ტერენტი გრანელის პოეზიას. 2. უპრეცედენტო ფაქტი: მეუღლის ქელეხში საკუთარი თავი დანიშნა თამადად.

*****ნეხვის ეპითეტი (ავტ. შენიშვნა).

******ამჩნევს, ხედავს, უთვალთვალებს (მეგრ.) ყარგ.

## ზუგდიდი: წიგნის მაღაზია, 16 აპრილი

ბაჩანა ბრეგვაძეს

აჰა, ნისიად დამითმეს
თქვენი ნათარგმნი პლატონი! —
კვლავ ცალ-ცალკე ვართ — მე, ფული,
შვეიცარიის კანტონი...
უფულოდ, როგორ კეთდება
საქმენი — სადიადონი,
კარგად უწყოდა პლატონმა,
მეც ვიცი, თუმცა მარტო ვარ...
ვნახავ: სულ შესვა სოკრატემ,
თუ ორი წვეთი ჩატოვა —
ჩემთვის?.. ზემოთ — დუმს უფალი,
ქვეშ — ეშმამ დამიმარტოვა!..

## უჟამო ჟამის პოეტების ბედისწერა: რევოლუციონერები — ტაშისმკვრელები — ჯალათები

**(ციკლიდან "სევდიანი პარალელები")**

**1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის
ბოლშევიკების მიერ დახვრეტილი ახალგაზრდა პოეტის
დ ა ნ ი ე ლ  ფ ი ფ ი ა ს ხსოვნას.**

**...როდესაც უკვე ეშაფოტზე ასულ დანტონს
ერთ-ერთ მეგობართან გამოთხოვების უფლება არ
მისცეს, აღშფოთებულმა წამოიძახა: "უგუნურნო!
ჩვენი თავები კალათის ძირას მაინც გადაკოცნიან
ერთმანეთს!**

**მემკვიდრეობით ჯალათის ანრი-კლემან სანსონის
წიგნიდან "ჯალათების შვიდი თაობა (1688-1847)".**

უკვე არც მახსოვს, ნეტავ ვინ
გამოიგონა მელანი?..
გვერეკებოდნენ მარშით — „წინ!" —
ცოდვის ზღვაში ვართ ყველანი, —

პოეტებიც და დამსმენნიც,
ლომებიცა და კელანი:*
სანგით** გვისმხვრიეს სახსრები,
სისხლ-ცრემლი — მუშტისხელანი.
გვადინეს დედულ-მამულში,
გვაწამეს: ურტყეს გელანი — ***
ჩვენს თავთა ქალებს: ჰა, გუშინ
დაჰკიდეს ბურბუშელანი —
სიკვდილის კულულები და,
კვლავ "ზელადს" ებულბულება —
ბრბო — მარადიულ ნულების,
რომ იპარპაშონ თულებმა...

## ინფანტილისტის კუროლოგიური ზაფხული

**(შტრიხები უუუყვარყვარესის პორტრეტისათვის)**

**„ნოვრუზ-ბაირამზე მისულ საქართველოს პრეზიდენტს ერთ-ერთმა თანამემამულე აზერბაიჯანელმა მოქალაქემ „დავიდ სტროიტელი" უწოდა" (ტელევიზია).**

თათრებისათვის — ალმამშენებელი,
ქართველებისთვის — დალმამშენებელი,
ებრაელთათვის — ელი და ელი,*
რუსთათვის — ნაც-ცინგლიანი მგელი...
სომხებისათვის: შნორაგჲალუცუნ —**
აფსუა-ოვსთა ხვედრზე წუწუნით
უძილო: ხალხნო, არ ჩანს საშველი! —
„სულ წინ მივიწევთ" — პრუნუნ-წრუპუნით...

## ᲡᲝᲮᲣᲛᲘ: 1986 ᲬᲚᲘᲡ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲮᲕᲐᲢᲘᲡ ᲡᲘᲖᲛᲐᲠ-ᲪᲮᲐᲓᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

**(ერთაქტიანი პიესა: მწერალთა კავშირიდან გარიცხვის კომედია)**

ჰა, შეკრებილან ყურუმსალები,
შლაპოსნები და ჭკუით სალები
(ბოლშევიკები — „ისკრის" მიმცემნი, კომუნისტები —
„იკრის" ამღებნი*).
ანუ საოლქო კომიტეტის ნომენკლატურა:
„კადრნი" — „ნალები" —
ლიპიანები — ზღმარტლ-მანდარინის, ფეიხოას და
ხურმის ბაღებით
(ჩემთვის — უბრალოდ: ჭაკნი — დაღებით), —
პარტბილეთებით: ნინოშვილის, მელანიას და ლორთქიფანიძის
წითელ წაღებით თუ კობას კირზის ჩექმებით ვარ „გასასაღები",
ანუ ხიშტად ქცეული კალმით...
ჰა, გაასრულეს მატრაბაზებმა,
ოინბაზებმა — ფუნის ბაზებმა —
სოცრეალიზმის აქანდაზებმა
„საქმე" — ბილწი და მყრალმა გაზებმა
ამიწვა ცხვირი: თითილბაზებმა
გააშანშალეს „ოქმი" — ვრცელი და გააგზავნეს იქ —
„სადაც ჯერ არს",
ტელეფონითაც მოახსენეს: „კომუნისტური გზნებით,
რომ დამსაჯეს და ათხმად** გამრიცხეს,
ანუ მომიჭრეს საბჭოური მწერლობის გზები —
ბოროტ ხულიგანს — ბარბაროსული,
ანტისაბჭოთა ჭიტლაყის გამო..."

...გავრბივარ, ვთვრები —
პოეტი — ამბოკარლანდიის დაფხრეწილ ალმით —
ჯიბეში პურის ნატეხით და იაფფასიან მწებარე ჰალვით...

*კელა I. ნეხვი (ლეჩხ.), 2. ბზიკი, კრაზანა.
**სანგი — დიდი კვერი რკინისა (სულხან-საბა ორბელიანი), — ურო.
***გელა — ხის ან რკინის კეტი მოღუნული ბოლოთი, ცეცხლის საჩხრეკი (ქეგლ).
*ღმერთო (ივრ.).
**მადლობა (სომხ.).

სანაპიროზე მობორიალეს სკეპტიკურად მათვალიერებს
ბატონ კანტის ვარსკვლავებით მოჭედილი ცაც,
„ამრა"-სთან ყვითელ კეპს მოვისვრი განრისხებული,
გიჟივით ვხარხარებ: ახ-ახ-ახ, ხა-ხა-ხა-ა-ა-ა,
„თქვენი პიესა, ბატონებო,
შეუკავებელი მასტურბატორული ბოდვაა!.."***

თორმეტიდან ათი მყიდის —
დღევანდელი იუდა!..
რატომ? — კაცუნები გახლავთ,
„დიდკაცობა" კი უნდათ...

## მთავრობები და პოეტი

ყველა მთავრობის ჯინაზე,
აღარ ვყოფილვარ სინაზე
დაბმული ძაღლი: რკინაზე,
ოქრო-ვერცხლზე, კარგ ბინაზე
არ გამიცვალია მამული
ტრამალზე* — ქინაქინაზე,
არ ამიწონავს წარსული,
აწმყო — "ბარიგის" პინაზე...
არ ვმდგარვარ — სულგანაბული
მათ ტყორინ-ბუზინ-რსინაზე...**
...............................................
...............................................
ყოვლადძლიერო, ყაბულს ვარ,
შენს სხივზე — პაწაწინაზე...

## ქრONIკULI უფULOბა — DIაგნOზITI: ჯIბIს კIბO

**(ციკლიდან „სიფხიზლის წელიწადი")**

**ვანოს და უჩას**

I

აბსოლუტურად ვიყავ ფხიზელი,
ვით ამხანაგი პიოტრ კისელი —
მგოსანი*... მთელი თვე არ მენახა
„გრემი", „ვარციხე" და „ენისელი",
თუმცა ამას არც დაიჯერებენ
ქუთაისელი და ნავკისელი
ლოთები, რადგან სხვაფერ მიცნობენ,
თან არც იაციან ეგ პ. კისელი,
რა ჩემი ხეა, და აღარ ბჭობენ
კისელის ნიჭზე: ღმერთო, მიხსენი! —
მის აკროსტიქთა კითხვას მერჩია
პანა კამფეტი „კიბოს კისერი"...

II

აბსოლუტურად დავრჩი ფხიზელი:
არც ვიცი — „სომს თუ წერამს" კისელი...
მე გუშინდელი ლოთიფოთი ვარ,
დღეს სვამენ — მხოლოდ მოხალისენი...

*გაზეთ „ისკრას" ეპიგრაფის („ნაპერწკლიდან ალი აინთება") ვარიაცია.

**ათხმად — ათი ხმით: სხდომის 12 მონაწილედან გარიცხვას ხმა მისცა სსრკ მწერალთა კავშირის ათმა წევრმა: მათ შორის ორმა აწ გარდაცვლილმა ქართველმა ვაიმწერალმა, ხოლო ორმა აფხაზმა პროზაიკოსმა (ალექსი გოგუა და ჯუმა ახუბა) თავი შეიკავა.

***ფრაზა ამერიკული ფილმიდან „აკვანი მაინც დაირწევა" (რეჟ. ტიმ რობინსი).

*ნარკოტიკი.

**„ქვეშეთ ბერვის" (სულხან-საბა) მოდულაციები (მუს.) მეგრულად.

## პოეტური არჩევანი, №3

სულაც არაა ეგ შენი ბრალი,
მამულო! — არ მაქვს შენი მენდალი:
აი, მესერზე ყივის მამალი —
პეტრესი — ყინჩად: გარბის დედალი...

სულაც არაა ეგ შენი ბრალი,
მამულო! — არ მაქვს შენი ორდენი:
აი, ჭიშკარზე გაკრული ნალი —
ცრურწმენის ბრჭყალი — ცოტაოდენი...

სულაც არაა ეგ შენი ბრალი,
მამულო! — არ მაქვს შენი ნაზუქი:
აი, დიდუბე — ღიპოსნის კვალი —
ცრულექსი — ორგანული სასუქი...

სულაც არაა ეგ შენი ბრალი,
მამულო, თუ ნელ ცეცხლზე ვინვოდი...
გნამდეს: შენს პოეტს არა მაქვს ვალი, —
ქართულ სიტყვასთან არ ვტინგიცობდი!..

## რუსეთუმე პოლიტიკოსებისა და უნამუსო ისტორიკოსთა მარადიული პრობლემები

**(რკალიდან „ძველი რვეული“)**

კარის ისტორიკოსი,
რად არ აქებ სიკოსო? —
მგონი, ისიც მღეროდა
მოსკოვში „ჯან ტიკოსო“?..
ახლა, ხომ შეიძლება,
უკვე სიკომ იყნოსოს,
უკეთ, ვინემ „მელამ“ და,
მკერდს „გრამოტა“ იკროსო?!

***რეალური პიროვნება: იბეჭდებოდა 90-იანი წლების რუსოფილურ პრესაში.**

ერთ ბოთლ არყად შეეკრას
ბორიას და ნიკოსო:
პრეზიდენტის გვირგვინიც
თავზე წამოიკოსოს...
კარის ისტორიკოსო,
მაშინ, რა გეშველება?
სკამი სხვას და შენ — პანჩური,
შურის ციებ-ცხელება...

## „რევიზიონისტული" საუკუნე და მეოცედან შემოფრენილი საბრალო სიტყვა — მგოსანი

**(ციკლიდან „ფერადი სიზმრები")**

**ჯარჯი ფხოველს**

I

ან: მგოსანი — ლაროსანი,
ზოგჯერ — დოლაროსანი,
მგოსანი — მარკოსანი,
მგოსანი — ფრანკოსანი,
მგოსანი — ფუნტოსანი,
მგოსანი — კეპოსანი,
ანუ კომპიუტეროსანი,
ხანაც — ბენდენოსანი...

II

უწინ იყო: ჩოხოსანი,
ჩექმოსანი მგოსანი,
მგოსანი — ტყავოსანი,
მგოსანი — შლაპოსანი,
მგოსანი — რუბლოსანი,
ქურქოსან-პალტოსანი,

მძიმე პორტფელოსანი,
თანაც — ორდენოსანი...

III

ჰელიკონის* ნისლში არ ჩანს,
ვინც აცდუნა მეფის ფარჩამ,
ოქრომ... მაღლა მიბობღავდა,
შეეშალა — ხრამში ჩარჩა...
ისიც, ვინც ორ კურდღელს კლავდა,
მაგრამ ხარხარზე გარჩა...

**რეალური რამერუმეს**
**რეზიუმე:**

დიდი ვაჟას შემდეგ არ ჩანს
ლომი — შუბლსხივოსანი:
ქრისტესავით უანგარო
კაი ყმა და წმინდა წყარო,
ანუ უფლის მგოსანი,
ვისაც მუხლი მოვუყარო,
მსურს, გზაზე ბზა დავუფინო
და შევძახო: ოსანა!..**

## პოეტის ეპიტაფია

დავიწვი... ვერ მოვასწარი,
ვინემ ნიშნულმა ნულისა...
მიმყვება მეფის ტკბილ-მწარე
“გალობა სინანულისა“...

მიწამებს თუ არ მიწამებს, —
თითლიბაზის და თულისა,
არც დამეყრება მიწა მე:
—ეშმავ, რამ გაგაგულისა?!

## ჩემი და სხვისი, №2

საკუთარ კანისგან მე შევიკერავდი ხამლებს და
ჟანგიან ვედროთი გიჟივით ვივლიდი...
რ.კ.

ხენდრო შენ და ვედრო — მე,
ძმაო, რად ხარ მედროვე?
სიზმრადაც არ ვყოფილვარ
ბილწთა თანამედროვე,
არც ვიქნები!.. დიდ ვაჟასთან,
აკაკისთან, ილიასთან, უფრო მეტი საერთო მაქვს,
ვინემ ათას ცრუ მოყვასთან:
— შენც ხომ ხედავ, ღმერთო?!

## სახელმწიფოებრივი კროსი

ვზივარ: სტრიქონს ვაგვირისტებ...
ეკრანი კვლავ კულტურისტებს
უჩვენებს და სევდიანი
ვუმზერ სპორტულ აფერისტებს...

ვწუხ: რატომღაც აგვიანებს,
ბედისწერის ანგელოსი...
აქ კი — სულს მინაგვიანებს
კვაზიმოღვაწეთა კროსი...

*ჰელიკონი (ბერძ.Helikon) — საბერძნეთში: მთა, რომელიც, ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, წარმოადგენდა აპოლონის და მუზების ადგილსამყოფელს: აპოლონის პატივსაცემად მასზე ააგეს ტაძარი.

**ოსანა! (ბერძ.hosanual—ძვ. ებრ. hosanna! გვიხსენ) — ქრისტიანულ და იუდეველთა ღვთისმსახურებაში: სახოტბო შეძახილი, წამოძახილი (ქართულად შეესატყვისება: დიდება!).

## პოსტსაბჭოური სივრცის თამაშობანი

(ციკლიდან: „ნობელის ნომინანტები და კანდიდატები“)

I

ახლაც არ ვთამაშობ ჭადრაკს და,
რა არის ცუდი ამაში?..
თქვენ ისევ აღმერთებთ კეპიან აფრაკს და,
უთოფო ყაჩაღებს: იმ ძღ...ს ამ ტრ..ს და,
ცხოვრება გასულა — ამაო დავაში!..
მე კვლავ ბრანჩს მიჩვენებს ბითური საწუთრო,
მოვკვდები: გექნებათ ხაშლამაც, ლავაშიც...
ზუგდიდის მუზეუმს — მშობლიურს, მით უფრო,
ერგება პოეტის კალოში, გამაშიც...
აქ — არაყს გადაჰკრავს პოეტი — პირქუფრი,
იფიქრებს: ჰა, რენეც გასულა დამაში!..
იქ — ნაღდად შეხვდება ძმას — ნუგზარ კუპრავას,
ეშმაც ვერ დაამწყვდევს პოეტს აკლდამაში...

II

აქ — ბატონი მკითხველი თამაშობს ნარდს,
იქ — ქალბატონი კატათაგვობანას...
ქართველი ისევ დარდს ურითმავს ვარდს,
რუსი კი „როზა-პოზა-იობანას...“
„ბელადი“ მანქანაში ორ მუშას ჩაისვამს,*
ახმადულინა ჯინსებში ნელთბილად ჩაიფსამს,
ვოზნესენსკი „ოზა“ —**თი კვლავ ისქელებს კოზლას,
ევტუშენკო თამაშობს — “ევტიხობანას...***

*ცნობილი მოგონებებიდან ლენინზე: თითქოსდა მანქანით მოემგზავრებოდა მიტინგზე და მუშებს შესთავაზა, „ორ მუშას ჩავისვამო“.

**ა. ვოზნესენსკის ადრინდელი პოემა.

***ევტიხი (ბერძ.) „ბედნიერი“ (ზ. ჭუმბურიძე, „რა გქვია შენ?“).

## მშვენიერი მშიერლანდიის დემ. სახელმწიფოს აუტანელი ცხელი ზაფხულისა და ცივი ზამთრის (უშეშოდ გაყინვის შიში) მოლოდინის ტექსტი: ჰა და ჰე! (სოროსლანდიელთა მიერ „განეწილ" დოლაროსან-მარკოსან-ფუნტოსან-ლაროსან-ლიპოსან-ნიფხვოსან „მოქალაქეთა" ფონზე)

და უთხრა მას იესომ: მელიებს სოროები აქვთ, და ცის ფრინველებს — ბუდეები; ძეს კაცისას კი არა აქვს, სად მიიდრიკოს თავი.
სახარება ლუკასი (თავი მეცხრე, 58).
რომელი არა ღირსად ჭამდეს და სუმიდეს, დასასჯელად თავისა თვისისა ჭამს და სუამს, რამეთუ არა გამოიკითხნა ხორცნი უფლისანი (კორ. თავი მეთერთმეტე, 29).

მშიერი ვწერდი ამ ზაფხულს...
მწყინდა: ვერ წერდნენ მაძღრები,
თუმცა იმკიდნენ ჭირნახულს
მათი ძაღლები, კატები...
ვსვამდი: მგელივით ვყმუოდი...
ხოხ! — ჩამოართვეს სახლები,
ფულიც და, წითლად ღუოდნენ
სოროსლანდიის "ახლები" —
ახურდავებდნენ ლორდ-მდიდრებს,*
თლათ უკალმახოდ სტოვებდნენ —
ჩემსავით: აღარ შეშინდეთ,
ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ,
მას, რაც ჩამარხეთ მიწაში
(ჰოლანდიური ტიტებიც
ჰა, ჭკნება!), გახვალთ: ჰე, მაშინ,
ხომ ჩაიკვნიტეთ თითები!..

*„ლორდი" — მდიდარი კაცის ზუგდიდური მეტსახელი (ჟარგ.)

## ᲡᲐᲛᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲐ, №2

**(მასმედიაში ფრიად პოპულარული სიტყვა „ძალიან-ძალიან-ძალი-ან“-ის გამო ყურებჩამოყრილი პოეტის ტექსტი)**

**გული ღონდება, ვინყო გოდება:**
**ვაი სანუთრო, ცრუო სოფელო!**
**დავით გურამიშვილი**

მაინც, როგორ უძლებ, სულო,
ამ საწუთროს? — უწარსულო,
უანმყოო — უსასრულოდ
უმყობადო და უგულო
მთავრობათა ტკბილ-ბრტყელ სიტყვებს
და მინისტრებს — ნასუქ ვირთხებს,
პარლამენტში — ვირულ-კვინტებს,*
და ეკრანზე — "სპეტაკ" ნიფხვებს...
— დარდი? — ზიმბაბვეში — ვხედავ:
უჭამია ვერმიშელი
მსუნაგ ზანგს და მაძღრად კვდება,
ზუგდიდიდან ვერას ვშველი...
როგორ წავალ?.. აქ — უფულო
პოეტი ვარ — უწარსულო,
უაწმყოო, უმყობადო, —
ჯანყის ლექსის საბადო,
რადგან შევრჩი ობლად, ო,
ცის და წიგნის კაბადონს...

## ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲠᲐᲛᲔᲠᲣᲛᲔᲡ ᲠᲔᲖᲘᲣᲛᲔ:

ძალიან, ძალიან, ძალიან
ბევრ ტყვიას ისროდა ვალია
ბახტაძე** — ცნობილი ჩუბინი
მხარიღლივ ხვრეტდა ბუზს, კალიას,
ხატებს და მწერლობას უტევდა...
მომკვდარა: რა ჩემი ბრალია?..
სამხედრო კომისრის „დიდ ღვაწლზე"
საწერად ნაღდად არ მცალია...

## ᲡᲘᲖᲛᲠᲘᲡ ᲒᲖᲐ ᲣᲚᲣᲛᲑᲝᲓᲐᲜ (ᲝᲚᲘᲛᲞᲝ) ᲰᲔᲚᲘᲙᲝᲜᲐᲛᲓᲔ: ᲖᲕᲐᲠᲐᲙᲘ

**(ციკლიდან: იქ და აქ)**
**ზაურს**

სიჭაბუკიდან იწვის,
ორმოცი წელი ბოლავს:
ერთ დროს პაწაწა ხიწვი,
გადაქცეულა სოლად...
აკრთობს წინაპრის: წინ! წინ! —
მიზანში ზუსტი სროლა...
აქ — გულს ისედაც წიწკნის,
იქ — რომ მოუწევს წოლა...
აწმყო? — საწყალი წიგნის
წერას, თუნდ „კოკა-კოლას"
დალევა რომ სჯობს, ციგნის
ბალღმაც იცის და მოლამ...
მწყემსო კეთილო, ციკნის —
ბატკნის — პოეტის კოლაფსს,
რა ეშველება? — ციცქნის
ცის ნეკერს — სიტყვას: სრბოლას —
მარად სჯობდა, თუნდ ციცქის
დალევა... აგრიკოლა*
წყალს სომდა, მაინც მომკვდარა...
აქ — რადგან იწვის, ბოლავს,
წარსული: „იყო და არა..."
ვერ გადიქცევა ნოლად...
ვიცი: ნინველი გერჩივნა
მხცოვან პოეტის ყოლას...

## ᲗᲝᲕᲚᲘᲡ ᲑᲐᲑᲣᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲚᲔ

მე ხომ ვიცი, ჩვენი ლილე
დაიწუნებს მეწისქვილეს...
ბაგრატიონს გაჰყვება და
მამულს საამაყო შვილებს,

რომ აღუზრდის: ერთი, ორი,
სამი... მეტი? — აღარ ვიცი!..
ვხედავ მერმისს: უფლისწული
ლილეს სიყვარულით იწვის...

## ზემოთ და ქვემოთ

**(ციკლიდან „ჩამოწერილი თაობა")**

ვიღაც სადღაც პასუხს აგებს,
„მოღვაწე" თუ „მოამაგე",
რომ პოეტი ვერ ყიდულობს,
ქართულ სურსათ-სანოვაგეს,
ვერც რუსულს და უკრაინულს,
ვერც პოლონურს და ვერც ფრანგულს,
ვერც ლატვიურს და ბულგარულს...
აწ ჰონორარს, თუნდაც წვრილ ფულს,
აღარ უხდის — სახელმწიფო,
ცხოვრება რომ აუბურდა:
როცა ბილწი ხელებს ითბობს,
პოეტს ენატრება ხურდა...

*კვინტი(იმერულად) — წიხლი, ტლინკი.

** ვალია ბახტაძე (1896-1930) — მეთერთმეტე წითელი არმიის ცხენოსანი დივიზიის კომისარი, რომელიც დამპყრობელს შემოუძღვა საქართველოში. „ბოლშევიკებმაც ამაგი არ დაუკარგეს „იარლი კომუნისტს" (ს. უგულავას სიტყვებია). ერთხანს ქუთაისი ჩააბარეს, მერე გაზეთ „კომუნისტსა" და ჟურნალ „მნათობსაც" რედაქტორობდა ეროვნულ ღირებულებათა „შეფასებაში" ეგზომ გათვითცნობიერებული" (ე. თავბერიძე, „სანიტარული დღე").

*აგრიკოლა გეორგ (ნამდვ. გვარი — ბაუერი) — გერმანელი ექიმი, მინერალოგი და მეტალურგი (1494-1555).

## გმირები და პოეტები

კოცონზე დამწვარ ლექსთა ფრთებია
თუ შეშლილობის ფრინველებია?..
აქ — ვერგაძლების აჩრდილებია,
რომ ფარფატებენ ამ ოხერ თავთან!..
ფრთებს კაეშანი გაედევნება
(კოცონს და ფურცლებს — ჩუმი ვედრება,
რომ არ მოიქცნენ ჩემთან ფენიქსად!),
ჯვარცმულ ფრინველებს ვერ შეედრება,
ეს სტრიქონები, რომ თუნდაც იქსად,
იგრეკად, ზეტად ვიქცე: ყვედრება,
რა საჭიროა? — ამბიცია არ მაქვს თეზევსის
(პოეტი ვიყავ, ვარ და ვწერ ლექსებს...)
შევიდე მინოტავრთან...

## უსახელო გულისტკივილი

**ვანო ამირხანაშვილს**

ბოლშევიკებს ქვე უყვარდათ
მგლური მეკურდღლეობა!..
კომკავშირლებს — ნეხვის გარდა,
ჩიჩიაც და ღრეობაც...

ზემოთ — ნამცეცებია და,
არც კი გვეკითხებიან, —
რა გვსურს: მარჯვნივ ცხვრებია და,
მარცხნივ კიდევ — თხებია...

ქვემოთ: ერმა გადაძოვა
ველ-მინდვრები წაწწალით —
ბნელში: ღმერთმაც მიატოვა
საქართველო — საწყალი...

* * *

ბოლო წრეზე გასული
ჯახირობ და წვალობ,
წერ და მოგდევს წარსული:
„მალე წამოვალ“-ო
ხომ დაპირდი წინაპრებს, —
აკაკის და ილიას,
ვაჟას... ლექსის სიმძაფრე —
უკვე მოგონილია...
წინ —ფინიში: ამინდი,
უკეთესი გენება? —
პოეტს — ძონის ქლამინდით
ქარში მიგასვენებენ...

## ეროვნული მოძრაობის ისტორია

**(წელთა გადასახედიდან)**

გული მიგრძნობდა: ვითომ გმირები,
რომ მუშაობდნენ „ჩაშვების“ დარგში:
მეგაფონებით თუ საყვირებით
მოიმკეს სკამიც, ფულიც და ტაშიც...
.........................................
......................................
წმინდაა მსხვერპლი! — ვზივარ და ვგლოვობ,
პოეტი ხალხში მდგარიც მარტოა,
თუ ბედგამწყრალი არის სამშობლო —
ჟამით უფალმაც რომ მიატოვა...

## საუბარი ქარონთან

> ვაი, შენ ჩვენო საუკუნევ,
> ცეტო და კახპავ!..
> კატულუსი

მამისეული ეზოს ასფალტიც დაბერდა და დახეთქილია,
როგორც სამყაროს ჭრელი რუკა: აქა-იქ ამოდის ბალახი...
წავიდნენ! — აჰა, მეც მოვდივარ (მოლოდინის მზე მიილია):
— ქარონ, არ მიდევს პირში მონეტა
(თუმცა ჩარჩივით კი ხარ ჩათლახი)
გადამეყვანე, გაღმა ნისიად! — აბა რა ვქნა, როცა არა მაქვს,
ერთი კოლხურაც?!* — ლექსი? — ლექსში მე რას მიხდიან,
როცა სტრიქონთა სტიქიონში ამბოხება, შრეში — ქარაგმა
იყო ჩაწნული და ცვედანი „მგოსნებივით" არ ჩამიხდია —
„ამა ქვეყნისა ძლიერთა" თუ კერპთა წინაშე...
ბოლომდე დავრჩი შლეგ პოეტად — ჯიუტი და არაფრის მქონე,
ჰა, მოველ შენთან: გავექეცი ცრუ საწუთროს ტაშებს და
მარშებს...
გინდა, შენ და სტიქსს წაგიკითხავთ — უჰონორაროდ,
წყეულ სტრიქონებს!

* * *

**შვილს ნინოს**

სიცარიელე წარმოქმნის სივრცეს,
მძიმე დუმილი შობს პოეზიას...
გაკრთება სხივი: უფლის ხმას ისმენ —
წვალობ, წერ... ტყვიას რომ არ გესვრიან,
მკითხველისათვის მსუყე ხეირი
გახლავთ... დამშეულს ისევ და ისევ
აგტკივდა თავი? — აი, სეირი! —
ქირქილებს ეშმა, — გამოდი, ბის-ზე,
გაუქანავე გავა, თუმც „სირი"
კი დაგერქმევა, გაძლები მყისვე
და გაჭენდება ჭაკი — შაირი,
დატოვებს ჰავას, მტვერსა და ნისლებს...

*ძველი კოლხური ფული.

## ტკბილ-მწარე სამშობლოს

მე შენი ტრფობით ვერ გავძელ,
შენ — ჩემი სიძულვილითა...
ვაჟა-ფშაველა

სულს აქეთ არა მაბადია რა,
პოეტს და ისიც კბილით მიჭირავს...
გულზე? — თვით კოლტმა გადამიარა,
ქოსმენმა შოლტიც გადამიჭირა...
და მაინც, სულის ამორთმევამდე
თავისუფალი ვრჩები ქარივით:
სასაყვედურო სიტყვას ვერ გკადრებ,
თუნდ დღეს რომ დამკლა ბებერ ხარივით!..

## დრო და მარადისობა

ელზა მეტრეველს

დრო სატანის პირმშოა,
მარადისობა — უფლისა...
მილორად პავიჩი

რა საქმე მაქვს, ამ დროსთან,
ანდროსთან თუ სანდროსთან,
თუნდ თავად ნიკანდროსთან?
რადგან მელის გამოცდა,
მე იმ ჟამზე ვფიქრობ,
თვალისჩინს რომ მიქრობს...

ცაში კაპოეტივით,
ღვთაებრივ აედივით,
თუნდაც მისი კეტივით —
ბებერი და ბრმა
ვივლი და ახავერდდება
ჩემში უფლის ხმა...

## პოეტური მრწამსი

**სასოწარკვეთას**
**მე ჩიტების ქარავანს ვანდობ...**
**გიუნთერ აიხი**

არ შეიძლება, პოეტი გერქვას
და ტინგიცების ქადას ლოღნიდე!..
აბობოქრე ეგ გულის ფეთქვა,
დათესე ქარი, თუნდაც იმკიდე
სასტიკ ქარიშხალს — აწ დარჩენილი
უსათაურო დღეების ქარში...
გიკვირდეს, რომ ხარ გადარჩენილი
და რწყევას გგვრიდეს — ამათი ტაში,
დაფნის გვირგვინი თუ პრემიები,
სასახლეები და ბანკეტები...
გერჩიოს სევდა ია-იების
და პოეტური სულისკვეთება!..

## მოკლეზე გადასვლა: ჩანაწერების დანაკუწება

**(ციკლიდან „სიფხიზლის წელიწადი“)**

ეგ საზიზღარი ჩანაწერები,
რომ გახსენებენ შეცდომებს შენსას
და სხვათა ცოდვებს: ცრუ მოფერებას,
კვაზიპარტიულ დარდ-ამოკვნესას, —
ამ გაწეწილი სამშობლოს გამო,
სადღეგრძელოში გაყიდულ მამულს:
ტვინში ასპიტად ჩამძვრალო წამო,
რა ეშველება ამდენ სინანულს?!
......................................
......................................
ვსვამდე? — რა სჯობდა! — შევუბერავდი,
მაგრამ სიფხიზლის წელიწადია —
პირქუში: ყველა შეცდომის დარდი
ჩემთვის ტკივილი და სახადია...

## ᲢᲝᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲠᲐᲒᲐᲮᲝᲚᲝᲒᲘᲐ

**(ციკლიდან „ქართული ანდაზები“)**

1. **თავის ქება კიტრად ღირსო.**
2. **თავს ინონებს მწვანე კიტრიო და ა.შ.**

ძალიანაც რომ გინდოდეთ,
ველარ ვიქცევი — სხვა ვინმედ:
სიზმრებშიც ვერ ვიდიდგორეთ,
ცხადს ვუმზერ, ვკვნესი: ვაიმე!..
რაღას მოვესწარ — “ახლები“
ნარდშიც აღწევენ ყაიმებს...
ფასადი — ცრუგანახლების —
ბრანწოლოგიურ ტაიმებს
გვპირდება პოლიტიკაში:
„დაიკიდებენ — რაიმეს“...
ჰავა ეშლებათ ნიავში —
იმ ვინმესა და ამ ვინმეს...

## ᲮᲛᲐ ᲦᲐᲦᲐᲓᲔᲑᲚᲘᲡᲐ

რა ეჩქარებათ, წყეულ სტრიქონებს,
რომ მაძალებენ “დაფიქსირებას?.“
ვხედავ: დამცხრალა მტკვრის სტიქიონი,
ჭირი მოგჭამა ორთაყვირებმა,
ტივმა... ჭაბუკებს აწუხებთ ქონი
უფრო, ვინემ ის, რაც აქ — ვირებმა
ვზიდეთ — საპალნე! — ვგიჟდები, მგონი,
არავინ მისმენს, რა მეყვარება?!.

## ციბია-ტიბია პოეტის მიერ დამწვარ-განადგურებული ტექსტების აღდგენის მცდელობა და მოღუშული დილა, №2

> ერთი-ორჯერ ქინაქინას გადაგაშუშხვინებ
> და სულ კუდით ქვას ვასროლინებ შენს ციებას!
>
> დუტუ მეგრელი

ისევ წვიმას აპირებს
(სევდა გამინაპირებს),
გადმოლახავს ნაპირებს
წვიმის მღვრიე წყალი...

ამინდს მე რა ვუშველო? —
ზღუდე შემოვუშენო
თუ თალი ავუშენო? —
ჰა, კვლავ ვზივარ უშენოდ:
სულაც არ ვარ მთვრალი!..
მაგრამ მოვა დრო, როცა
მეც ვიშოვი ერთ ბოცას
და ძვირფასო, დაგლოცავ
ლალისფერი ღვინით...

დღეს კი, წვიმას აპირებს
(დარდი გამინაპირებს),
გადმოლახავს ნაპირებს
წვიმის მღვრიე წყალი...

ცათა მეფევ, მიხსენი,
შენი მადლით ვივსები:
ვწერ და თუმცა ვიცლები,
მწამს: კვლავაც ავივსები
აისებ-დაისებით,
ჭირითა და ლხინით:
უპირველეს — შენი გვრინით,
ხან კი — ქინაქინით!..

* * *

მიმთავრდება ქაღალდი
(წერა — თარგმნა — წერა),
ვფიქრობ: ღირს თუ არცა ღირს? —
აჰა, ბედისწერაც!..
რაღა უნდა დაწერო,
უკეთესი იმაზე,
რაც არის? — მწვავს კენწერო —
კიპარისის სინაზე,
ანდა საღმრთო წერილი...
„ბოლავს გული — ვულკანი“...*
და ქარში თმაგაწეწილთა
ოხვრა-ამოსუნთქვანი...

## „იმედის დილა“ — 2005 წლის 27 აპრილი

**...იმედი მაქვს, რომ ღმერთებმა იგი
(პოეტის ქალიშვილი-რ.კ.) დააჯილდოვეს
ყველაფრით, გარდა პოეტური ნიჭისა — ერთი
ამგვარი სულელი ოჯახში საკმარისია.
ჯორჯ ბაირონი,**

**ბარათი ავგუსტა ლისადმი, 1823 წლის
12 ოქტომბერი**

ტელექალბატონს ახარებს:
„გახდება უფრო მდგრადი...
რაღაცა...“ ვუსმენ, ვხარხარებ,
სიფხიზლის წელიწადი —
მიჩოჩიალობს ნელ-ნელა,
ვზივარ და ვჩხაპნი „ლექსებს“ —
ფხიზელი, როგორც ენძელა:
არმსმელი, თუმცა შემძლე —
ძველი მებრუ და მბერავი,
აწ ოთახის კაპოეტი,
მოკლედ: ლექს-ვირის მყვერავი
ანუ სულელი პოეტი...

## ბედი — მტრედი, აივანზე — ყბედი და ა.შ.

### (ციკლიდან „ავადმყოფობა — მელოდია“)

**ირინე ონიანს**

ფანჯარაში — მტრედია,
აივანზე — ყბედია...
მტრედს ვხედავ და ყბედს ვერ ვუსმენ,
პოეტური ბედია!..
ადრე ვწერდი უკეთესად,
მეტიც გამიბედია:
იქნებ მიტომ დამრჩა უკან
ილორი და ბედია?!
ეგ საწუთრო მავანისათვის, მგონი ქონის გამოთხრაა,
ჩემთვის — კვეს-აბედია!..

## ვარიაციები თემაზე: „კაპიტალის“ ავტორის „ცხოვრება და შე..მოქმედება“, ოპუსი 2

**ჭეშმარიტება ესაა ის, რასაც თქვენ ფიქრობთ იმ დროს, როცა არც შარვალი გაგაჩნიათ და არც ფეხსაცმლები.**

**კარლ მარქსი, წერილი კლაუსისადმი, 7 დეკემბერი, 1852წ.**

უშარვლო და ფეხშიშველი
მარქსი წერდა "კაპიტალს"...
შარვლიანი რას იზამდა,
მტრისას! — „ბელად"-კაპიტანს
გაუმართლა — სიბერეში
და ენგელსი აწვდიდა
ბორდოს ღვინოს — ძოწის ფერში,

***ედგარ პოს სტრიქონებია (ავტ. შენიშვნა).**

სომდა, თუმცა აწვიმდა —
სქელ საჯდომზე — მუწუკები,
ნეიმანთან — მარგულიც...
ჰოდა, მარქსმაც დაგვიკიდა
თაობა — დაკარგული...

უშარვლოც და ფეხშიშველიც
ვერ ვკითხულობ “კაპიტალს“...
მე — ქრისტიანს, რას მიშველის,
ვინც შეეკრა შაითანს?!
მარქსის კითხვა მას უხდება,
ვინც “სუნთქულობს“ — გავიდან...

არ მსურს გასუკ-გასუქება,
თავს ყავითაც გავიტან!..

## კლასიკა: პოეტის დანიშნულება

ასე ამბობდა ა.ს. პუშკინი:
„პოეტი — ექო არის ხალხისა“,
თუმცა თიხისგან, ნერვები — რკინის
(უფრო ფოლადის!), ასი სახისა
ძალუძს ხილვა და დამახსოვრება,
აღწერა ლხინის, ჟამის ჟამისა:
ხალხს უჭირს? — წამლავს პოეტს დროება,
ულხინს და ხარობს — შესაბამისად!..

## ლაზარეს ენა

**რამაზ პატარიძეს**

> **მე რომ ზანგი პოეტი ვიყო...**
> **ალექსანდრს ჩაკსი**

ზიმბაბვეში პოეტები
სამ ენაზე წერენ:
ინგლისურად, ნდებელე და
შონა — წიგნებს... მერე
აილებენ უხვ ჰონორარს,
სვამენ ვისკის, ყვ...ბს
სამი თითით იფხანენ და
გაზაფხული ფერებს —
ჩუქნის... ჩემი მზეც უნათებს
აწმყოს: მთებს და სერებს, —
ხვალინდელ დღის შიში არ აქვთ,
თითქმის ბედნიერებს...

ერთგულება, რომ რთულია
ვიცი, ვწერ და მჯერა:
უფლის ენა — ქართულია,
ჩემი ბედისწერაც!..

# ᲔᲠᲗᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲕᲔᲠᲓᲐᲢᲔᲣᲚᲘ ᲔᲞᲘᲢᲐᲤᲘᲐ, ᲬᲕᲘᲛᲔᲑᲡ ᲒᲐᲰᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲐᲚᲨᲘ ᲩᲐᲓᲘᲡ

**შვილს გიორგის**

**აბა, მიჩვენე ის ბედნიერი, ვინც შესძლო ამ ჩვენს რკინის საუკუნეში უბილწავად შეენახა თავისი თვალი და ყური.**

**ჰენრიკ იბსენი**

იყო: ცხოვრობდა საშინელ დღეში...
გულის სიწმინდე ეჭირა ხელში —
სულის სიმტკიცით: უცვლიდნენ ბზეში
სიტყვის ხორბალს და... დაწყევლილთ, შეშლილთ
ედარდებოდა... სიჭაბუკეში
გარბოდა — ხსოვნის უსიერ ტყეში...
წერდა: წვნიანში ცვიოდა ხრეში
მრისხანებისა — ალღო თუ გეში,
რომ ღალატობდა: ოფლსა და ცრემლში
(ხმაც არ ესმოდა ციდან ნუგეშის...),
მოექცა მისთვის მქისე დროება...

იყო: დაძრწოდა კლდესა და ღრეში,
მდინარეებზე, ღვინისფერ ზღვებშიც*
კუშტი სიმართლე ეჭირა ხელში —
სვამდა — კათხაში ღრუბელი მრეში
ფარფატებდა და წვიმების თქეშით
შემკრთალი — მოყვასს ეძებდა ხეში,
ქვაში, საგანში, თვით არაფერშიც...
აცახცახებდა სიტყვების ტევრში —
გზააბნეულს — სქელ წიგნებს ბრეში
და შედევრივით მკაცრსა და ჯიუტს ეზმანებოდა:
ცის სათნოება!..

ჰა, აღესრულა სილატაკეში,
როგორც ბოგანო, მწირი, გარეშე —
გადამთიელი და ცეცხლფარეში
პოეზიისა: სევდა — თვალებში:

ან ვით მეკობრე ვერ ითარეშებს
სტრიქონტალღებზე: ბობოქარ წარსულს
ვერ დაიბრუნებს — ლაჟვარდში ასულს,
რადგან დაბერდა და პოეტის სულს —
სიკვდილის ღუზა (წინაპართ ფსკერზე!)
გაღმა გასული გენიოსების ძვლებს გამოედო თუ გამოება:
თეთრი ვეშაპის შადრევნის სვეტად აალწევს ცაში რწმენა და ნებ

მემკვიდრეობა? — იყო ვალებში...
ახლა? — მკვდარია — უსულო ლეში
წევს და, თუმცა ორ საუკუნეში
იწვოდა — წერდა: სულაც არ ხვნეშის
(მკითხველო ჩემო თუ განმკითხველო...)
ჯვარცმულის ხორცი: ივნისის თვეში —
დაბადების დღის მცირე სუფრაზე,
სტუმრად მოელის პატივცემულ ჭია-მატლებს და
ბელზებელის ძმას ანუ ათგზის პატივცემულ ამაოებას!..

## კოლხური საღამოები

**არა სიცოცხლე.**
**არა სიკვდილი.**
**არამედ რაღაცა სხვა.**

**ტერენტი გრანელი**

მოსანყენია სიცოცხლე,
სიკვდილი — არსახალისო:
რა მეშველება, ვინმე ხემ
სუფრასთან მომისაკლისოს,
ბრძანოს — მაძღრული ბოყინით:
— ხომ არ გაჭიმა ფეხები
პოეტმა?.. ხარხარ-ყროყინში,
დები — რესტორნის ვერხვები
შეწყვეტენ შრიალს: პასექი —
აღდგომის ნიშნად წამოვა
ერთ-ერთი ჩემთან: ადექი,
შეხედე, რა საღამოა!..

## პოეტური აღდგომა: წყალდიდობა და სინანული

**მამის ხსოვნას**

რა ხდება ჩემში? — პოეტური წყალდიდობაა,
თუ განწირულის გრაფომანია
მანვება მკერდზე? — ვწრიალებ, ვწერ: კვნესა-ბოდვაა —
შეშლილის... ძნელი ასატანია,
ნაკითხვა მათი, ვისაც უყვარს „ღვინო, დუდუკი,
ქალები..." ანუ ჩიტი და სირი...
კიდევ კარგი, რომ აღესრულა კნიაზ დუნდუკი,*
თორემ ზურგს უკან დამრჩებოდა მხოლოდ ციმბირი...**
გადავრჩი, მამა, თუ ამასაც სიცოცხლე ჰქვია?!
ვერ დავაგროვე ჭკუა-გონი, ოქრო და ვერცხლი...
ვწერ: კომუნისტებს დაენანათ გიჟისთვის ტყვია,
ჰა, აღდგომაა და ღვთის გლახას ვერ მომიტანია
წითელი კვერცხიც...

## ჯართის ჩაბარება ზუგდიდში

**(ციკლიდან: თვითირონიის გაკვეთილები)**

**უჩა შერაზადიშვილს — აფხაზურ-ქართული "კონფლიქტის"**
**ჟამს დაკარგული ლექსის ნაცვლად:**

**— სო რე რენე, სიორენი?***
**რ.კ.**

— ჯართს ვიბარებ, ჯართს! — ქუჩა-ქუჩა კივის ნატო,
რეჯიბი კი — მოტოროლერს დააქროლებს...
კილოგრამი 20 თეთრი... ჩვენი ფქვილიც იქცა ქატოდ:
— ოდაბადე, სი მუ ბლოლე?!**

*ღვინისფერი ზღვა — ჰომეროსის ეპითეტი.
*დუნდუკოვ-კორსაკოვი — რუსეთის ცენზურის კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც პუშკინი "კნიაზ დუნდუკს" (შტერის სინონიმია) ეძახდა.
**მამისეული სიტყვების ვარიაცია (ავტორი).

წამომცდება ბებერ პოეტს: ჩავაბარე 20 კილო
და მივიღე 4 ლარი — პურის ფული გაჩნდა...
აწმყო შენი — შეშლილი ხომ მებრალება მამულო,
მაგრამ, რა ვქნა? — ჩემს გვირაბში უფლის სხივიც არ ჩანს!..

13 თებერვალი 2008

* * *

უჟამო ჟამის ჯავრით ალესილს
დაგაქვს ტკივილი — უდიადესი
და სიზმარ-ცხადში გადაშლილი გაქვს
აპოკალიფსი — იოანესი
ანუ პოეტის წვა: მწარე არყით
თავს რომ იტყუებ, მკითხველიც ხვდება,
როცა სიკვდილით მოავარაყებ
წამს: დაიწყება გამოცხადება!..

*სად არის რენე, სიორენი? (მეგრ.).
**ადგილის დედავ, შენ რა მიყავი?! (მეგრ.).

# ს ა რ ჩ ე ვ ი

*წიგნიდან: [illegible], III*


სკამების დიქტატურა....6
ხე ფანჯარასთან....7
სოფ. გრიგოლიში: თუხის გასინჯვა....7
ლოკალიზებული ლექსი....8
1837 წელი: იმპერატორის მოგზაურობა კავკასიაში....8
იმედგაცრუების შემდეგ....9
დაგვიანებული ბარათი....9
შტრიხები პოეტისა და ფინანსთა
მინისტრის პორტრეტისათვის....10
ფერიცვალება, მაგრამ არა დამასკოს გზაზე....9
უსათაურო....11
„კვირის პალიტრა"-ზე მინაწერი....12
მარათონული ჩრდილ-ნათელი....12
რუსული რიგრიგობა....13
ვარიაცები თემაზე:....13
***„დიონისე — ჯვარცმული" ....14
ნახანძრალი ხე ფანჯარასთან ....14
ბატისფრთიანი მგოსნები და ლიტ. კრიზისი, №2....15
ბავშვობა: ჭიაკოკონაზე გადახტომა....15
ტელესერიალი: პარლამენტის სხდომა....16
ნოსტალგია: სოხუმური ზაფხული....16
შემოქმედებითი კრიზისი: შუადღის მიღმა....17
ზემოთ, ქვემოთ და ირგვლივ....17
ზუგდიდური ცივილიზაციის „ყვავილები"....18
ანდერძი....19
ციკუტამდე და ციკუტის შემდეგ....19
მშობლიურ წყვდიადში: ადამიანები და ძაღლები, ანუ მეზობლის ოთხფეხისადმი მიძღვნილი სტრიქონები....20
***როდესაც იცი: ეს დღეც მოკვდება....20
სპელეოლოგიურიძიებანი....21
ტარანის ტირანია....21
ციბია-ტიბია პოეტის მიერ დამწვარ-განადგურებული ტექსტების აღდგენის მცდელობა და დათარსული დილა....22


*[illegible] (1990-95)*


ამათი ფოსტის ღდინიც ვატირე....24
შეთქმულება — გადატრიალება, რომელიც მოხდა ქარლანდიის დამოუკიდებელ სახელმწიფოში 1921 წელს და ა.შ....25
ასოს ამრჩევი არტისტი....26

სევდიანი საღამო და ტრივიალური რითმები..............................26
არ ახალია, ძველია......................................................................27

[illegible]

ჟამიანობა.....................................................................................29
გუშინწინდელ ლაურეატებს, გუშინდელ „ოპოზიციას"
და ძმათა მათთა.............................................................................29
რადგან აიმღვრა წყალი და გამოსავალი არ ჩანს..........................30
დამარცხებული კოლხის დილა......................................................30
ღამეული სვლა...............................................................................31
მტერმა აიღო ქალაქი ჩემი და თებერვალმა ჩამოიარა....................31
ვედრება.........................................................................................32
ზუგდიდი: 1992 წლის 28 იანვარი ...................................................32
„ოპოზიცია"— ოჰ, პოზიცია, ხოხ,
— ბტრ-ი მოთხვრილა მტვრით........................................................33
ნაგავთა ომი, ანუ თანამედროვე „დისკუსია"......................................33
25 დღით ჩაკეტილი პოეტის მონოლოგი..........................................34

[illegible]

ღორის წელიწადი „ყვავილები"........................................................36
***ჰაი, სიმრუდის დედასა!................................................................36
90-იანი წლების ქართველი სატელევიზიო პოეტებისა და
მწიგნობართა სახეცვლილება — „გარდაქმნა"....................................37
აქა ამბავი ჩინ-მედლების, საპ. სიგელისა და დაფნის გვირგვინის
გათათხვისა....................................................................................38
მინაწერი ბილბორდზე: „გახსოვდეს აფხაზეთი!" და ფოტოგრაფია....39
სირთა და ჩიტთა სირისტიანი დემოკრატია, ანუ სოციალისტურ-
კაპიტალისტური ორიენტაცია და პანთეონი....................................39
ზმანება: რომანტიკოსთა შარავანდედი............................................40
მდუმარე ვულკანი: ჰეფესტო...........................................................40
სამარადისო გამოთხოვება..............................................................41

[illegible]

მელანქოლიის გამოქვაბული..........................................................43
ქუთაისსა და სოხუმში გამართული სამთავრობო ბანკეტებიდან
გაძევებული არასერიოზული პოეტის მიერ მოგვიანებით
გაშიფრული ტექსტის რეზიუმე.......................................................43
დიდი იმედგაცრუების ტრიადა: კომედია, ტრაგედია, ფარსი...........44
არჩევან-არადანი: ან — ან...............................................................46
ინგირის სასაფლაო: მამის აჩრდილი................................................46
ნისქვილში ნისიად სიარულის შედეგი: გადატყაული ცა..................47
ამერულ-გამურულ-ღამურული გზატკეცილი

თინეიჯერობიდან სიბერემდე ......................................................47
დამჟავებულ-დამჟანგავი „საიუბილეო“
მელანქოლიის კვირეული და პირში მწკლარტე ივნისის გემო.........48
დიდი დაღლილობა: LET POETES MAUDITS.......................................49
აჰა — დან ჰოდა — მდე გაშლილი ანტიაგიტბრიგადული ტექსტი:
ჭიაფანდურა თაობა........................................................................49
პოეტური მრავალფეროვნება-მრავალსახეობა და ა.შ. .....................50
სიკვდილ-სიცოცხლის გზაჯვარედინი...............................................50
მინაწერი მეგობრის წიგნზე: LEONS BRIEDIS, BEZDIBENA ENGELIS......50
უსახელო ჩიხი: გზა გულგატეხილობიდან გაორებამდე....................51
სოფლის ასაშენებლად დაუპატიჟებელი პოეტის ლექსი....................52
წვიმიანი სეზონის გახსენება..........................................................52
ძერწვის გაკვეთილები...................................................................53
რენესებური: გაუყიდველობის თეორია............................................53
სიჭაბუკის რვეულიდან: ყირიმის გახსენება.......................................54
ბედისწერის ასი წლის აჩრდილთან შეხვედრის ანაზდეული
მონატრება....................................................................................54
ტაშტში მობანავე პოეტისა და მეზღვაურის ნამეტნავად უტაშო
აღსასრული...................................................................................55
ნოსტალგია: სოხუმის ბინა-ბიბლიოთეკის გარდაცვალების მეათე
წლისთავისადმი მიძღვნილი რეკვიემი............................................56
ვითომ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“, ანუ თავკომბალა
ნუვორიშები ბროლის საფერფლის ჩარტყმის მოლოდინში.............56
2003 წლის 2 მაისი: გელათის სივრცეში მოფარფატე სევდა —
„ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ .....................................................57
პირქუში რეალობა: გამბით სმა......................................................57
კუნძულ ბარატარაიას გუბერნატორის ბრძანება, № ........................58
გამოთთოხნილი აწმყო..................................................................59
ბახუსის ორდენოსნის ალსარება.....................................................60
ქრონოსის ლანდი: კუიბიშევის ქუჩა და ხსოვნა გულისა..................61
მითოლოგიური „გოდების მდინარის“ პირას.....................................61
„ხეები ზეზეულად კვდებიან“ .........................................................61
***აჰა, აყვავდა ისევ.......................................................................62
სევდიანი პარალელი, №2 .............................................................62
ბიბლიოთეკა და ბუხარი კოლხური დროშით..................................63
სამშობლო: ზოოლოგიური მუზეუმი...............................................64
მარადიული მეამბოხე....................................................................64
კონტრასტი.........:.........................................................................65
ლექსის მოლოდინი.......................................................................65
წითელი პარასკევი........................................................................66
დანტეს რა უჭირს? — ქუდში აქვს თავი..:.......................................66
ზაფხული: შაბათი, გასეირნება სიყრმის ქალაქში............................67
ბიჭვნითის გახსენება: პოეტის ტრაგედია........................................67
***ნუ მემუქრები, ცხოვრებავ .........................................................67
ბუნების ჭირვეულობანი: 2005 წლის აპრილის წყალდიდობა და

მეწყერი......................................................................................68
„...ჩამოწერილი“ თაობის ლექსი....................................................68
***არც სიძულვილით, არც სიყვარულით........................................69
მრწამსის ერთგულება.....................................................................69
***ახლახან მივხვდი: ჩემი წარსული...............................................70
მოლოდინის გზაჯვარედინთან.......................................................70
ანდერძის გაგრძელება.....................................................................71
შემოდგომური: სამადლობელი ლოცვა..........................................71
ფერადი კენჭები: საიუბილეო მოზაიკა დროსა და სივრცეში...........72
ვარიაციები თემაზე: არ ვიპარავთ!..................................................73
უშეღავათო შეჯამების მცდელობა, ანუ ცხელი ტაფის მომლოდინე თევზი-ფლეიტას მონოლოგი.............................................................74
ლიტერატურული აპათია: გარემოებათა გამოისობით ვეგეტარიანელის ავტობიოგრაფია-ავტორეცენზია (?) და ა.შ.........74
პოეტისა და პოეზიის მკითხველის მარადიული პრობლემები: ქვეცნობიერის სამყარო, განგაში და მოუსვენრობა ზამთრის ბუნაგიდან გამოსვლის ჟამს.............................................................75
უანგარო მოლოდინი აღსასრულისა................................................75
მარადიული აჩრდილები..................................................................76
მოხალისე მთარგმნელები, ელამი გრაფომანები და სხვ...................76
უსახელო მარათონელი....................................................................77
ჩინეთში მეგრელთა „საგანგებო მივლინების“ არაჩვეულებრივი ისტორია.........................................................................................77
პოეტური არჩევანი, №2....................................................................79

*[illegible]: [illegible] და [illegible]*

სამშობლო: ზოოლოგიური მუზეუმი, №2..........................................81
პროფესიონალიზმი: ბებერი პოეტი და ბეღურები............................81
1993 წლის სოხუმური ზაფხული: ჩემეული აღშფოთება-ამბოხების ნაღვლიანი გახსენება და ცინიკოს — „მათემატიკოსის“ სიფათი 200 თუ 300 გრამი კონიაკის ფონზე.................................................82
ჰამბურგული ანგარიში, № 2.............................................................83
2003წლისარჩევნები:უმწიფარიამომრჩევლებიდაგადამწიფებულისა-ქართველო......................................................................................84
„ჩაშვების ინსტიტუტის“ იდეოლოგიური საფუძვლები.....................85
ცხოვრება, როგორც დიდი ყომარი...................................................85
ჟამი სინანულისა..............................................................................86
რეტროსპექტული ლექსი-ტექსტი, გერმანული კექსი და ა.შ.............86
დიდი ბაზრობა: პრი(ხ) ვატიზაცია და ურიკების დიქტატურა.........87
ამბოხებული ზოდიაქო: კობო-მწირის აღსარება..............................88
VA BANQUE.......................................................................................88
ბოტანიკის გაკვეთილი: კაქტუსები.................................................89
გვიანი სტუმრობა: ლოთობა............................................................90
ECCE HOMO!.....................................................................................90

სკეპტიკური დილა......................................................................91
ტრაგიკომედია: კონტრასტები.........................................................92
მრწამსის ერთგულება, №2.............................................................92
პოლუსები: უფლისწული და მათხოვარი.........................................93
კონტრასტები: პარადოქსების ქვეყანა.............................................93
ივლისის ხვატში გავრბივარ სახლში და გზად მაჩერებს, ვფიქრობ: დროებით უმუშევარი სუკის აგენტი.........................................................94
მარადიული სამშობლოს რწმენა: პოეტური ძილ-ღვიძილი..............95
სოხუმური ზაფხული: რესტორან „კავკასის" მოულოდნელი გახსენება......................................................................................95
პოეტი............................................................................................95
ჩემი ქალიშვილის პირველ პუბლიკაციაზე მინაწერი, ანუ სევდანარევი მიებანი — ირონიაშერეული განწყობით......................96
მარადიული მარათონელი.............................................................97
შაბათი: დილა, ტელევიზორი: 8. 00 -დან 9. 00 -მდე .....................98
გამოცხადება: სკეპტიკოსი ანგელოსი..............................................98
მარადიული აბეზარა: კორექტურა...................................................99
1957 წლის პოეტური ესტაფეტა....................................................100
ქრისტიანობის ანაბანა: თავმდაბლობა..........................................100
ტელედაჭერები: კატათაგვობანა...................................................101
რუსთაველის — მარადიული ფრინველის ლანდი: უანგარო და უჰონორარო პოეტების გზაჯვარედინზე.........................................102
ნაცრისფერი დღეების ჩრდილი: ჟამი კათარსისისა........................104
ლიტერატურის ისტორია — 2003: ქრონიკა....................................105
ზუგდიდი: წიგნის მაღაზია, 16 აპრილი..........................................106
უჟამო ჟამის პოეტების ბედისწერა: რევოლუციონერები — ტაშისმკვრელები — ჯალათები.....................................................106
ინფანტილისტის კუროლოგიური ზაფხული...................................107
სოხუმი: 1986 წლის ზაფხულის ხვატის სიზმარ-ცხადის ქრონიკა...108
მთავრობები და პოეტი.................................................................109
ქრონიკული უფულობა — დიაგნოზით: ჯიბის კიბო........................110
პოეტური არჩევანი, №3................................................................111
რუსეთუმე პოლიტიკოსებისა და უნამუსო ისტორიკოსთა მარადიული პრობლემები...........................................................111
„რევიზიონისტული" საუკუნე და მეოცედან შემოფრენილი საბრალო სიტყვა — მგოსანი......................................................112
პოეტის ეპიტეფია........................................................................113
ჩემი და სხვისი, №2.....................................................................114
სახელმწიფოებრივი კროსი..........................................................114
პოსტსაბჭოური სივრცის თამაშობანი............................................115
მშვენიერი მშიერლანდიის დემ. სახელმწიფოს აუტანელი ცხელი ზაფხულისა და ცივი ზამთრის (უშემოდ გაყინვის შიში) მოლოდინის ტექსტის: ჰა და ჰე!.........................................................................116
სამი დროის ფილოსოფია, №2......................................................117
სიზმრის გზა ულუმბოდან (ოლიმპო) ჰელიკონამდე: ზვარაკი.......118

თოვლის ბაბუა და ლილე....118
ზემოთ და ქვემოთ....119
გმირები და პოეტები....120
უსახელო გულისტკივილი....120
***ბოლო წრეზე გასული....121
ეროვნული მოძრაობის ისტორია....121
საუბარი ქარონთან....116
***სიცარიელე წარმოქმნის სივრცეს....122
ტკბილ-მწარე სამშობლოს....123
დრო და მარადისობა....123
პოეტური მრწამსი....124
მოკლეზე გადასვლა: ჩანაწერების დანაკუწება....124
ტოტალური ტრაბახოლოგია....125
ხმა ღაღადებლისა....125
ციბია-ტიბია პოეტის მიერ დამწვარ-განადგურებული ტექსტების აღდგენის მცდელობა და მოღუშული დილა, №2....126
***მიმთავრდება ქაღალდი....127
„იმედის დილა"—2005 წლის 27 აპრილი....127
ბედი — მტრედი, აივანზე — ყბედი და ა.შ....128
ვარიაციები თემაზე: „კაპიტალის" ავტორის „ცხოვრება და შემოქმედება", ოპუსი 2....128
კლასიკა: პოეტის დანიშნულება....129
ლაზარეს ენა....130
ერთი პოეტის მიწაზე ვერდატეული ეპიტაფია, წვიმებს გაჰყვა და ნიაღში ჩადის....131
კოლხური საღამოები....132
პოეტური აღდგომა: წყალდიდობა და სინანული....133
ჯართის ჩაბარება ზუგდიდში....133
***უჟამო ჟამის ჯავრით ალესილს....134

დაიბეჭდა გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის"
სტამბაში მხატვრის ქ.№4
31-70-47
32-73-62

თბილისი
2008